საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამთა უთნელიშვილი

იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა – ეკონომიკა

შიფრი – 0701

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი 0175, საქართველო

თებერვალი, 2020

საავტორო უფლება © 2020 წელი, თამთა უთნელიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თამთა უთნელიშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის (ეკონომიკა, აგროეკონომიკა) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-------, ---------- 2020 წელი

ხელმძღვანელი: სტუ-ს მოწვეული პროფესორი **დავით ნარმანია**

რეცენზენტი: პროფესორი კახაბერ ციმინტია

რეცენზენტი: პროფესორი ანზორ მესხიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: თამთა უთნელიშვილი

დასახელება: **იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

სადოქტორო პროგრამა: ეკონომიკა

ხარისხი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

- -

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სოფლის მეურნეობა, როგორც მატერიალური წარმოების დარგი და ეროვნული მეურნეობის ნაწილი ისტორიული განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურზე წარმოიშვა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ადრეულ წლებშიც და დღესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდამ დროთა განმავლობაში გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბება. თავის მხრივ თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასშტაბების გაზრდა დამოკიდებული აღმოჩნდა დარგებზე, რომელთა საშუალებითაც იქნა უზრუნველყოფილი (შხამ-ქიმიკატებით, საწვავით, სატრანსპორტო საშუალებებით).

სოფლის მეურნეობას უდიდესი როლი ეკისრება საგადამხდელო ბალანსის, სასურსათო უზრუნველყოფის და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქციის ნახევარზე მეტი გადამამუშავებელ საწარმოებს მიეწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მოსახლეობის დასაქმების მიზნით, გადამამუშავებელი წარმოების განვითარება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ეკონომიკურმა მექანიზმმა თავისი ბერკეტებით (ფასი, კრედიტები, გადასახადი, დაზღვევა) სტიმული უნდა მისცეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტჩანაცვლებისას ადგილობრივმა პროდუქციამ ხარისხობრივი პარამეტრების გათვალისწინებით მომხმარებელს უნდა შესთავაზოს უფრო იაფი ალტერნატივა.

ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. საყურადღებოა, გადამუშავებული პროდუქციის იმპორტის, წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორული ანალიზის, იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების კონკრეტული გზები და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

მოცემული ნაშრომის პირველი ნაწილი მიზნად ისახავს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების მახასიათებლების თეორიული ასპექტების განსაზღვრას. გამახვილებულია აქცენტი, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის პრიორიტეტებზე. საუბარი შეეხება წარმოების ფაქტორებს და გადამამუშავებელ წარმოებას ფაქტორული ანალიზის ჭრილში. კერძოდ, მესამე ქვეთავი დაეთმობა წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორულ ანალიზს, სტატისტიკურ მონაცემებს შორის განსხვავებას დინამიკაში. გარდა ამისა ექსპორტ-იმპორტის ფასებსა, მათ მოცულობებს და რეალურ გაცვლით კურსს შორის დამოკიდებულებას.

მეორე თავში განხილულია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების და გადამუშავებული იმპორტის ანალიზი, ამ სფეროში არსებული მდგომარეობა. ამასთან, საყურადღებოა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რეალურად რომელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანა, წარ-

მოებაა შესაძლებელი, რომ ადგილობრივი პროდუქციის მიერ ჩანაცვლებული იქნას იმპორტული პროდუქცია. დახასიათებულია მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგები და ის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ბოლო პერიოდში ამოქმედდა. ასევე, სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი შეეხება კონკრეტულად რომელ პროდუქტებზეა მოთხოვნა, რომელს ანიჭებენ უპირატესობას მომხმარებლები ადგილობრივს, თუ უცხოურს. განხილულია, უკვე შექმნილი სამომავლო მოქმედების სტრატეგიები და ქართული კანონმდებლობის მაქსიმალურად მისადაგებით ევროკავშირის მოთხოვნებთან ახალი რეგულაციების შემოღება, რომელიც კონკურენციის გაზრდას უწყობს ხელს. გამახვილებულია ყურადღება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლითაც საქართველო ახორციელებს საერთაშორისო ვაჭრობას. ამასთან გაანალიზებულია ექსპორტ-იმპორტის ზრდა და შემცირება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე. პერსპექტიული დარგების გამოსავლენად, კონკურენტული უპირატესობის გათვალისწინებით, გამოვლენილია თანამედროვე ხილის თუ აგრარული პროდუქტების უპირატესობები, რომელზეც დღეისთვის მაღალი და მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება მსოფლიოში. საბაზრო დარგებიდან კი დღეისთვის ქართულ აგრარულ სექტორში აღსანიშნავია: ლურჯი მოცვი, ზეთისხილი. მესამე ქვეთავში განხილულია გადამამუშავებელი წარმოების ქცევის ანალიზი. საგადამხდელო ბალანსის მიხედვით რამდენი შემოგვაქვს და რა შეგვიძლია ვაწარმოოთ, ასევე რომელი პროდუქცია გაგვაქვს და როგორ შეგვიძლია გავზარდოთ.

მესამე თავი ეთმობა საქართველოში იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების კონკრეტულ გზებს. ასევე, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარებისათვის აუცილებელ სახელმწიფო მარეგულირებელ და მასტიმულირებელ ინსტრუმენტების ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში. ამასთან განხილულია, როგორც მწარმოებელთა მხრიდან გათვალისწინება მთელი რიგი გარემოებების, ასევე მომხმარებელთა სტიმულირების ინსტრუმენტები. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის არანაკლები მნიშველობა აქვს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების მიზეზებს და პროგნოზირების, სტრატეგიული, ინდიკატორული და პროგრამირების ფუნქციებს. განხილულია სამართლებრივი და ეკონომიკური რეგულირების მექანიზმები. საყურადღებოა, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის შედეგები და გავლენა ეკონომიკის რეგულირებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს, მწარმოებელთა მხრიდან გასათვალისწინებელი გარემოებების DCFTA-ით გათვალისწინებული ეტაპობრივი ნორმების შესრულებას და მომხმარებელთა სტიმულირების მექანიზმების მიზნით, ,,ერთიანი აგროპროექტის“ პროგრამების მიმართულებების გათვალისწინებას. ასევე გაანალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები და „ასოცირების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის შეფასებას ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით“ ფარგლებში - კვლევები.

Abstract

Agriculture, as the field of material production and the part of national farming was originated in an earlier period of historical development. Most part of population in early years and now are employed inagricultural production.

Gradually, increasing demand on agricultural products caused forming of agricultural processing production. One the one hand, in modern conditions increasing areas of agricultural processing turned out to depend on the fields through which they were provided (with poisonous chemicals fuel, by means of vehicles).

Agriculture has a great role in the strengthening case of balance of payments, grocery provide and country's independence. In agriculture most of products are delivered to the processing enterprises. It must be said that for the aim employ of village population, development of processing production is a very important factor. Economical mechanism with its leverages (price, credits, taxes, insurance) should give stimulus to theagricultural production.

It must be said, that during import substitution local production with qualitative parameters should offer the customer cheaper alternative.

For our country the most important task is perspectives detections of development of local agricultural processing production of import substitution. It is noteworthy, the import of processed products, factor analysis of competition between important and derivative products the specific ways of replacing import with local production and its influence on our country's economy.

The first part of this essay aims determination of theoretical aspects of characteristics local agricultural of processing production. There is focus as development of agricultural as small and medium enterpreneurs on the priorities of strategies. The conversation prefers to the factors of production and processing production in the context of factor analysis. Particularly subsection third will be dedicated to factor analysis of competition among imported and producing products. Except this, the relationship among export-import prices, their volumes and real exchange course.

In the second chapter it is discussed the analysis of agricultural processing production and processed import, current situation in the field. It is noteworthy, in the conditions of market economy which agricultural products with local ones. It is characterized the field of cultivation and livestock and the processing factories which are worked recently. Also the second chapter of thesis refers concretely which products are demanding, which are preferred by customers local or imported. It was discussed strategies of future actions which are already created and introduce new regulation with EU requirements equal to Georgian laws, which promote increasing competition. There is also focus on the international contracts, which Georgian performs International trade. Also it is analyzed export-

import increase and decrease on the concretely groceries. For the perspective field expression with the particular advantage it has been identified advantages of modern fruit or agrarian products on which nowadays are given high and increasing demands in the world. From the market fields for today in the sector of Georgian agrarian there are: blue berries, olive In the Subsection third it was discussed behavior analysis of processing production. According to the balance of payments how many do we bring and what can we produce, also which products do we have and how can we increase it.

Chapter third is about the replacement concrete ways with local production of import. Also for the local agricultural processing development and engagement of the state regulator and stimulated instruments in economy. Also stimulated instruments in economy. Also there is discussed as circumstances that are considered from the manufacturers, as stimulating instruments of customers. For the development of our country's economy it is not less important reasons for the regulation of the economy by the state and forecast strategic, indicative and program functions. It is discussed the mechanisms of legal and economic regulations. It is noteworthy, in Georgia results of acting National Regulating Agency and influence on the regulation of the economy. It is very important the manufacturers have consider circumstances and to carry out gradual norms according to the DCFTA, take into account the programs directions of ,,The United Agro-project " for the purpose of customers stimulation mechanism. The research results of small and medium size enterprises, civil society organications and the Assess effectiveness of the association action plan in the frame of export diversification are analyzed.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ტიტულის გვერდი 1
ხელმოწერების გვერდი 2
საავტორო უფლების გვერდი 3
რეზიუმე (ქართულ ენაზე) 4
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 6
ცხრილების ნუსხა 9
გრაფიკების ნუსხა 11
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა 12
შესავალი 14
ლიტერატურის მიმოხილვა 21
თავი I. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების თეორიული ასპექტები 31
1.1. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების არსი და მახასიათებლები 31
1.2. გადამამუშავებელი წარმოების ფაქტორები და ფაქტორული ანალიზი 40
1.3. წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორული ანალიზი 47
თავი II. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების და გადამუშავებული პროდუქციის იმპორტის ანალიზი 59
2.1. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის წარმოება საქართველოში 59
2.2. სოფლის მეურნეობის გადამუშავებული პროდუქციის იმპორტი საქართველოში 66
2.3. გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის 76
მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი 76
თავი III. იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების 84
კონკრეტული გზები 84
3.1. სახელმწიფოს მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ინსტრუმენტები 84
3.2. მწარმოებელთა მხრიდან გასათვალისწინებელი გარემოებები 94
3.3. მომხმარებელთა ინფორმირების და სტიმულირების 103
ინსტრუმენტები 103
დასკვნა 121
გამოყენებული ლიტერატურა 127

ცხრილების ნუსხა

ცხრილი #1. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სექტორის ინდიკატორები წლების მიხედვით 32

ცხრილი #2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015-2017 წლები 36

ცხრილი #3. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (%)..... 36

ცხრილი #4. სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი..... 37

ცხრილი #5. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 2015-2018 (ათასი ტონა)..... 37

ცხრილი #6. პროდუქციის საწარმოო და მოხმარების ფაქტორები 45

ცხრილი #7. კონკურენტუნარიანობის ფაქტორები და ქვეფაქტორები მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიხედვით 55

ცხრილი #8. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)..... 56

ცხრილი #9. საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)..... 56

ცხრილი #10. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი) .. 60

ცხრილი #11. სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მილიონი ლარი, %) 60

ცხრილი #12. შემცირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი (ევროკავშირიდან) (2019) 70

ცხრილი #13. გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი (ევროკავშირიდან)(2019) 70

ცხრილი #14. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის შემცირება დსთ-ს ქვეყნებიდან 2019 წელს 71

ცხრილი #15. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდა დსთ-ს ქვეყნებიდან 2019 წელს 71

ცხრილი #16. SWOT ანალიზი 73

ცხრილი #17. ნერგების 1 ჰა -ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა..... 74

ცხრილი #18. საქართველოს ბიზნეს სექტორი 78

ცხრილი #19. საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2013-2019 79

ცხრილი #20. საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2012-2019 წლებში 79

ცხრილი #21. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის (ზრდა)-(შემცირება) ევროკავშირის ქვეყნებიდან 80

ცხრილი #22. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის (ზრდა)-(შემცირება) დსთ-ს ქვეყნებიდან 80

ცხრილი #23. საკვები ბალანსის მაჩვენებლები წლების მიხედვით (ათასი/ტონა) 81

ცხრილი #24. საკვები ბალანსის მაჩვენებლები წლების მიხედვით (ათასი/ტონა) 82

ცხრილი #25. მომხმარებლების მიერ სასმელი წყლის მოხმარების შედარება პერიოდულობით 93

ცხრილი #26. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის (ზრდა)-(შემცირება) ევროკავშირში 97

ცხრილი #27. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის (ზრდა)-(შემცირება) დსთ-ს ქვეყნებში 97

ცხრილი #28. გაშენებული ბაღის ფართობებს რეგიონების მიხედვით: 113

გრაფიკების ნუსხა

გრაფიკი #1. 2018-2019 წლებში საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში 54

გრაფიკი #2. 2019 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 57

გრაფიკი #3. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 72

გრაფიკი #4. ზეთისხილის მწარმოებელი ქვეყნები 76

გრაფიკი #5. სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი პროდუქტებისა და წლების მიხედვით (ლარი/კგ):..... 81

გრაფიკი #6. ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება 91

გრაფიკი #7. ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა რაოდენობა..... 92

გრაფიკი #8. წყალმომარაგების გრაფიკისა და მოსახლეობის ერთ სულზე სასმელი წყლის მოხმარების დამოკიდებულება რეგიონების მიხედვით..... 93

გრაფიკი #9. საწარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით..... 98

გრაფიკი #10. მცირე და საშუალო საწარმოების ზომა დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით 98

გრაფიკი #11. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების წარმოება ... 99

გრაფიკი #12. მცირე და საშუალო საწარმოების სერთიფიკატები..... 100

გრაფიკი #14. ექსპორტიორები დარგობრივ ჭრილში..... 101

გრაფიკი #15. სამიზნე ბაზრებზე პარტნიორების მოძიება 102

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

დსთ	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
ეეაპ	ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა
ADA	ავსტრიის განვითარების სააგენტო
AMMAR	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი
BI	განვითარებდი ქვეყნებიდან იმპორტის ხელშეწყობის ჰოლანდიის ცენტრი
CIP	კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი
Doing Business	ბიზნესის კეთების რეიტინგი
EEN	ევროპის მეწარმეთა ქსელი
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი
(FAO)	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია
GATT	გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ
GATS	გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ
GEF	გლობალური გარემოს დაცვის ფონდი
GFA	საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
GHGA	თხილის მწარმოებელთა ასოციაცია
GSP	პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა
HACCP	საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ENPARD	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
EFTA	ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიის და შვეიცარიის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია
IFLs	სოფლის განვითარების კვლევითი ინსტიტუტი
IGW	აგროპროექტების და ხილ-ბოსტნეულის გამოფენა
IMD	მართვის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი
ISO:22000	სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი
MFN	უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OIV	ვაზის და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია
RMP	იმპორტის შემოღწევადობის ინდექსი

RXA	ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი
SPS	სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები
TBT	ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ
IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
TRTPS	ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EU4Bussiness	ევროკავშირი ბიზნესისთვის
WEF	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

შესავალი

ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფულობა გვაიძულებს იაფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი საყოველდღეო ცხოვრებისათვის საჭიროა.

ილია ჭავჭავაძე

იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივების კვლევა უაღრესად აქტუალურია. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების ხელშეწყობა მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, იმპორტული საქონლის მოცულობის შემცირების და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს. სწორედ მათი შედეგები განაპირობებს მოცემული ნაშრომის საკვლევი **თემის აქტუალურობას.**

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი ინდუსტრია სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სფეროა. აუცილებელია ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ცვლილებების შეფასება და ეკონომიკურ პროცესებში აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი კვლევა.

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება, თუმცა ზრდის ტენდენცია შეინიშნება. ამდენად, ზუსტი დიაგნოზირება და განვითარების პერსპექტივების დადგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

იმისათვის, რომ დარგი იყოს წარმატებული, მნიშვნელოვანია წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის განსაზღვრა, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი ინდუსტრია იმპორტთან მიმართებაში.

თანამედროვე მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი

წარმოების სექტორის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სასოფ-ლო-სამეურნეო გადამამუშავებელ წარმოებაში მეტად რთულია კონკურენ-ტებთან ბრძოლა. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობაში საექსპორტო პოტენციალის და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარ-მოების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

საქართველოს, სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარების მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვს. თუმცა თანამედროვე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და საქართვე-ლოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების მეშვეობით ქართული სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი სექტორის წარმატება შესაძლებე-ლია. ამასთან, დიდ როლს ასრულებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომ-

მდგრადი ეკონომიკური ზრდის პერსპექტიულ ბაზრებზე დივერსიფიცირების კუთხით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ დასახულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი სექტორის განვითარებაზე მოქმედი ზუსტი ფაქტორები და შემუშავებულია საქართველოში მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის საჭირო გზები:

- ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების სექტორის სტრუქტურის ეფექტიანობა;
- დასახულია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ევროპულ ბაზრებზე შესვლის გზები;
- გაკეთებულია წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორული ანალიზი;
- შემუშავებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების დანერგვის სტრატეგიისა და ინსტრუმენტების შეხედულებათა სისტემა.

კვლევის მიზანი: მოცემული სადისერტაციო თემის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ძირითად **მიზანს** წარმოადგენს: იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარების ანალიზზე დაყრდნობით, იმ პროდუქტების გამოვლენა, რომლებიც შეძლებენ იმპოტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას.

დისერტაციაში კვლევის ძირითადი მიზნის შესაბამისად, დასმულია შემდეგი **ამოცანები**:

- ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების მიმოხილვა და გადამამუშავებელი პროდუქციისიმპორტის ანალიზი;
- ქართულ სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების სექტორში მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი;
- ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების პოტენციალის შესწავლა;

- საქართველოსა და ევროპის თანამშრომლობის, კერძოდ, შესრულებული პროექტების, ახალი ვალდებულებებისა და შესაძლებლობების ანალიზი;
- წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორული ანალიზი, ასევე გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი;
- იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების გზები - თუ რა მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ინსტრუმენტები არსებობს სახელმწიფოს მხრიდან, ასევე მწარმოებელთა მხრიდან გასათვალისწინებელი გარემოებები და მომხმარებელთა ინფორმირების ინსტრუმენტები;
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტებია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი სექტორი, (როგორც პროდუქციის მოყვანა, ასევე მისი გადამუშავება). **საგანი** კი აღნიშნულ სექტორში პრობლემების ანალიზი, კერძოდ იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების დარგების გამოვლენა და მათ ხელშესაწყობად რაციონალური სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფუნქციონირების მსვლელობა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: ნაშრომში კვლევის მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი, მეორადი ინფორმაციის ანალიზის, შედარების, ასევე სოციალური კვლევის მეთოდები; სტატისტიკური, სინთეზის, შედარებითი ანალიზის და სინთეზის მეთოდები.

სადისერტაციო თემის სიღრმისეული შესწავლისათვის გამოყენებულია როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა, სადისერტაციო ნაშრომები, სტატიები. მუშაობის პროცესში ვეყრდნობოდი საჭირო ინტერნეტ წყაროებს, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ფუნდამენტურ გამოკვლევებს.

შესწავლილია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დადგენილებები, ეკონომიური ხასიათის ნორმატიული აქტები, საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ქართველი მეცნიერების სამეცნიერო ნაშრომები; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევითი მასალები სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების შესახებ, აგრეთვე ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დასკვნები.

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების სექტორის განვითარების პრობლემებზე მრავალი შრომა არსებობს, რომლებშიც გამოვლენილია პრობლემები და მათი დაძლევის ინსტრუმენტები და მეთოდები. აღნიშნულ თემაზე მეტად საინტერესოა პროფესორების: - პ. კოღუაშვილის, თ. კუნჭულიას, ნ. ჭითანავასა და ე. ხარაიშვილის შრომები დარგის მნიშვნელობისა და როლის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების პრობლემებზე მიძღვნილი სტატიების ავტორები არიან პროფესორები: ი. მესხია, ვ. პაპავა, რ. კაკულია, რ. ასათიანი, გ. ერქომაიშვილი, ო. ქეშელაშვილი, ნ. ხადური, რ. გველესიანი და სხვები.

კვლევის ძირითადი შედეგები და გამოყენების სფერო. სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას ჩატარებულმა კვლევამ უზრუნველყო შესაბამისი მეცნიერული ღირებულების მქონე შედეგების მიღება. კერძოდ: განისაზღვრა იმპორტშემცველელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში. შემუშავდა გადამამუშავებელი წარმოების განვითარებაზე ზემოქმედების კონკრეტული გზები. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების ფორმირების და ფუნქციონირების გაუმჯობესების კუთხით. ასევე, ნაშრომში გაკეთებული ანალიზი შეიძლება საფუძვლად დაედოს ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, მოცემული საკითხით მეტი მკვლევარის და სტუდენტის დაინტერესებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია, მოცულობა და სტრუქტურა: კვლევის შედეგები პერიოდულად გამოქვეყნდა სტატიების სახით:

1. **„სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის ადგილობრივი**

წარმოებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები საქართველოში“ - ყოველ-კვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ N 1-2 2019წელი გვ.107-111

2. **„თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაცია და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია“** - ყოველ-თვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ,,ეკონომიკა“ N 9-10 2017 წელი გვ.201-209

3. **„სოფლის მეურნეობის ადგილობრივი პროდუქციის წარმოების სტიმულირების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა“** - საერთაშორისო რეფერი-რეფადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,მოამბე“ N35, 2019 წელი გვ.42-46

4. **„პერსპექტიული ადგილობრივი პროდუქტების წარმოებისთვის“** - ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ,,ეკონომიკა“ N 7-9 2019 წელი გვ.20-27

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა კონფერენ-ციებზე:

1. 2017 წლის 20-21ოქტომბერი, ქუთაისი, საქართველო, მეხუთე საერ-თაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC2017 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“;
2. **„იმპორტშემცვლელი ადგილობრივი გადამამუშავებელი ინდუს-ტრია“** - ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ N3. 2017 წელი, გვ. 387-390.
3. 2018 წლის 13-14 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო, აკადემიკოს ლეო ჩიქავას 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშო-რისო ეკონომიკური კონფერენცია -IEC2018„ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ “ ;
4. **„ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში“** - ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზი-

რეგადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ბიზნეს-ინჟინერინ-
გი“ N 3-4 2018 წელი გვ.180-183

5. 2019 წლის 11-12 ოქტომბერი, ქუთაისი, საქართველო, მეშვიდე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - IEC2019 „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“;
6. **„ ეკონომიკის რეგულირების მექანიზმები“** ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ N3 2019 წელი გვ.118-121

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 133 კომპიუტერზე ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება რეზიუმეს (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავალის, ლიტერატურული მიმოხილვის, სამი თავის, ცხრა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები.

ლიტერატურის მიმოხილვა

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელ და ზოგადად წარმოების განვითარების თემატიკაზე არსებობს უცხოელი, ქართველი მკვლევარების და ეკონომისტების არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და კვლევა, სტატია. საყურადღებოა, რომ ქვემოთ მოყვანილი ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში.

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების თეორიული დამოკიდებულებები ისტორიის მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლებოდა. აღნიშნული სექტორის პრობლემები და მათი დაძლევისთვის საჭირო მეთოდები საინტერესოდ განიხილა არაერთმა ეკონომისტმა.

საინტერესო აღმოჩნდა იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარების პერსპექტივების კვლევა, რაც, თავის მხრივ, კავშირშია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასთან. აღნიშნული საკითხი ორიენტირებულია საშინაო ბაზრის მოთხოვნილებებზე და მიზნად ისახავს თვითდაკმაყოფილებადი გადამამუშავებელი წარმოების ფორმირებას, მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარების საშუალებით. მკვლევერთა აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მიჩნეულია, რომ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოებას. ამასთან, ადგილობრივი მწარმოებლები წარმატებით შეძლებენ იმპორტის ჩანაცვლებას თუ:

შეიქმნება ფერმერულ მეურნეობებში მარკეტინგული ჯგუფები, რაც საშუალებას მისცემს აგრომწარმოებლებს (გამოასწორონ ბაზრის ჩავარდნა, იქ სადაც ფასები დაბალია; მოიპოვონ საბაზრო ძალა გაცილებით უფრო დიდი მყიდველების წინაშე, უზრუნველყონ რისკისა და დანახარჯების გადანაწილება, ჰქონდეთ პოტენციალი პროდუქციის ეფექტიანი გდამუშავებისათვის). აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც შექმნის გარანტიას სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისათვის და ეკონომიკური განვითარე-

ბის სოციალურ პერსპექტივებს; გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო სექტორის მხარდამჭერი დარგების განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო საცალო ვაჭრობის კომპანიების შექმნა, ასევე სურსათის უვნებლობის ჰარმონიზაცია მსოფლიო მოთხოვნებთან.

სოფლის მეურნეობის როლი ძირითადად დაკავშირებული იყო იმ პროდუქციის წარმოებასთან, რომელიც პირდაპირ დააკმაყოფილებდა ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებს. რამდენადაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება აერთიანებდა ადამიანის ძალისხმევას ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას, მიჩნეული იყო, რომ მისი განვითარება შესაძლებელია სხვა ეკონომიკური საქმიანობისგან დამოუკიდებლად. თუმცა, რეალურად, სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მიწის შეზღუდულ რაოდენობასთან იმას ნიშნავდა, რომ მისი შემდგომი გაფართოება ყოველთვის იქნებოდა შეზღუდული. იგი კლებადი მწარმოებლურობის სფეროა (რობერტ მალთუსი), ამიტომ არსებობდა სერიოზული არგუმენტი იმისა, რომ სამუშაო ძალის ზრდასთან ერთად სოფლის მეურნეობის დარგი იმავე პროპორციით ვერ გაიზრდებოდა.

ჩიკაგოს სამართლის სკოლის პროფესორმა ***რონალდ ჰარი ქოუზმა*** კი (1910) სტატიაში **„ფირმის ბუნება“** ნათლად აჩვენა, რომ მეწარმის მიერ განხორციელებული წარმოება ასრულებს ფასის მექანიზმის როლს.

პროფესორ ***ვლადიმერ პაპავას*** წიგნი, რომლის სახელწოდებაა **„არატრადიციული ეკონომიკსი“** (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2011წ.) განხილულია წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფცია, რომელშიც გაანალიზებულია საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ საქონლის შემქმნელი ოთხი ფაქტორის მიხედვით ნაწილდება. წიგნში განხილულია სამი სახეობის წარმოება: კაპიტალდომინირებადი, მასალადომინირებადი, შრომადომინირებადი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტული ძალის ანალიზს **პორტერის 5 ძალის მოდელი (**www. investopedia. Com /Porter's **5 Forces) აკეთებს.** იგი როგორც ანალიზის მოდელი გვიჩვენებს განსხვავებული ინდუსტრიების განსხვავებული სიდიდის

მოგებას. აღნიშნული მოდელი გვევლინება, როგორც კონკურენციის ინტენსიურობის, მიმზიდველობის და მომგებიანობის საზომი:

ინდუსტრიაში არსებული კონკურენცია - ინდუსტრიაში კონკურენციის მნიშვნელობა კომპანიისთვის საფრთხის შექმნით და კონკურენციის რაოდენობით დგინდება.

ინდუსტრიაში ახალი შემომსვლელების პოტენციალი - ბაზარზე ახალი კომპანიები დიდ ზემოქმედებას ახდენენ კომპანიის სიძლიერეზე. რაც უფრო ნაკლები დრო და ფული უღირს კონკურენტს ბაზარზე შესასვლელად და ეფექტური მეტოქეობის გასაწევად, კომპანიის პოზიციების შესუსტების მით უფრო მეტი შესაძლებლობა ჩნდება.

მომწოდებელთა ძალა - ეს ძალა უკავშირდება მომწოდებელთა უნარს გაზარდონ საქონლისა და მომსახურების ფასები. მასზე გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების რაოდენობა, პროდუქციის თავისებურებები, რომლებსაც ისინი აწვდიან კომპანიას და კომპანიისთვის ერთი მომწოდებლებიდან მეორეზე გადასვლისას გასაწევი ალტერნატიული დანახარჯი. რაც უფრო ნაკლები მომწოდებელი და რაც უფრო მეტი კომპანიაა ინდუსტრიში, მით მეტ ძალაუფლებას ფლობს მომწოდებელი.

მომხმარებელთა ძალა - აღნიშნული ძალა ეხება მომხმარებელთა უნარს შეამცირონ ფასები. მასზე გავლენას ახდენს კომპანიის მყიდველთა და მომხმარებელთა რაოდენობა, თითოეული მომხმარებლის მნიშვნელოვნების დონე და ერთი მომხმარებლიდან მეორეზე გადასვლის ალტერნატიული დანახარჯი.

შემცვლელი პროდუქტების გამოჩენის საფრთხე - კონკურენტების მიერ წარმოდგენილი პროდუქცია, რომლებმაც შეიძლება ჩაანაცვლოს კომპანიის პროდუქტი ან მომსახურება, კომპანიისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

მაიკლ პორტერის აზრით, ქვეყანა იყენებს თავის ბუნებრივ, ადამიანურ რესურსებსა და კაპიტალს. მთელი ეკონომიკური სისტემის მთავარ კატალიზატორს შიდა დარგობრივი კონკურენცია წარმოადგენს. როდესაც ქვეყანაში არსებობს ერთი და იმავე ტიპის პროდუქტებისა და მომსახურების რამდენიმე ეროვნული მწარმოებელი, ამით ეროვნული ეკონომიკის განვითარებას

დიდი სტიმული ეძლევა. კონკურენციის წყალობით კომპანიები პროდუქტის ხარისხს ამაღლებენ, ამცირებენ ხარჯებს, ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

პორტერის ანალიზს ვეთანხმებით, თუმცა, ჩვენი აზრით, ცალმხრივია. აღნიშნულთან ერთად ასევე გასათვალისწინებელია: დანაწევრებული მიწების კონსოლიდაცია, სოფლის განვითარება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად, მაღალკვალიფიციური კადრები და მსხვილი კაპიტალდაბანდებები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა, აგროსასურსათო სექტორის მხარდამჭერი დარგების განვითარება და ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბება, მაღალი დამატებული ღირებულების შექმნაზე ორიენტირებული წარმოება.

პროფესორ *<u>დავით იაკობიძის</u>* სტატია, **„ადგილობრივ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის განვითარების საკითხები“** (რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს - ინჟინერინგი“ 2017/01-02.). ავტორის აზრით ერთი სახის ინდივიდთა შორის არსებული შეჯიბრი (კონკურენცია) დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაზე. ამასთან, აღნიშნავს, რომ პროდუქციის იმპორტისათვის ხელშეწყობის მიზნით არ უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი პროდუქციის წარმოების შემზღუდავი მექანიზმები. ავტორის შეფასებით კონკურენტუნარიანი წარმოება მნიშვნელოვანია, რადგან რიგი დასახელებების ადგილზე წარმოებულ ალკოჰოლურ სასმელებზე დაწესებული აქციზის გადასახადი უფრო მაღალია, ვიდრე უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე. ავტორი ხაზს უსვავს (რონალდ ქოუზის) თეორიას, რომლის მიხედვითაც მეწარმეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ერთმანეთისადმი მიყენებულ ზარალთან დაკავშირებული საკითხები. ამ თეორიის მიხედვით, თუ მესაკუთრე ისე გაყიდის მის ქონებას, რომ მას ამისთვის ხარჯების გაწევა არ დაჭირდება, მაშინ წარმოების ეფექტიანობა არ შეიცვლება.

პროფესორ *ეთერ ხარაიშვილის* **„კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“** (გამომცემ-

ლობა „უნივერსალი“, თბ., 2011წ.). ნაშრომში ხაზგასმითაა აღნიშნული მრავალფუნქციური და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სექტორის ევროპული მოდელის კონცეფცია. წიგნში, ფირმის, სექტორის და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისთვის გამოყენებულია გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO)-ს მიერ შექმნილი ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Comparative Industrial Perfoemance Index), რომელიც წარმოადგენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შერჩევისთვის სწორი გაზომვის ინსტრუმენტს. მას აქვს შეფასების სამი განზომილება:

პირველი განზომილება ასახავს ქვეყნის შესაძლებლობებს პროდუქციის წარმოებისა (MVapc) და ექსპორტის კუთხით (MXpc), რომლის ინდიკატორებია: მოსახლეობის ერთ სულზე მწარმოებლურობის დამატებითი ღირებულება (MHVAsh) და ნაწარმოები პროდუქციის ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე (MVAsh).

მეორე განზომილება მოიცავს ქვეყნის ტექნოლოგიურ პროგრესს, რომლის დროსაც გამოიყენება მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიური მწარმოებლების წილი მთლიანი წარმოების დამატებით ღირებულებაში (MHXsh), ასევეა ასეთი პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში (MXsh).

მესამე განზომილება ასახავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გლობალურ დონეზე და ქვეყნის მსოფლიო მწარმოებლურობაზე, რომლის დროსაც გამოიყენება ქვეყნის მწარმოებლურობის დამატებული ღირებულების წილი მსოფლიო მასშტაბით სუბ-ინდიკატორში (ImWMT), ასევე მსოფლიო მასშტაბით ნაწარმოები პროდუქციის ვაჭრობის საერთო მოცულობაში წილით (ImWMT).

<u>ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., გრძელიშვილი ნ., მამალაძე ი., სეხნიაშვილი დ., ჩახვაშვილი დ.,</u> **„ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“** (წიგნი I თბ., 2011). ავტორები განიხილავენ საბაზრო წონასწორობის დაბალანსებისკენ მიმართულ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საქონლისა და მომსახურების წარმოება. ავტორთა მიერ ნათლად ჩამოყალიბებულია კონ-

კურენციის პოლიტიკის მიზნები (მომხმარებელთა კეთილდღეობა, მომხმარებელთა დაცვა, მატერიალური ფასეულობების გადანაწილება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გადანაწილება, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაცვა, რეგიონალური და სოციალური ასპექტები).

ბლანშარი ო., წიგნში **„მაკროეკონომიკა“** (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. 2010. თავი 19) განმარტავს, ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნას, როგორც ადგილობრივ მოთხოვნას გამოკლებული იმპორტის ღირებულება და დამატებული ექსპორტი. ხაზს უსვამს ადგილობრივი მოთხოვნის ზრდას, რომელიც სავაჭრო ბალანსს აუარესებს და უცხოური მოთხოვნის ზრდას - პირიქით. რაც საბოლოოდ იწვევს რეალური გაუფასურების შედეგს - სავაჭრო ბალანსის გაუარესებას და შემდეგ გაუმჯობესებას.

ჭანია მ. „მეწარმეობა - როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი“ (თბ., „უნივერსალი“ 2016) - ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობას ისეთი გარემოებებით როგორიცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი საწარმოების შექმნა, დიდი კორპორაციების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ეკონომიკაში ფულის შეტანა, რისკიანი გადაწყვეტილებების მიღება. ასევე, გამოყოფს ბიზნესში კონცეფციებს მეწარმის ფსიქოლოგიურ თვისებებთან მიმართებაში. პოზიტიური კონცეფციის თანახმად, უმთავრესი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. ბიზნესის კრიტიკული კონცეფციით მოგების მიღება შეუძლებელია, თუ მყიდველმა მოცემული საქონელი რაც ღირს იმაზე მეტი არ გადაიხადა. ამ შემთხვევაში მოგების მიზნით ბიზნესმენი მზადაა არაკანონიერი ქცევაც კი გამოიყენოს. პრაგმატული კონცეფციით კი კონკურენცია გვევლინება ეკონომიკის განვითარების სტიმულატორის როლში.

„ევროკავშირი საქართველოსთვის“ (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, კვლევები და გამოცემები) - საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები 2019 წ.;

აღნიშნული პროექტი ევროკავშირის დახმარებით მიზნად ისახავს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) როლის

გაზრდას DCFTA-ის /SME-ების შესახებ წარმოებულ კომპანიებში. საქართველოს თითოეულ რეგიონში ცხრა SME-ს შესწავლის შედეგად გამოვლინდა: SME-ების 74 %-ში 15-მდე დასაქმებულია, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ეს საწარმოები ძირითადათ კოოპერატივებია, მათ 23%-ს პროდუქცია გააქვს ექსპორტზე. კვლევაში გამოკვეთილია ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების თვალსაზრისით: ბიზნეს პარტნიორების სიმცირე, ექსპორტისთვის პროცედურების ინფორმაციის ნაკლებობა, წარმოების მოცულობის სიმცირე, ხარისხის სერტიფიკატების არქონა.

საქართველოს საექსპორტო პოლიტიკის შედეგები (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, კვლევები და გამოცემები, 2019 წ). აღნიშნული ანგარიშის მიზანია ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტო პოლიტიკის შედეგების შეფასება. აღნიშნულ კვლევაში გაანალიზებულია 2012-2018 წლების საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები, 69 კომპანიის გამოკითხვის საფუძველზე. აღინიშნა, რომ ამ პერიოდში მთლიანი ექსპორტი 100 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. კვლევის მიხედვით, ექსპორტის ხელშესაწყობად საჭიროა: სახელმწიფო პროგრამების შედეგების კორექტირება, ფინანსური ხელმისწვდომობის გაუმჯობესება, საექსპორტო პროდუქციის სიმცირის, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების არსებობის, საინვეტიციო გარემოს, ექსპორტზე ორიენტირებული ბაზის ფორმირების უზრუნველყოფა.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2021-2027 - სტრატეგიაში განხილულია მეთოდები, რომელიც მოიცავს ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სტრატეგიაში შემუშავებულია სამოქმედო გეგმის და შეფასების მექანიზმები. გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის დამოკიდებულება წარმოების საშუალებებზე და მომსახურებაზე, რაშიც დიდი როლი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას ეკისრება. სტრატეგიის მიმართულებებმა ხელი უნდა შეუწყონ მათ, ვისაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შეუძლია: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარებით; ბუნებრივი რესურსების მდგრადი

გამოყენებით, ეკოსისტემების შენარჩუნებით და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციით; სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბებით. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიასთან ერთად საჭიროა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ამოცანების გათვალისწინებაც: მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და სამეწარმეო უნარების ამაღლება, ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020; სტრატეგიაში გაანალიზებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სრულყოფის, ზრდის და განვითარების გზები. აღნიშნული ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის **„უპირველესად იფიქრე მცირეზე“**, რომლის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა. სტრატეგიაში მიმოხილულია სამეწარმეო სექტორის ხელშემწყობი გარემოებები: საქართველოს ლიბერალური საგადასახადო სისტემა მოქმედი 6 გადასახადით, იმპორტის ტარიფის გაუქმება პროდუქტების 85%-ზე, კვოტების არარსებობა, ლიცენზიების და ნებართვების გამოყენება მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას. ასევე იკვეთება მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიული მიმართულებები: სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მეწარმეობის უნარების განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა, ინოვაციების ხელშეწყობა. საბოლოო ჯამში, ნიშანდობლივია სტრატეგიის განხორციელება საქართველოს მთავრობის საერთაშორისო თანამეგობრობასთან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობით და ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგით.

FRIEDRICH-EBERT-STIFTUNG. Development of Economic Regulatory Institutes in Georgia. Centre for Economics Problems Research (2009) - წინამდებარე კვლევა საქართველოში არსებული იმ ინსტიტუციებს ეხება, რომელთა ვალდებულებაში შედის კონკურენციის და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. კვლევაში განხილულია დამოუკიდებელი მარეგული-

რებელი ორგანოების საქმიანობა ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად კრიტერიუმებთან ერთად, როგორიცაა: ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, საფრთხეებისა და შოკებისადმი მდგრადობა, რესურსების მართვის ეფექტიანობა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ბაზრის დეფექტების რეგულირების, საქონლის ტარიფების ღიად დაწესების ფონზე, განხილულია თავისუფალი საბაზრო პრინციპები რამდენად შეძლებენ მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებას. კვლევის თანახმად მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება რეგულირების ინსტიტუციონალური ბაზის ჩამოყალიბებით.

FRIEDRICH-EBERT-STIFTUNG. COMPETITION POLICY AND PRACTICE OF MARKET REGULATION. CENTRE FOR ECONOMIC PROBLEMS RESEARCH (2012) - მოცემულ კვლევაში კონკურენციის პოლიტიკა და ბაზრის რეგულირების პრაქტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილად გვევლინება, რადგან მცირე ქვეყნების ბაზრის რეგულირების მოდელი განვითარებული ქვეყნებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. დიდი ქვეყნებისგან განსხვავებით, პატარა ქვეყნები: თითქმის სრულად არიან დამოკიდებულნი იმპორტზე, რადგან ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობები მწირია და საკუთრივ წარმოება სუსტად არის განვითარებული. აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ მათ საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოებით მხოლოდ მცირედით შეუძლიათ; ძალზე შეზღუდულნი არიან ექსპორტის თვალსაზრისით, რადგან წარმოება სუსტადაა განვითარებული, რაც საგადამხდელო ბალანსის პრობლემებს წარმოშობს; სრულად არიან დამოკიდებულნი მსოფლიო ბაზარზე, კაპიტალის და ტექნოლოგიურ ბაზრებზე; ბაზრის ღიაობის პირობებში მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნებათ, რაც გამოწვეულია ცალკეული კომპანიების მხრიდან დომინანტური მდგომარეობის გამოყენებით და ფასების ხელოვნურად გაზრდის პირობებში მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის გაუარესებით. ყველა პატარა ქვეყანას შერჩეული აქვს მონოპოლიების რეგულირების ინსტრუმენტები და ზოგიერთს გააჩნია შერწყმის (გამსხვილების) მარეგულირებელი წესებიც. პატარა ქვეყნების ეკონომიკის ბოლოდროინ-

დელი კონკურენციის კანონმდებლობა ისე ვითარდება, რომ მარეგულირებელი როლები განაწილებული აქვთ სასამართლო ხელისუფლებასა და სპეციალურ მარეგულირებელ დაწესებულებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ რეგულაცია, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ ინდუსტრიაში საბაზრო ჩავარდნების კორექტირებას და კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას ქმედითი კონკურენცია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესი საბაზრო მოთამაშეების ხელშია, არ არის მკაფიოდ გამიჯნული, ანტიმონოპოლიურმა რეგულირებამ არასაბაზრო ძალების ფორმირების შეკავებით უნდა განახორციელოს ეკონომიკური ეფექტიანობის და რეგულირების ტვირთის, სწორად და სტატისტიკურად წარმოება.

თავი I. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების თეორიული ასპექტები

1.1. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების არსი და მახასიათებლები

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სურსათის გადამუშავება, როგორც პროცესი მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს (გაცხელება, შებოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია).

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის სფეროს მეორე უმნიშვნელოვანესი რგოლია. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებაში ხდება ნედლეული რესურსის გარდაქმნა მზა პროდუქციათ. თავის მხრივ წარმოების შექმნა მოიცავს კაპიტალდაბანდებებს (შრომითი რესურსების მოზიდვა, ნედლეულის მიღება, ენერგო მომარაგება, ტექნიკის შეძენა, შენობა დანადგარების შეძენა, მიწის შეძენა).

სოფლის მეურნეობის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის დაკმაყოფილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მიხედვით სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 12.5% აღმოჩნდა. ამასთან, ბიზნეს სექტორის მოცულობა, 27 პროცენტით და ამავე სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 31 პროცენტით გაიზარდა [1].

ცხრილი #1. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სექტორის ინდიკატორები წლების მიხედვით

წელი	**ნათესი ფართობი ჰა(ათასი)**	**დასაქმება სოფლის მეურნეობაში(კაცი)**	**სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში%**
2009	289.7	6485	17.5
2010	256.7	7678	17.0
2011	262.4	6708	17.1
2012	259.6	8266	16.6
2013	310.7	10307	17.7
2014	274.9	11098	18.1
2015	263.7	12295	16.9
2016	240.0	12691	16.7
2017	220.3	12699	15.4
2018	207.1	11455	14.8
2019	193.6	11010	12.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (კვარტალური ბიულეტენი 2019.II)

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხად რჩება სოფლის მეურნეობის განვითარება, საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის შესაბამისად, რომელზეც დაფუძნებულია გადამამუშავებელი წარმოება. წინამდებარე კვარტალურ ბიულეტენში ნათლად იკვეთება სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების წილის კლება მშპ-ში.

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებას მშპ-ს 14-16% უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების მშპ-ში წილის კლების ძირითადი მიზეზებია:

- დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა;
- ბაზრებზე ხელმიუწვდომელობა;
- თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების უქონლობა;
- გაძვირებული ფინანსური რესურსები; თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა;
- დანაწევრებული მიწები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციათა მოზიდვის პრობლემა დაკავშირებულია სუსტად განვითარე-

ბულ მიწის ბაზართან, სალიზინგო სისტემების სისუსტესთან, განუვითარებელ დაზღვევასთან. საყურადღებოა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან იდენტიფიცირება. სასოფლო-სამეურნეო სექტორში ფერმერთა უმეტესობის, მიწის ნაკვეთების 75%-ზე მეტი 1 ჰა-ზე ნაკლები ზომისაა. მიწების კონსოლიდაციაში კი დიდი როლი სასოფლო-სამეურენეო კოოპერატივებს ეკისრებათ. საქართველო მოიხმარს მეტ იმპორტირებულ კვების პროდუქციას, ვიდრე აწარმოებს. თავის მხრივ იმპორტირებული დაბალფასიანი პროდუქციით, ქართველი ფერმერებს აქვთ რიგი პრობლემები. შესაბამისად, საჭიროა მოიძებნოს გამოსავალი [2].

უწინარეს ყოვლისა, ქალაქსა და სოფელს შორის ცხოვრების დონის უთანაბრობის შესამცირებლად, ევროპულ პრაქტიკაზე დაფუძნებულმა ხედვამ ხელი უნდა შეუწყოს გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საქართველოს ამ ეტაპზე არ აქვს სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა, თუმცა სოფლის მეურნეობის 2017-2020 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი - ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ხელშესაწყობად. მასში იგულისხმება:

- ✓ ფერმერული საქმიანობის მოდერნიზება მიწოდების ჯაჭვის ხელშეწყობით;
- ✓ სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით [3].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირი და FAO, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განვითარებაში ეხმარებიან. კერძოდ, 2018 წლის 22 ნოემბერს, „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სამუშაო ჯგუფის“ (WGE) მონაწილეებმა შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სერვისების განვითარების მხარდაჭერის მიზნით გამართეს, რომელიც მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის მოცულობის მეტობა ექსპორტის

მოცულობაზე განპირობებულია წარმოების მოცულობის სიმცირით და კონ-კურენტუნარიანობის დაბალი დონით უცხოელ მწარმოებლებთან. შესაბამი-სად, სოფლის მეურნეობის განვითარებამ, როგორც ინდუსტრიალიზაციის წინაპირობამ, უნდა შეამციროს ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტზე.

ყოველივე აღნიშნულის შესაბამისად, კოოპერაციამ ეკონომიკის მას-შტაბების გაზრდით ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე სტანდარტების და ტექნოლოგიების დანერგვას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენ-ტუნარიანობის ამაღლებას. წარმატებულმა ქვეყნებმა მთავარ პრიორიტეტად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩ-ნიეს. შესაბამისად აუცილებელია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს“ პოზიტიური მხარეების შესახებ ცნობადობის ამაღლება და შემ-დეგი ღონისძიებების გატარება:

- კოოპერატივების მეპაიეთა რაოდენობა ბარში უნდა განისაზღვროს 15, ხოლო მთიან რეგიონში 7 პირით;
- კოოპერატივების სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა;
- კოოპერატივების შიდასაწარმოო კონტროლის მექანიზმების ამოქმე-დება;
- წლის დასაწყისში კოოპერატივების მიერ საპაიო შენატანების ამ-სახველი დოკუმენტაციის წარმოდგენა;
- სააგენტოს მეშვეობით კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობის მონიტორინგი.

ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟი-მები სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი პროდუქტების ექსპორტირე-ბისთვის და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით: თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას-თან, თურქეთთან, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა აშშ-სთან, იაპონიასთან, კანადასთან. ასევე, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ეკონომიკაში ბოლო ათწლეულებში, მიმდინარე პროცესებმა ასახვა

პოვა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ზრდაზე. ეს განსაკუთრებით აისახა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებაზე. ამასთან, სოფლის მეურეობის ხელისშემშლელ ფაქტორებად დარჩა:

- მეურნეობების მცირე ფართობებად დაყოფა (სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა);
- წარმოების ნატურალიზაცია;
- ტექნოლოგიების, კაპიტალის, ინფრასტრუქტურის, საბაზისო ცოდნის ნაკლებობა (წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, წარმოების მოცულობის სიმცირე, მოსავლის დაბალი ხარისხი);
- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნების სოფლის განვითარების პოლიტიკაში, რომელიც 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს, 6 პრიორიტეტი იკვეთება:

1. სოფლის მეურნეობაში ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
2. სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ხელშეწყობა;
3. საკვები პროდუქტების წარმოებაში ღირებულებათა ჯაჭვის ორგანიზების ხელშეწყობა;
4. სოფლის მეურნებასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა;
5. რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა, საკვების წარმოებაში ეკოლოგიურად სუფთა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკის მხარდაჭერა;
6. სოფლად სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა [3].

ევროკავშირის მიდგომის მთავარი მიზანია საზოგადოების ძალისხმევით გამოვლინდეს ადგილობრივი პრიორიტეტები, საითკენაც მიმართული იქნება ინვესტიციები. ცვლილებების მამოძრავებელ ძალად საქართვე-

ლოში ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) მოიაზრებიან. სწორედ მათ აქვთ დაკისრებული პრიორიტეტების გამოვლენა. ამ მიდგომას ENPARD-ი საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში: ბორჯომში, ყაზბეგსა და ლაგოდეხში ნერგავს.

მეწარმეობის ხელშესაწყობად გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელის საქართველოში რაიმუნდ იელის მიერ ხელმოწერილ იქნა (ევროკავშირის ENFARDIII- ის ფაზის ფარგლებში) სოფლის მეურნეობის 12 მილიონი ევროს ღირებულების განვითარების ხუთწლიანი პროექტი [4].

ცხრილი #2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015-2017 წლები

	2015	2016	2017
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული	564549.	598947.	
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება სულ მლნ.ლარი	3652.7	3854.0	3921.8
პროდუქციის გამოშვება მლნ.ლარი	29993.3	34156.6	10716.8
წარმოების და რეალიზაციის ხარჯები, მლნ.ლარი	52861.2	59121.3	
შრომის ანაზრაურება, ლარი	47857	51226	1019.7
კაპიტალის მწარმოებლურობა, მლნ.ლარი	1208.0	1211.4	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური („მეწარმეობა საქართველოში“. სტატისტიკური პუბლიკაცია. 2017)

ცხრილი #3. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (%)

	2015	2016	2017	2018
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა	9.1	9.0	8.0	7.7
მრეწველობა	16.8	16.4	16.7	17.0
სხვა	39.0	39.3	38.2	38.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური („საქართველოს სოფლის მეურნეობა“. წლიური პუბლიკაცია.2019)

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. საგულისხმოა, რომ სამეწარმეო სექტორს განვითარებულ ქვეყნებ-

ში დიდი წილი უკავია. კერძოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმოებია. ბიზნესის ეს სეგმენტი, ქმნის ახალი სამუშაო ადგილების დაახლოებით 85 %-ს. ევროპის მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ დაფუძნებული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია მიმართულია მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე. საქართველოში არსებული საწარმოებიდან 99.7% მცირე და საშუალოა. იგი ქმნის დამატებული ღირებულების 58%-ს, მთლიანი წარმოების 56%-ს [5].

საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი(%) 2015-2018 წლებში:

ცხრილი #4. სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების ზრდის ტემპი

(მიმდინარე ფასებში, მლნ.ლარი)

	2015	2016	2017	2018
დამტებული ღირებულება	2 507.6	2 629.5	2 605.6	2 736.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (წლიური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ 2019)

ცხრილი #5. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 2015-2018

(ათასი ტონა)

ძირითადი პროდუქტები	2015	2016	2017	2018
ხორბალი	125.6	126.6	97.9	107.1
სიმინდი	184.6	243.7	142.5	194.2
კარტოფილი	186.5	249.0	180.1	237.5
ხილი, ყურძენი, კენკრა და ციტრუსი	436.3	411.1	353.0	327.2
ჩაის ფოთოლი	2.1	3.0	2.3	1.7
ხორცი	66.7	66.1	66.2	72.6
რძე	602.5	590.4	600.1	634.8
კვერცხი	602.5	590.4	600.1	634.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (წლიური პუბლიკაცია ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“ 2019)

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სექტორში კაპიტალური დაბანდებების რისკი, საწარმოო პირობების სირთულე, მაღალი ფონდტევადობა, საჭიროს ხდის მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინებას:

- მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება;
- ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობად გვევლინება სახელმწიფო ინსტიტუტი:

- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

აუცილებელია, ამ მიზნით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ამოცანების გათვალისწინება:

- ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
- მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა [6].

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოების დარგი ხასიათდება მახასიათებლებით:

- **ბაზრის სტრუქტურა სოფლის მეურნეობის სექტორში.** სოფლის მეურნეობის სექტორისთვის დამახასიათებელია თავისუფალი კონკურენციის ბაზრის სტრუქტურის პირობები;
- **სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების პროცესები** დაკავშირებულია ბუნებრივ - კლიმატურ პროცესებთან; სასოფლო-

სამეურნეო კულტურების ტერიტორიული და წარმოების სეზონური ხასიათი ამცირებს შრომის ნაყოფიერებას;

- **შრომის პერიოდების და წარმოების განსხვავებულობა.**

  შრომის დანახარჯების გაწევა უხდებათ ფერმერებს, პროდუქციის მიღებამდე რამდენიმე ხნით ადრე. წარმოების დიდ სივრცეზე გავრცელება კი იწვევს კვლავწარმოებისთვის აუცილებელი რესურსების მნიშვნელოვან დანახარჯებს.

- **მიწა (წარმოების საშუალება).**

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოებისთვის მნიშვნელოვანია მიწა, როგორც წარმოების ფაქტორი. მიწის ნაკვეთები განსხვავდებიან ნაყოფიერებით. შესაბამისად ადგილი აქვს კაპიტალდაბანდებათა განსხვავებული მოცულობის აუცილებლობას. საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების დიდ ტერიტორიაზე განლაგება იწვევს მისთვის საჭირო რესურსების ტრანსპორტირების დიდ დანახარჯებს, ამასთან აღნიშნულ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელ მიზეზად კაპიტალდაბანდებათა რისკი მოიაზრება.

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების ზრდისთვის მნიშვნელოვანია დანაწევრებულ მიწებთან ერთად, აუთვისებელი მიწების რესურსი. აღნიშნულ სექტორში მწარმოებლურობის ზრდა ორი გზით შეიძლება განხორციელდეს: ათვისებული მიწის ფართობების ზრდითა და რესურსებით (სასუქები, პესტიციდები, ტექნიკა). შესაბამისად თითოეული დასაქმებულის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მატებას ექნება ადგილი, მიწის ნაკლებ მფლობელობიდან მაღალ მფლობელობამდე.

სოფლის მეურნეობაში წარმოების უმთავრეს და მუდმივ საშუალებად მიწა გვევლინება. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში წამყვან როლს იკავებს. ჯერ კიდევ, 90-იან წლებში მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემაზე ნეგატიურად იმოქმედა მაკროეკონომიკურმა არასტაბილურობამ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საომარმა კონფლიქტებმა, საბანკო კრედიტების მიღების შეზღუდულობამ, სატრანსპორტო ქსელის მოშლამ და ელექტროენერგიის დეფიციტმა. 1992

წელს დაიწყო მიწის რეფორმის პროცესი და გაგრძელდა 1994 წელს „დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ“. ამავე პერიოდში გადამამუშავებელი საწარმოების დაცემა სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა.

საინტერესოა, ეკონომიკურ ურთიერთობათა თავისებურებების განსაზღვრა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებაში:

1) სოფლად ფერმერები შეზღუდულნი არიან წარმოებულ პროდუქციაზე ფასების მომატების კუთხით, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებლებს საქონლის გაფორმების ხარჯზე ფასის გაზრდა შეუძლიათ.
2) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ორგანულ თვისებათა უცვლელობა იწვევს თუ რა რაოდენობის საქონელი ან მომსახურება შეიძლება მიიღოს სოფლის მეურნეობის მწარმოებელმა მის მიერ წარმოებული პროდუქციის ერთეულზე სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების საკეთილდღეოდ.
3) მომხმარებლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ერთნაირი ოდენობით შეიძენენ ფასების ზრდის ან შემცირებისას (ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გათვალისწინებით).
4) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობს სოფლის-მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის-მიწოდების სტიმულირებას.
5) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისთვის მუდმივ ხარჯებს და წარმოების ხანგრძლივ პერიოდის შედეგად, რთულია მოთხოვნის შემცირებასთან მყისიერად მიწოდების შემცირებაც [7. 9].

1.2. გადამამუშავებელი წარმოების ფაქტორები და ფაქტორული ანალიზი

ეკონომიკური რესურსები (ბუნებრივი და ადამიანური რესურსები) გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ამ შემოსავლის შემქმნელი ოთხი ფაქტორის მიხედვით ნაწილდება. წარმოების ფაქტორთა თეორიის მიხედვით

მიწა, როგორც წარმოების ფაქტორი მოიცავს წყლის რესურსებს, ჰაერს, სათეს მიწებს და ა.შ. კაპიტალი - წარმოების საშუალებებს (მანქანას, სატრანსპორტო საშუალებას, სასაწყობო საშუალებას, შენობა - ნაგებობებს), შრომა - ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. მეწარმეობის უნარს კი აღნიშნული ფაქტორები მოჰყავს კომბინაციაში, იღებს გადაწყვეტილებებს [8. 144].

ფაქტორს მისი მფლობელისათვის შესაბამისი შემოსავალი მოაქვს (რენტა, პროცენტი, ხელფასი, სამეწარმეო მოგება). თავის მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს როგორც წარმოების ფაქტორს მოაქვს შემოსავალი (ბიზნესზე ირიბი გადასახადები). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალუკუგების მაჩვენებელი, როგორც წარმოებაში კაპიტალის მონაწილეობის შემფასებელი გვიჩვენებს თანაფარდობას გამოშვებულ პროდუქციას და ძირითადი კაპიტალის მოცულობას შორის. საყურადღებოა, შრომის მწარმოებლურობის გაზომვა სამუშაო დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის მიხედვით.

წარმოების ფაქტორებთან ერთად, თუ რას აწარმოებს ფერმერი, რა შემოსავალი აქვს და რამდენს დაასაქმებს, საყურადღებოა მათი ფაქტორული ანალიზი ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელ წარმოებაში ერთის მხრივ კაპიტალზე (მატერიალურ-ნივთობრივ ქონებაზე) ზემოქმედებას ახდენს წარმოების ინტენსივობის დონე, კლიმატური პირობები, მეურნეობათა სპეციალიზაცია. ამასთან, მეორეს მხრივ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე კი მექანიზაციის მაღალი დონე, მუშაკთა შრომის მოტივაციის ხარისხი. გარდა ამისა დიდი როლი ეკისრება:

- სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების სპეციალიზაციის გაძლიერებას;
- შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვას;
- სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელ წარმოებაში მუშაკების კვალიფიკაციის და სტიმულირების ამაღლებას;

იმ შემთხვევაში თუ წარმოების პროცესში წარმოების ფაქტორების დამატებითი ჩართვით, დამატებითი პროდუქტი მიიღება, მეწარმეები მოგების მაქსიმიზაციის მიზნით წარმოების ფაქტორთაგან რომელიმეს მოთხოვნას იმ პირობით წაუყენებენ. მეწარმე, რომელიც განკარგავს მიწას, შრომას, კაპიტალს და ეწევა რისკს, შედეგად წარმოების ფაქტორებით მიღებული შედეგების წინასწარ განსაზღვრა რეალურად შეუძლებელია. მეწარმის ინტერესებშია, რომ რეალიზაციიდან მთლიანი შემოსავალი აღემატებოდეს ყველა საწარმოო დანახარჯს.

წარმოების „დომინირებადი“ ფაქტორების კონცეფციის თანახმად, დოვლათის ყოველი კონკრეტული სახეობის წარმოებაში წარმოების ყველა ფაქტორი კი არის გამოყენებული, მაგრამ წარმოების შედეგიანობის ზრდის განმსაზღვრელი მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. კონცეფციის ავტორები სამი სახეობის წარმოებას განასხვავებენ: კაპიტალდომინირებადს, მასალადომინირებადს, შრომადომინირებადს.

წარმოების ისეთი პროცესებია კაპიტალდომინირებადი, რომლებსაც მუშები აკონტროლებენ. მასალადომინირებადს წარმოების ისეთი პროცესები მიეკუთვნება, რომლებშიც წარმოებრივი შესაძლებლობები ბუნებრივ რესურსებზეა დამოკიდებული (სოფლის მეურნეობა). შრომადომინირებადი წარმოების ის პროცესებია, რომლებშიც მუშების კვალიფიკაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

წარმოების მეწარმედომინირებად პროცესებს მიეკუთვნება ის ინოვაციები, რომელთა განხორციელებაც მეწარმის ინიციატივას უკავშირდება. სახელმწიფო დომინირებადი წარმოება ისეთი პროცესია, რომელშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ უნარს აქვს, ხოლო წარმოების ყველა ფაქტორი მასზე დაქვემდებარებულ ფუნქციას ასრულებს.

საზოგადოებრივი დოვლათის საწარმოებლად აუცილებელია დანახარჯების განხორციელება, სადაც მნიშვნელოვანია პირდაპირი და ირიბი გადასახადები. პირდაპირი გადასახადები არის ამ დოვლათის მომხმარებლების მიერ „შეძენის“ საზღაური, ხოლო ირიბი გადასახადები სახელმწიფოს

ეკონომიკური უნარის ფაქტორული შემოსავალი [8. 144].

წარმოების ფაქტორები ღირებულების შექმნის ძირითადი ეკონომიკური რესურსებია. ფაქტორული ანალიზი მრავალგანზომილებიანი მათემატიკური სტატისტიკის მეთოდია, რომელიც გამოიყენება სოციალურ ობიექტთა ნიშნებსა და მახასიათებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გასაზომად და კლასიფიკაციისთვის. მისი საშუალებით გამოვლინდება სტრუქტურული კავშირურთიერთობები ცვლადებს შორის: შედეგად გამოყოფენ ისეთ ცვლადებს, რომლებიც ყველაზე უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს.

მრავალგანზომილებიანი ფაქტორული ანალიზის მიდგომა გულისხმობს, რომ კვლევაში ჩართული ცვლადები ერთი და იგივე მოვლენის ნიშანთვისებებია. ფაქტორული ანალიზის ამოსავალია საწყის ცვლადებზე მოქმედი მიზეზების-ფაქტორების კლასიფიკაცია ზოგად და სპეციფიკურ ფაქტორებად. ზოგადი მიზეზები ცხადია, უშუალოდ არ ვლინდება, ისინი საწყის ცვლადებთან განზოგადებით მიიღება. ამ გაგებით ზოგადი ფაქტორები ფარული ხასიათისაა. თუ ზოგად ფაქტორებს გამოვავლენთ და დამოუკიდებელი ცვლადების სახით შემოვიტანთ, შევძლებთ მოვახდინოთ საწყისი ცვლადების რედუქცია(დაყვანა) ზოგად ცვლადებზე.

ფაქტორული ანალიზი ეწოდება იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია:

- საწყის მონაცემთა რედუქცია (დაყვანა) ზოგად მონაცემებზე;
- ზოგადი ფაქტორების გამოვლენა და შინაარსობრივი ახსნა.

ზოგადი ფაქტორები ორთოგონალურია. შესაბამისად, საწყისი ცვლადების რედუქცია ზოგად ფაქტორებზე თავიდან აგვაცილებს ცვლადების ურთიერთქმედების აღწერისა და ახსნის სირთულეს. გარდა ამისა ზოგადი ფაქტორების მაქსიმალური რაოდენობა საწყისი ცვლადების რაოდენობას ვერ გადააჭარბებს.

ფაქტორული ანალიზის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მონაცემთა რიცხვის შემცირება ითვლება და მას ხშირად საწყისი ცვლადების რაოდენობის მინიმიზაციის მიზნით იყენებენ. ზოგადი ფაქტორების რაოდენობის

დასადგენად, სტატისტიკურ მეთოდებთან ერთად, შინაარსობრივი მოსაზრებებიც უნდა გამოვიყენოთ (კვლევის მიზანი და ამოცანები, გასაანალიზებელი მასალის სპეციფიკა და სხვა).

ზოგადი ფაქტორები სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდით შეიძლება გამოვიყენოთ. თითოეული მათგანი განსხვავებულ მიდგომას ემყარება და სპეციფიკური ფაქტორული მოდელის აგების საფუძველია. ცენტროიდული მეთოდის მიხედვით ყოველი ზოგადი ფაქტორი მეტ-ნაკლებად თითოეულ საწყის ცვლადზე ზემოქმედებს, ხოლო

¡ _ ური სპეციფიკური ფაქტორი

¡ _ ური საწყისი ცვლადის უნიკალურობას გამოხატავს, რომლის განზოგადებაც მოცემულ პირობებში შეუძლებელია.

ამ მეთოდის საფუძველზე აგებული ფაქტორული მოდელის ამოცანაა საწყისი ცვლადების ასახვა მინიმალური რაოდენობის ზოგადი ფაქტორების წრფივ კომბინაციაში:

$$x_1, x_2, ..., x_n \rightarrow F_1, F_2, ...F_{m(msn)},$$

სადაც:

$$x_i = \sum a_{iK} F_k + U_i;$$

F_K არის K ური„ლიტენტური“ ცვლადი/ K ური ზოგადი ფაქტორი;

a_{ik} არის K - ური ზოგადი ფაქტორის დატვირთვა X_i ცვლადთან მიმართებაში.

იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია F_K ზოგადი ფაქტორის გავლენა საწყის X_i ცვლადზე; $a_{ik}F_k$ არის საწყისი X_i ცვლადის ემპირიული მნიშვნელობების ის ნაწილი, რომელსაც იგი სპეციფიკურ ფაქტორის გავლენით იღებს და შესაბამისად, X_i ცვლადის დამახასიათებელ თავისებურებებად ითვლება. ცვლადები სტანდარტიზებულია, ხოლო ფაქტორები ორთოგონალური [9. 107].

უნდა აღინიშნოს, რომ გადამამუშავებელი წარმოების ეფექტიანობა საწარმოო ფაქტორების გამოყენების შედეგია. გადამამუშავებელი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე კი მოქმედებს, როგორც საწარმოს მიერ

რეგულირებადი ფაქტორები (წარმოების სპეციალიზაცია, მოსავლიანობა, შრომის თვითღირებულება) ასევე არარეგულირებადი (ფასწარმოქმნა, საგადასახადო სისტემა, ინფლაციური პროცესები).

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად ეროვნული წარმოების გაზრდა, ფერმერთა წამახალისებელი მაღალი ფასების შენაჩუნება და მოსავლის დაზღვევის უზრუნველყოფა აღიქმება. შესაბამისად საყურადღებოა: [10. 312]

ცხრილი #6. პროდუქციის საწარმოო და მოხმარების ფაქტორები

პროდუქციის საწარმოო ფაქტორები	პროდუქციის მოხმარების ფაქტორები
მიწა (შესყიდვა-გაყიდვით ადგილობრივი დასახლებული პუნქტების განვითარება)	**მოსახლეობის ზრდა** (მოსახლეობა მოთხოვნის მთავარი დეტერმინანტია)
კლიმატური პირობები (პროდუქციის წარმოების მრავალფეროვნება)	**შემოსავლები** (საკვები პროდუქტების მოხმარების დონე, შემოსავლების გადანაწილებასთან ერთად იცვლება)
მართვა (კომპანიები კოორდინაციას უწევენ მიმწოდებლებისა და დისტრიბუტორების ღირებულებით ჯაჭვს)	**გარემო პირობები** (საკვები პროდუქტებ-ის მოხმარების მრავალსახეობას განსა-ზღვრავს გარემო პირობების სხვადა-სხვაობა)
ინვესტიციები (ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა)	**ფასები და გადასახადები** (ფასების ზრდა უარყოფითად აისახება სურსათის მოთხოვნაზე, კომპანიები კი ოფშერული ზონებისკენ მიისწრაფიან)
ტექნოლოგიური პროგრესი (პროდუქციის ექსპორტის, სახელმწიფო ადმინისტრირების ფონზე)	**მიწოდება** (სურსათის მიწოდებასთან ერთად მნიშვნელოვანია, მისი თანაბარი გადანაწილება მოსახლეობის ფენებს შორის)
სამუშაო ძალა (შემცირება გავლენას ახდენს პროდუქციის წარმოებაზე)	**სხვა გარე ფაქტორები** (ადამიანებს, კორპორაციებს და ქვეყნებს შორის ხდება შემოსავლების, რესურსებისა და სიმდიდრის კონცენტრაცია)
პოლიტიკური მდგომარეობა (საომარი მდგომარეობა და კატაკლიზმების გავლენა)	**ვაჭრობა** (ექსპორტის ზრდა,რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, იმპორტი კი პირიქით)

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (N 23, 2009 წელი)

რაც შეეხება ფაქტორული ანალიზის რაკუსით, მეტად საინტერესო აღმოჩნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- ოჯახური მეურნეობების წილი კულტურათა სხვადასხვა ჯგუფების ნათეს ფართობებში;
- სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი კულტურთა სხვადასხვა ჯგუფების ნათეს ფართობებში;
- ერთწლიანი ნათესი ფართობები;
- მრავალწლოვანი ნათესი ფართობები;
- ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა;
- მრავალწლოვანი კულტურების (ყურძნის, ციტრუსის, ჩაის ფოთ-ლის) წარმოება;
- სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი პროდუქტებისა და წლების მიხედვით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები, გაანგარიშებული ერთ შინამეურ-ნეობაზე ინდიკატორებისა და წლების მიხედვით.

ოჯახური მეურნეობების წილი: სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი:

2014 წელს - 97%; 2014 წელს-3 %;

2015 წელს - 95%; 2015 წელს -5%;

2016 წელს -94%; 2016 წელს - 6%;

2017 წელს - 94%; 2017 წელს - 7%;

2018 წელს - 93%. 2018 წელს - 7%.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები:

2014 წელს-132 (ათასი ჰექტარი)

2015 წელს- 123 (ათასი ჰექტარი)

2016 წელს - 124 (ათასი ჰექტარი)

2017 წელს -104 (ათასი ჰექტარი)

2018 წელს - 103 (ათასი ჰექტარი)

მრავალწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები:

2014 წელს - 35(ათასი ჰექტარი)

2015 წელს - 37(ათასი ჰექტარი)

2016 წელს -36 (ათასი ჰექტარი)

2017 წელს - 31 (ათასი ჰექტარი)

2018 წელს -36 (ათასი ჰექტარი)

ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰექტარზე):

2014 2015 2016 2017 2018

ხორბალი(საშემოდგომო, საგაზაფხულო) 1.4 2.6 2.6 2.2 2.5

სიმინდი 2.3 1.7 2.6 1.8 2.7

ლობიო 0.6 0.6 0.7 0.7 0.6

კარტოფილი 11.7 8.3 12.3 9.0 12.5

ბოსტნეული 6.6 6.6 8.2 7.3 8.8

მრავალწლოვანი კულტურების (ციტრუსი, ჩაის ფოთოლი, ყურძენი) წარმოება (ათასი/ტონა):

2014 2015 2016 2017 2018

ციტრუსი 70 78 66 58 66

ჩაის ფოთოლი 2 2 3 2 1

ყურძენი 173 215 159 181 260

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით აღმოჩნდა:

2014 – 60 (ლარი)

2015 – 70 (ლარი)

2016 – 63 (ლარი)

2017 – 49 (ლარი)

2018 – 57 (ლარი) [11]

1.3. წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორული ანალიზი

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებას ექსპორტ-იმპორტის კუთხით, მნიშვნელოვანია რეალურად რა იწარმოება, რომელი კულტურები უნდა მოიძებნოს, რომ ჩანაცვლებული იქნას იმპორტი. ასევე გასათვალისწინებელია, რომელ პროდუქტებზეა მოთხოვნა, ადგი-

ლობრივზე თუ უცხოურზე.

საქართველო ისწრაფის ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციისკენ. საყურადღებოა, საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია საბაჟო ტარიფების და კვოტების ეტაპობრივი გაუქმების გათვალისწინებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში. თავის მხრივ კი ექსპორტის და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის საჭიროა:

1. წარმოების ეკონომიკური კრიტერიუმების მაჩვენებლები ეფექტიანობის მიხედვით;
2. ხარისხის ეროვნული ინსტიტუტების ინტეგრაცია საერთაშორისო სიტემებში;
3. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სისტემების განვითარება საერთაშორისო ნორმების შესაბამისად;
4. გეოგრაფიული ადგილწარმოშობის დასახელების სქემის გაფართოება;
5. არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების განვითარება;
6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარება.

საგულისხმოა, რომ (DCFTA) საქართველოში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების სექტორისთვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. ის აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. ამასთან, ევროკავშირის ბაზარი მოიცავს დისტრიბუციის გამართულ ქსელს, სტაბილურ ბაზარს, ნატურალურ პროდუქტებზე მოთხოვნას და სურსათზე მზარდ ფასებს. საყურადღებოა, რომ ქართველ ექსპორტიორებს ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად მოუწევთ შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- გამოიყენენონ ევროკომისიის პესტიციდების ბაზა;
- სურსათის უვნებლობა წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე (სურსათის უვნებლობის სფეროში საკანონ-

მდებლო დაახლოება განხორციელებულია ევროკავშირის პირველ სამართლებრივ აქტთან. ჩატარებულია 1,807 სურსათის ნიმუშზე ლაბორატორიული კვლევა);

- 28 დასახელების საქონლის ჯგუფზე დაწესებული ე.წ. ,,შესვლის ფასი";
- გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი (სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სატარიფო ხაზი);
- თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ სარგებლობისათვის აუცილებელი სერთიფიკატი EUR-1 [12].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მოხმარებაში იმპორტის წილითა და იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობით ხასიათდება. ქვეყნის შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა კი განისაზღვრება ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით და იანგარიშება შემდეგი მეთოდით:

$$V_m = V_p + V_{im} - V_{ex},$$

სადაც V_m - ბაზრის მოცულობა;

V_p - შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში წარმოებულ საქონლის/მომსახურების მოცულობაა, რომელიც არ მოიცავს ეკონომიკური აგენტის მარაგებს და მის მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურების იმ მოცულობას, რომელიც გამოყენებულია საკუთარი წარმოებისათვის. V_{im} - საქონლის იმპორტის /შეზიდვების მოცულობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში; V_{ex-} განსაზღვრული საქონლის ექსპორტის/გაზიდვების მოცულობა შესაბამისი სასაქონლო ბაზრიდან [13].

ამას გარდა, თეორიული მიდგომები განიხილავენ ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის განმსაზღვრელ ოთხი ძირითად ელასტიკურობას:

- კავშირი ექსპორტ-იმპორტის ფასებსა და მათ მოცულობებს შორის;
- კავშირი ექსპორტ-იმპორტის ფასებსა და რეალურ გაცვლით კურსს შორის.

ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ექსპორტის მოცულობას განსაზღვრავს, ექსპორტულ საქონელსა და მომსახურებზე მოთხოვნა და მათი შედარებითი ფასები. კერძოდ, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში რეალური მშპ-ს ზრდა დადებითად აისახება რეალური ექსპორტის მოცულობაზე და პირიქით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომელიც 60 განვითარებული და ასევე განვითარებადი ქვეყნების ანალიზს ეყრდნობა, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რეალური მშპ-ს 1%-ით გაზრდა ექსპორტის მოცულობას 2,3%-ით ზრდის. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების (ბულგარეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, იაპონია, აშშ, ევროკავშირის ქვეყნები) რეალური მშპ-ს 1%-ით ზრდა საქართველოს რეალური ექსპორტის მოცულობას 2,27%-ით ზრდის და პირიქით.

საექსპორტო საქონელზე მოთხოვნა ასევე დამოკიდებულია ექსპორტის შედარებით ფასებზე. გასათვალისწინებელია, რომ **რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად შედარებითი ექსპორტის ფასები მცირდება, რაც ზრდის ექსპორტის მოცულობას და პირიქით.**

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 1%-ით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარება რეალური ექსპორტის მოცულობას საშუალოდ 0,36 %-ით ამცირებს, ხოლო რეალური იმპორტის მოცულობას საშუალოდ 0,43%-ით ზრდის, რაც 2-3 კვარტლის შემდეგ აისახება. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებას კი საპირისპირო ეფექტი აქვს.

ექსპორტის შედარებითი ფასებისა და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს შორის კავშირი წარმოდგენილია, როგორც:

$$I_n\left(\frac{eP^x}{p^*}\right)_t = \alpha + \beta I_n\left(\frac{e^p}{p^*}\right)_t + \varepsilon_t$$

__წყარო:__ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

სადაც, P^x არის ექსპორტის ფასები ლარებში;

p^* ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სამომხმარებლო ფასების შეწონილი ინდექსი;

e არის- ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი;

$\frac{e^p}{p^*}$ რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი.

იმპორტის შედარებითი ფასებისა და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს შორის კავშირი წარმოდგენილია, როგორც:

$$I_n\left(\frac{P^m}{P}\right)_t + \alpha + \beta I_n\left(\frac{e^p}{p^*}\right) + \varepsilon_t$$

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

სადაც,

P^m არის იმპორტის ფასები;

P არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი;

p^* არის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების შეწონილი სამომხმარებლო ფასების ინდექსი; e ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი;

$\frac{e}{p^*}$ რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსი;

ეკონომიკურ თეორიებზე დაყრდნობით, შიდა მოთხოვნა და ადგილობრივ ფასებთან შედარებით იმპორტის ფასები იმპორტის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორებია. საერთაშორისო პრაქტიკით, რეალური მშპ-ს მოცულობა გამოიყენება იმპორტზე შიდა მოთხოვნის გასაანალიზებლად. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საქართველოს საქონლისა და მომსახურების იმპორტის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს რეალური მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამური მოცულობა (აბსორპაცია) წარმოადგენს. კერძოდ, მოკლევადიან პერიოდში რეალური მოხმარებისა და ინვესტიციების ჯამური მოცულობის 1%-ით ზრდის შედეგად, რეალური იმპორტის მოცულობა 1,25%-ით იზრდება და პირიქით.

აქვე გასათვალისწინებელია რომ, **იმპორტირებული საქონლის შედარებითი ფასები იზრდება სხვა საქონელთან შედარებით რეალური გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად.** ეს უარყოფითად აისახება რეალური იმპორტის მოცულობაზე. ამასთან, იმპორტის მოცულობაზე წინა პერიოდის იმპორტის 1%-ით ზრდა 0,81%-ით ზრდის მომავალი პერიოდის იმპორტს

და პირიქით [14].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კონკურენტული გარემოს შექმნა ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ამასთან, წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენციის ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია იმპორტშემცვლელ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელ წარმოებაზე ორიენტირებული სტრატეგია. პროდუქტის, ფირმის, დარგის, რეგიონის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა შესაძლებლობაა, კონკურენტული ბაზრის გარემოცვაში იმოქმედო ხარისხით და ღირებულებით.

კონკურენციის დონე განისაზღვრება ინდექსებით:

- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი;
- ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსით;
- პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ინდექსით და სხვ.

უდაოა, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია, იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერად იყენებს იგი ეროვნულ ბუნებრივ, შრომით, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს. ამავე დროს, ნებისმიერი კონკურენცია, გარკვეულწილად ეკონომიკის სრულყოფის სტიმულს წარმოადგენს [15. 67].

საყურადღებოა, ასევე პორტერის „ალმასის“ მოდელის მიხედვით კონკურენტუნარიანობის შეფასება ოთხი ძირითადი და ორი დამატებითი ფაქტორით:

- ფაქტორის პირობები;
- მოთხოვნის პირობები;
- მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები;
- ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია;
- სახელმწიფო ფაქტორები;
- შანსის ფაქტორები:

- სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელ წარმოებაში ფაქტორული პირობების (სამუშაო ძალის არსებობა, მეცნიერული პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები, ინფრასტრუქტრა) გამოყენება კონკურენციისთვის;

- მოთხოვნის პირობების (მომხმარებლის მოთხოვნილებები, ბაზრის მოცულობა, შიდა მოთხოვნის ხასიათი და.ა.შ) შესაბამისად საყურადღებოა მოთხოვნის მოცულობის და მოთხოვნის ხარისხის განსაზღვრაც;
- საქართველოს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე პროდუქციის კონკურენტუნარიანობა კავშირშია ინოვაციური საქმიანობის გაუმჯობესებასთან, ახალ ტექნოლოგიებთან, ბაზრის ახალ სეგმენტთან, მყიდველთა ახალ მოთხოვნებთან და ა.შ.;
- სასოფლო-სამეურნეო სექტორში მონათესავე და მხარდამჭერი დარგები მიმართულია მომიჯნავე დარგების განვითარებაზე, ინფორმაციის გაცვლაზე სხვადასხვა სპეციალიზაციის დარგებს შორის;
- ფირმის სტრატეგიით, სტრუქტურით და კონკურენციით ხდება შეფასება ინოვაციების, კონკურენტული გარემოს და სხვ. [16].

ერთის მხრივ სახელმწიფო ფაქტორები (სასოფლო-სამეურნეო სექტორში სახელმწიფო ეკონომიკური პრიორიტეტები, სასოფლო-სამეურნეო სფეროს ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები, წარმოების მარეგულირებელი ბაზა), ხოლო მეორეს მხრივ შანსის ფაქტორები (ქართული კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები) მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად.

გლობალური გარემოს გათვალისწინებით, საქართველოში მეტად მნიშვნელოვანია წარმოებულ და იმპორტირებული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობის მიმართულებების გაანალიზება. ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზი მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის IMD და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მიერ ხორციელდება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF)-ის მიხედვით კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფატორთაგან აღსანიშნავია:

- ჯანმრთელობა და საბაზო განათლება;
- უმაღლესი და პროფესიული განათლება;
- პროდუქტის ბაზრის ეფექტიანობა;

- შრომის ბაზრის ეფექტიანობა;
- ბიზნეს ტექნოლოგიების სირთულე;
- ინოვაციები;
- ინსტიტუტები;
- ინფრასტრუქტურა;
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
- ფინანსური ბაზრის განვითარების დონე;
- ტექნოლოგიური მზადყოფნა;
- ბაზრის ზომა.

საყურადღებოა, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ თანახმად, საქართველო 140 ქვეყანას შორის 60.9 ქულით 66-ე ადგილს იკავებს. ასევე, მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა [17].



გრაფიკი #1. 2018-2019 წლებში საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

წყარო: საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ასევე მნიშვნელოვანია, ფაქტორთა დეტერმინანტებზე დამოკიდებულების, როგორც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის კონცეფციის მიხედვით წარმოებული **პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები:**

- ✓ საწარმოების მონაწილეობის დონე გლობალურ წარმოებით ჯაჭვში (რაც გლობალურ გამყიდვლებთან და მწარმოებლებთან ურთიერთობის გარეშე ძალზე რთულია);
- ✓ სტიმულების მობილიზება (სავალუტო კურსის პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა);

  უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებია;
- ➢ პროდუქტების დივერსიფიკაცია წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის, რომლის მაღალი მაჩვენებელი იცავს ქვეყანას საგარეო შოკისგან.
- ➢ ადაპტაციური ეფექტი, თუ როგორ შეესაბამება ექსპორტი მსოფლიო მოთხოვნებს. საქართველოსთვის ამ შემთხვევაში, მხოლოდ გადამამუშავებელი პროდუქტებით და ხის ნაწარმით ხდება მისადაგება მსოფლიო მოთხოვნებთან [18. 205].

ცხრილი #7. კონკურენტუნარიანობის ფაქტორები და ქვეფაქტორები მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიხედვით

ეკონომიკური მდგომარეობა	სახელმწიფოს ეფექტიანობა	ბიზნესის ეფექტიანობა	ინფრასტრუქტურა
შიდა ეკონომიკა	სახელმწიფო ფინანსები	მწარმოებლურობა	საბაზო ინფრასტრუქტურა
საერთაშორისო ვაჭრობა	ფისკალური პოლიტიკა	შრომის ბაზარი	ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა
საერთაშორისო ინვესტიციები	ინსტიტუციური სტრუქტურა	ფინანსები	მეცნიერული ინფრასტრუქტურა
დასაქმება	ბიზნესის კანონმდებლობა	მენეჯმენტის პრაქტიკა	ჯანდაცვა და გარემო
ფასები	სოციალური სტრუქტურა	ურთიერთობები და ფასეულობები	განათლება

წყარო: IMD(2009).World Competitiveness Yearbook 2009.
(ევგენი ბარათაშვილი, ბადრი გეჩბაია, ვლადიმერ ღლონტი) საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევევები

საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა. აღნიშნული ფაქტორი კი ხელს უწყობს ეროვნული წარმოების წინსვლას.

უწინარეს ყოვლისა, გავაანალიზოთ საქართველოს სასურსათო საქონლის ექსპორტ-იმპორტი **2017-2019** წლების მიხედვით.

2017-2018. 2017 წელს ეროვნული ვალუტების გაუფასურება შენელდა საგარეო სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. ევროპის წევრ ქვეყნებში ეკონომიკურმა გაჯანსაღების პროცესებმა გამოიწვია ევროს გამყარება. 2017 წლის მეორე ნახევარში ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებში ქართულ ექსპორტზე მოთხოვნის ზრდას ნავთობის ფასის ზრდამ ხელი შეუწყო. აღსანიშნავია, თურქეთის ეკონომიკური ზრდა, რამაც საქართველოს საგარეო სექტორზე დადებითი გავლენა მოახდინა. ამავდროულად, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება რუსეთსა და საბერძნეთში ფულადი გზავნილების შემოდინებზე აისახა. ასევე, საგარეო მოთხოვნის ზრდას, ხელი შეუწყო 2015-2016 წლებში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ. შესაბამისად, გაუმჯობესდა საქართველოს კონკურენტუნარიანობა.

ცხრილი №8. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

ქვეყანა	2017	2018
ევროკავშირი	646450.6	209426.0
რუსეთი	394712.4	98207.0
აზერბაიჯანი	272172.5	76435.2
უკრაინა	124449.8	31453.3
ყაზახეთი	51447.1	15643.3
სომხეთი	208702.5	54639.4
თურქეთი	216567.1	93539.7
ბელარუსი	27466.4	5579.9
ჩინეთი	2072180	20425.5
იორდანია	86.8	13.1

ცხრილი №9. საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

ქვეყანა	2017	2018
რუსეთი	788970.2	292564.8
ევროკავშირი	2198182.9	828363.7
უკრაინა	445241.6	2920.4
თურქეთი	1374644.4	443798.1
ბრაზილია	95743.2	22804.8
აშშ	267803.8	101752.6
სომხეთი	281272.0	102926.9
ჩინეთი	732323.4	229200.6
აზერბაიჯანი	609802.6	242942.3
ეკვადორი	18950.5	5975.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში, 2019

იმპორტის რეგიონალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2017 წელს იმპორტი უმნიშვნელოდ შემცირდა ევროკავშირის ქვეყნებიდან (-0.8 %-ით). მასში დიდი წვლილი შეიტანა ნიდერლანდებიდან, იტალიიდან იმპორტის კლებამ. ამის საპასუხოდ თურქეთიდან და ყაზახეთიდან იმპორტი გაიზარდა.

2018 წელს მარტში რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აშშ-დან, ჩინეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტმა მოიმატა. 2018 წლის იმპორტი წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით უფრო დივერსიფიცირებულია. 2018 წლის მარტში, იმპორტირებული საქონლის უდიდეს წილს, (9.3 პროცენტს), ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა. 2018 წლის მარტში ექსპორტი წლიურად (33.1 %-ით) გაიზარდა. მასში დიდი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანში რეექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი ავტომობილებს, სიგარეტებს უკავშირდება. რუსეთში გაიზარდა ექსპორტი ფეროშენადნობების, მინერალური წყლების და ნატურალური ღვინოების. ევროკავშირის ქვეყნებში კი ექსპორტის მატება ბულგარეთსა და მალტაზე აისახა.

2019 წლის საქსტატის ექსპრეს მონაცემების მიხედვით იანვარ-ივლისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7 065.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე წელს საქართველოდან ევროკავშრის ქვეყნებში განხორციელდა 503.5 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი. იმპორტის მოცულობამ კი 1 783.7 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. ამავე დროს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 1 105.8 მლნ. აშშ დოლარის საქონელი. იმპორტის მოცულობამ კი 1 303.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით: [19]



გრაფიკი #2. 2019 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქონლის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, 2019)

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში წარმოებული კვების პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილება მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო დარგობრივი სტრუქტურების შექმნას სასურსათო ბალანსის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად აუცილებელია მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის თანაფარდობა, ფასების ცვლილებების, საგარეო ვაჭრობის და უცხოური ვალუტის რეჟიმის გათვალისწინებით.

ამრიგად, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მასალების ანალიზით ქვეყანაში არ იწარმოება იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქცია, რაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნას. შედეგად ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იმპორტირებული საკვები პროდუქტების ხარჯზე. სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების იმპორტის მეტობა ექსპორტთან განპირობებულია, დაბალი კონკურენციით და წარმოების დაბალი მოცულობით. შესაბამისად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების სტატისტიკური მონაცემების, პარტნიორ ქვეყნებთან შედარება საშუალებას მოგვცემს კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად და განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შესაღწევად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბაზარზე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პროდუქციის სერტიფიკაცია, მეურნეობების დანაწევრება, წარმოების ნატურალიზაციის აღმოფხვრა და ადგილობრივი პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების და ფერმერების უნარების შესაძლებლობების გაძლიერება. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია.

თავი II. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების და გადამუშავებული პროდუქციის იმპორტის ანალიზი

2.1. სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის წარმოება საქართველოში

დღეისთვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულია 900-ზე მეტი მოქმედი და 200 ახალი საწარმო, გაშენებულია 6,347 ჰა-ზე მეტი მრავალწლოვანი ბაღი, სადაც სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება 34 მილიონ ლარს აღწევს. პროექტში ჩართულ ბენეფიციართა უმრავლესობას კოოპერატივები შეადგენენ. 2019 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ახლად სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობამ 4357 შეადგინა, მათგან 1021 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია [20].

საქართველოში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის მრავალფეროვნებას ხელს უწყობს განსხვავებული რელიეფი, მიკროკლიმატი და ნალექების რაოდენობა.

საყურადღებოა, ევროკავშირის ინიციატივა „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ (EU4Business), რომელიც მოიცავს 43 პროექტს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერათ.

უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის მიმართულებების გათვალისწინება აღნიშნულ სექტორში:

1. აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
2. ინსტიტუციური განვითარება;
3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება;
4. რეგიონული და დარგობრივი განვითარება-დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარ-ჩუნება [21].

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების რეალიზაციისთ-ვის საჭიროა მისი უვნებლობა და ხარისხი, ასევე დიდი მატერიალური და-ნახარჯები. თავის მხრივ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი ყალიბდება მიწის, მატერიალური, შრომითი ხარისხის გავლენით. საზოგა-დოდ, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის ხარისხს განაპირობებს:

- ✓ სოფლის მეურნეობის გადამუშავების პროდუქტების სარგებ-ლიანობა;
- ✓ მომხმარებლის გემოვნება;
- ✓ გადამუშავების სტადიაზე წარმოების ტექნოლოგია.

ცხრილი #10. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)

	2015	2016	2017	2018
სულ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანი გამოშვება	4512.6	4763.2	5187.2	1217.0
ხორბლის ფქვილი	495.2	482.3	531.5	136.2
საკონდიტრო ნაწარმი	1426.2	1416.7	1529.6	238.3
ხორცის პროდუქტები	189.5	207.1	210.6	40.8
რძის პროდუქტები	652.0	620.7	592.8	180.9
ალკოჰოლური სასმელები	617.0	765.2	999.7	328.4
კვების მრეწველობის სხვა პროდუქტები	1132.6	1271.3	1323.1	292.4

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (წლიური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ 2019 წ.)

ასევე მნიშვნელოვანია მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგების წარმოების გაანალიზება:

ცხრილი #11. სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მილიონი ლარი, %)

	2015	2016	2017	2018	2019
სოფლის მეურნეობის პროდუქცია -სულ(გამოშვება)	3652.7	3854.0	3795.5	4037.4	-
მემცენარეობა	44	43	43	45	
მეცხოველეობა	50	51	52	50	-
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	5	6	5	5	-

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, („საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 14 ივნისი, 2019)

ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და ბოსტნეული:

მარცვლეულის წარმოების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია **წარმადობის ზრდა, მეტი ფართობების ათვისება, სათესლე მასალის განვითარება, საცდელი მაღალპროდუქტიული ჯიშების ცენტრების შექმნა, მექანიზაციის მომსახურების რაოდენობის ზრდა.**

საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს **ხორბლის** წარმოებამ 106.2 ათასი ტონა შეადგინა, რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. **ქერის** წარმოება 33.3 პროცენტით გაიზარდა და 58.5 ათას ტონას მიაღწია. **სიმინდის** წარმოება 190.3 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 33.5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. **კარტოფილის** წარმოება 21.1 პროცენტით გაიზარდა და 218.1 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2018 წელს 138.3 ათასი ტონა წარმოებული ბოსტნეული, 9.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მონაცემებს. ზოგადად, ერთწლიანი კულტურების წარმოება შემცირდა. ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობთაგან ყველაზე დიდი წილი სიმინდზე მოდის, რომლის ნათესმა ფართობმა 72.4 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 44.0 ათასი ჰექტარი იყო, კარტოფილის 17.1 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის 12.4 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენმა კულტურებმა მთლიანობაში 16.7 ათასი ჰექტარი ფართობი შეადგინა [1].

მრავალწლიანი კულტურები ვაშლი, ყურძენი და ციტრუსი:

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოება საქართველოში ვერ პასუხობს წარმოების მოთხოვნებს პროდუქ-ტის დასაწყობების და დახარისხების კუთხით. ამას ხელს უწყობს არსებუ-ლი ინფრასტრუქტურა. ამასთან, საყურადღებოა კენკროვანი კულტურების ბაღების ფართობის 1000 ჰექტრამდე ზრდა 2020 წლისთვის. **2019**წელს მრავალწლიანი კულტურებიდან **ვაშლის** ექსპორტმა 847 ტონა შეადგინა. 2019 წლის 12 მარტს თბილისში კონფერენციაზე „ქართული ხილი და კენკრა: წარმოების ეფექტიანობა და მარკეტინგი“ ადგილობრივი მწარმოებ-ლებისთვის ცნობილი გახდა საინვესტიციო და საბაზრო შესაძლებლობების საუკეთესო გამოცდილება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის(EBRD), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)-ს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით. რაც შეეხება **ყურძნის** წარმოებას, რომელიც დიდ სიმძლავრეებს მოითხოვს, 2019 წელს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ დაანონსდა სიახლე „ქინძმარაულის“, „ახაშენის“, „მუკუზანის“ და „ყვარლის“ ყურძნის საწარმოებში ჩაბარება ვენახების კადასტრის ამონა-წერის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველსაყოფად. სხვა ქვეყნების გამო-ცდილების მსგავსად, ღვინის მწარმოებელი 1 ჰექტრიდან არაუმეტეს 10 ტონით განისაზღვრა, ხოლო მეტი რაოდენობის (კადასტრის ამონაწერის გარეშე) კი ჯიშური ღვინის საფერავის მასალად შეფასდა [22].

2019 წელს გადამუშავდა 150 ათასი ტონა ყურძენი, აქედან რქაწითელის ფასმა -70 თეთრი, კახური მწვანეს - 85 თეთრი, ხოლო საფერავის ფასმა -1.50 ლარი შეადგინა. საწარმოებში სულ 2 ათასმა მევენახემ ჩააბარა ყურძენი.

აჭარა ციტრუსოვანი კულტურების წარმოების მხრივ წამყვანი რეგიო-ნია, ამასთან 2018 წელს ციტრუსის მოსავალმა 60 ათასი ტონა შეადგინა. 2018-2019 წლების „**ნარინჯისფერი რთველის**“ მანდარინის ექსპორტმა 20.614 ტონა შეადგინა. ადგილობრივი გადამუშავებისთვის მანდარინის რაოდენობამ 9.140 ტონა შეადგინა [23].

მეცხოველეობის დარგი (პირუტყვის და ფრინველის სულადობა, ფუტკრის ოჯახების რაოდენობა):

მეცხოველეობის დარგის განვითარება ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ მრეწველობაში, რაც თავის მხრივ რძის და ხორცის პროდუქტების წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული დარგის წარმოება ქვეყანაში კლებულობს ყოველწლიურად. ამის მიზეზი სოფლებში ხბოების მასიურად გაყიდვაა, რაც თავის მხრივ ამცირებს გამოსაზრდელი ხბოების რაოდენობას. ასევე არაპროდუქტიული ცხოველთა ჯიშები, რომლებიც გადაძოვილ მინდვრებზე იკვებებიან. შესაბამისად დაბალი წველადობის გამო, საქართველო არის რძის და ხორცის იმპორტიორი ქვეყანა. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, **რძის** ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოება დაფიქსირდა 2008 წელს-645მლნ ტონა, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით კი 2017 წელს-528 მლნ ტონა. 2018 წელს 532 ათასი ლიტრი რძის წარმოება განხორციელდა. საქართველოში წარმოებული რძის რაოდენობამ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის II კვარტალში 193 მილიონ ლიტრას მიაღწია. ამასთან უნდა აღინიშნოს **მსხვილფეხა რქოსანი** პირუტყვის სულადობის შემცირება (965.3 ათასი სული, რაც 5.8 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან).

2018 წელს ქვეყანაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 67 ათასი ტონა ხორცი დამზადდა, ხოლო 2019 წელს ხორცის წარმოებამ 10,248 ათასი ტონა შეადგინა. 2018 წელს 61.6 ათასი ცალი **კვერცხია** წარმოებული, 2019 წელს 151.1 მილიონი ცალი კვერცხი.

2019 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 965.3 ათასი სული შეადგინა და შემცირდა 1.4 პროცენტით წინა წელთან შედარებით. ასევე შემცირდა ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა 2.9 პროცენტით და რაოდენობამ ერთი მილიონი სული შეადგინა, ღორების რაოდენობა (194.7 ათასი სული) და ფრინველის რაოდენობა (10. 4 მლნ. ფრთა) [11].

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-შვეიცარული წარმატებული თანამშომლობის შედეგად ევროპული სტანდარტის ხორცპროდუქტების კომპანია ,,ბლაუენშტაინ-საქართველო“-ო ხორცის წარმოების სრულ ჯაჭვს მოიცავს და აწარმოებს ევროპული სტანდარტის ეკოლოგიურად სუფთა

პროდუქტს. პირველად საქართველოში, ე.წ. ,,დავარგებული ხორცის“ წარმოება სწორედ კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველომ “ დაიწყო [24].

ამასთან საინტერესოა, საქართველოსთვის, ისრაელის და ესტონეთის სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის ტემპის გათვალისწინება. ისრაელში სოფლის მეურნეობის პროდუქციით თვითუზრუნველყოფა 80 %-ია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისრაელის ძროხის ჯიში ჰოლშტეინი (250 000) პროდუქტიულობით. სარძეო ფერმების უმეტესობა, კიბუცების და კოოპერაციული ტიპის საწარმოების-მოშავების ბაზაზე ფუნქციონირებს. ამასთან, ისრაელში საქონელს ერთნაირი რაციონით კვებავენ. ასევე ნედლ რძეზე ფასებს რძის საბჭო (გადამამუშავებელი, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის წარმომადგენლები) ადგენს და ფიქსირებულია. აღნიშნული, 100 ფერმაში წარმოების თვითღირებულების შესწავლის საფუძველზე ხორციელდება. ფასი მოიცავს(ცილების, ცხიმების, ლაქტოზის რაოდენობას; ბაქტერიულ დაბინძურებას, გადასახადს საბჭოს შესანახად). ისრაელის სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია რძის ფასების შემცირებაზე კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად [25].

გარდა ამისა, თუ გადავხედავთ ესტონეთის მეცხოველეობის დარგს, წველადობა 9429ლ რძეა წელიწადში, რომლითაც მხოლოდ დანიას ჩამოჩება. ესტონეთში პირუტყვის კვებაში პროტეინის ძირითად წყაროს წარმოადგენს ქ. ტარტუს გარეუბანში რაფსის კულტურა. აღნიშნული ქარხანა ამზადებს რაფსის ზეთს, რომელსაც ისრაელი დიდი რაოდენობით მოიხმარს.

რაც შეეხება, თაფლს 2016 წელს ევროკავშირმა საქართველოდან თაფლის ექსპორტი ევროკავშირის ტერიტორიაზე დაშვებულად ცნო. თუმცა თაფლის ქართველი მწარმოებლების წარმოებული პროდუქტი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს. თაფლში ანტიბიოტიკების და პესტიციდების დონე ევროკავშორის ბაზარზე უმთავრესი პირობაა. 2019 წლის იანვრის თვეში თაფლის ორი მწარმოებლის პროდუქცია ბერლინში მწვანე კვირეულის (Intenational Green Week) გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ კვების, აგრო პროდუქტებისა და ხილ-ბოსტნეულის გამოფენაზე (IGW) ევროპელ მომხმარებელს

პირველად მიეცა შესაძლებლობა დაეგემოვნებინა ქართული თაფლი ბრენდ სახელწოდების ქვეშ - „TAPLI“. ამ ბრენდის პირველი პარტია შპს გეო ნატურალისა და კერძო მეწარმე თამაზ ღლონტის პრდუქციას მოიცავს [26].

ასევე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში **რძის გადამამუშავებელი ახალი საწარმო** ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო, შპს „ზეკარი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა საწარმოში ჯამურად 996,000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 428,000 ლარი გრანტია, ხოლო 461,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. საწარმოში წელიწადში 41 ტონა სულგუნს და 29 ტონა იმერულ ყველს აწარმოებენ და პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენენ. გადამმუშავებელ საწარმოში 15 ადამიანია დასაქმებული [27].

ახალ საწარმოებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში **ხორცის გადამამუშავებელი ახალი საწარმო** ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო „რაჭული ლორი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში ჯამურად 762,900 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 323,876 ლარი გრანტია, ხოლო 358,024 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. საწარმოში წელიწადში 29 ტონამდე მეტ ღორის ხორცს გადაამუშავებს. პროდუქციის რეალიზაცია გათვლილია ადგილობრივ ბაზარზე და, სამომავლოდ მისი ექსპორტზე გატანაც იგეგმება. გადამამუშავებელ საწარმოში 14 ადამიანია დასაქმებული. კომპანიაში სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი -ISO 22:000 დაინერგა [27].

კახეთში, **ყვარლის მუნიციპალიტეტში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო „ჯორჯიან ნეიჩრლი“** სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. აღნიშნული საწარმო შეძლებს 4, 000 ტონა ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებას. საწარმოში დასაქმებულია 25 ადამიანი. კომპანია „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარს წარმოადგენს. საწარმოში 630,000 ლარი გრანტია, 1,252,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი, ამასთან დანერგილია სტანდარ-

ტი ISO 22:000 [27].

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში **თხილის გადამამუშავებელი ახალი საწარმო** ამოქმედდა. სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო შპს „ჯეო ნათსი“ ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში, ჯამურად, 1,558,000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600,000 ლარი გრანტია, ხოლო 779,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. საწარმოში, წელიწადში, 7,000-10,000 ტონამდე თხილისაგან სხვადასხვა სახის პროდუქციის (მოხალული, დაქუცმაცებული, დაფქული) წარმოებაა შესაძლებელი. პროდუქცია მთლიანად ექსპორტისთვის არის განკუთვნილი. გადამამუშავებელ საწარმოში 100 ადამიანია დასაქმებული. 2018 წელს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით, საწარმოში სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი-ISO 22:000 დაინერგა [27].

მცხეთის მუნიციპალიტეტში, **სოფელ საგურამოში ჩაის და სანელებლების გადამამუშავებელი ახალი საწარმო** ამოქმედდა ,,ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში. საწარმოში განხორციელდა 348,428 ლარი გრანტი და 435,529 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი [27].

2.2. სოფლის მეურნეობის გადამუშავებული პროდუქციის იმპორტი საქართველოში

იმპორტირებული პროდუქცია ჩანაცვლებული უნდა იქნას ადგილობრივი წარმოებით, რაც მეტად რთულია იმ პირობებში, როცა საქართველოში მოიხმარება მეტი იმპორტული პროდუქცია ვიდრე იწარმოება. მნიშვნელოვანია, საექსპორტო პოტენციალის ზრდის კვალდაკვალ, იმპორტჩანაცვლებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ იმპოტჩანაცვლებისას ადგილობრივმა პროდუქციამ ხარისხობრივი პარამეტრების გათვალიწინებით მომხმარებელს უნდა შესთავაზოს უფრო იაფი ალტერნატივა. მეტად საყურადღებოა, 2019 წლის 30 მაისს კახეთის საერთაშორისო რეგიონულ საინვესტიციო ფორუმზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას

განცხადება იმპორტის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლების ორი მიმართულების შესახებ:

1. იმპორტის ჩანაცვლების კომპონენტის დამატებას სახელმწიფო პროგრამებში.
2. ადგილობრივი წარმოების დაცვა ვაჭრობის სამართლიანი წესების მიმართულებით (ანტიდემპინგური კანონმდებლობის განხილვა) [22].

საქართველოს იმპორტის სასაქონლო ჯგუფების დივესიფიცირებულობა გამოწვეულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით და მოთხოვნადი პროდუქტების ნაკლებად ფართო ასორტიმენტის წარმოებით. ნიშანდობლივია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება ამცირებს იმპორტული სურსათის მოცულობას და ამაღლებს ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხს.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით, ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკით, გამარტივებული საბაჟო პროცედურებით, დაბალი საიმპორტო ტარიფებით (პროდუქციის 85%-ზე გაუქმებულია საიმპორტო ტარიფები). მსოფლიო ვაჭრობაში ქვეყნების საექსპორტო და საიმპორტო კვოტების შემცირება ლიბერალიზაციის გაღრმავებას მიუთითებს. გასათვალისწინებელია სავაჭრო ბარიერები(ხარისხის სერთიფიკატები, სანიტარულ ჰიგიენური ნორმები), რომლებიც ხელს უშლიან უცხოეთიდან საქონლის იმპორტს.

საყურადღებოა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, რომელიც ვლინდება თავისუფალ ვაჭრობასა და პროტექციონიზმში. ვაჭრობის ლიბერალიზაციის დროს რეგულატორის როლს ასრულებს ბაზარი. სახელმწიფო კი იტოვებს სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადების ფუნქციას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ქვეყნებს შორის ვაჭრობის მარეგულირებლად გვევლინება. აღნიშნული ორგანიზაცია ხელს უწყობს:

- იმპორტული და ადგილობრივი პროდუქციისთვის თანაბარი უფლელბების მინიჭებას;
- კეთილსინდისიერი კონკურენციის და საგარეო ვაჭრობის დაგეგმვას წევრ ქვეყნებს შორის;

- არასატარიფო მეთოდებით სარგებლობას.

მნიშვნელოვანია, მეწარმეობის ფორმირებისას სახელმწიფოს უმთავ-რესი ფუნქციების გათვალისწინება:

1. რეგულირების საგადასახადო, საკრედიტო და სხვა სისტემების უზრუნველყოფა;
2. კონკურენტულ გარემოს შექმნა;
3. უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების ზრდისთვის ხელშეწყობა;
4. სტიმულირება ინოვაციურ პროდუქციაზე. ეს პროდუქცია შედის თავდაცვის, სახელმწიფო საწარმოების სამეცნიერო აღჭურვილობით უზრუნველყოფის ინტერესებში და ა.შ.
5. მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმირება;
6. ინოვაციური ტიპის წარმოების სტიმულირება [29. 36].

თითოეული მიმართულია თანამედროვე მეწარმეობის რაციონალური პროტექციონიზმის ხელშესაწყობად.

უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტებად ევროკავშირი იყენებს კომპენსაციურ მოსაკრებლებს და საბაჟო გადასახდელებს.

საერთაშორისო ვაჭრობას საქართველო ახორციელებს ისეთი საერთა-შორისო ხელშეკრულებების და სავაჭრო რეჟიმების ქვეშ, როგორიცაა:

„თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით: (დსთ) წევრ ქვეყნებთან რუსეთის ფედერაციის გარდა;

საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუ-ფალი ვაჭრობის შესახებ: რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, თურქეთი, მოლ-დოვა, თურქმენეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი.

საქართველოს და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება-2017 წლის სექტემბრიდან ნორვეგიისთვის და ისლანდიისთვის, ხოლო 2018 წლიდან შვეიცარიისთვის და ლიხტენშტეინისთვის.

ვმო-ს შეთანხმებები: გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT); გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS); ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS); ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT);

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS).

„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი"-ით ვმო-ს წევრ ქვეყნებთან ხორციელდება სავაჭრო ურთიერთობები; ამასთან, ქვეყნის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპით „ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების" მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის მიერ მეორე მონაწილე ქვეყნისათვის მინიჭებული თითოეული საბაჟო შეღავათი ავტომატურად ვრცელდება ამ შეთანხმებაში მონაწილე ყველა ქვეყანაზე.

საქართველო-ჰონგ კონგ, ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება;

„თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის";

2014 წლის 27ივნისს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება";

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება; აღნიშნულით საქართველო სარგებლობს აშშ-სთან, კანადასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და იაპონიასთან [30. 34].

საყურადღებოა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციზე დაყრდნობით ევროკავშირიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა მიმდინარე წელს 129.7 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 13%-ით ნაკლები აღმოჩნდა.

ცხრილი #12. შემცირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი (ევროკავშირიდან) (2019)

შაქარი	იმპორტი 8.9 მლნ. აშშ დოლარი (6.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: პოლონეთი, საფრანგეთი.
რძე და ნაღები შაქრის დამატებით	იმპორტი 3.2 მლნ. აშშ დოლარი (1.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი.
საკვები ინგრედიენტები	იმპორტი 9.6 მლნ. აშშ დოლარი (1.2 მლნ. აშშ დოლარი	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია,იტალია, პოლონეთი.
ფრინველის ხორცი	იმპორტი 9.2 მლნ. აშშ დოლარი (1.6 მლნ.აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდები,გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო.
სპირტი	იმპორტი 1.0 მლნ. აშშ დოლარი (6.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო.

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საგარეო ვაჭრობა, ანალიზი. 2019წ.)

განსაკუთრებით იმპორტი შემცირდა შემდეგი დასახელების პროდუქციაზე.

ასევე შეინიშნა 2019 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტ-ის შემცირება დსთ-ს ქვეყნებიდან შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-ციაზე. (იხ.: ცხრილი #12, ცხრილი #13, ცხრილი #14 და ცხრილი #15).

ცხრილი #13. გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი (ევროკავშირიდან)(2019)

ცოცხალი თხები და ცხვრები	იმპორტი 1.2 მლნ. აშშ დოლარი (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნიდან: რუმინეთი
თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	იმპორტი 1.4 მლნ. აშშ დოლარი (0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია, შვედეთი, პოლონეთი.
შოკოლადის ნაწარმი	იმპორტი 4.6 მლნ. აშშ დოლარი (0.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ბელგია, იტალია, გერმანია.

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საგარეო ვაჭრობა, ანალიზი. 2019წ.)

ცხრილი #14. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის შემცირება დსთ-ს ქვეყნებიდან 2019 წელს

თამბაქოს მზა ნაწარმი	იმპორტი 29.3 მლნ. აშშ დოლარი (23.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: უკრაინიდან, ბელარუსიიდან.
ხორბალი	იმპორტი 43.9 მლნ. აშშ დოლარი (8.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი, ყაზახეთი.
მცენარეული ზეთი	იმპორტი 16.0 მლნ. აშშ დოლარი (2.9 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა: რუსეთი, უკრაინა.
შოკოლადის მზა ნაწარმი	იმპორტი 14.8 მლნ. აშშ დოლარი (1.2 მლნ.აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა: რუსეთი, უკრაინა.
ეთილის სპირტი	იმპორტი 2.8 მლნ. აშშ დოლარი (0.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები)	იმპორტი განხორციელდა: უკრაინა, რუსეთი.

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საგარეო ვაჭრობა, ანალიზი. 2019წ.)

ცხრილი #15. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდა დსთ-ს ქვეყნებიდან 2019 წელს

ხორბლის ფქვილი	იმპორტი 2.4 მლნ. აშშ დოლარი (0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი)	იმპორტი განხორციელ-და: რუსეთი, ბელარუსი.
ცხოველების საკვები	იმპორტი 4.7 მლნ. აშშ დოლარი (0.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი)	იმპორტი განხორციელ-და: უკრაინა, რუსეთი.
თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	იმპორტი 5.7 მლნ. აშშ დოლა-რი (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა)	იმპორტი განხორციელ-და: სომხეთი, უკრაინა.

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საგარეო ვაჭრობა, ანალიზი. 2019წ.)

საინტერესოა უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების იმპორტი მიმდინარე წელს.

საგარეო ვაჭრობის ანალიზიდან გამომდინარე პერსპექტიული დარ-გების გამოსავლენად, საჭიროა კონკურენტული უპირატესობის გამოვლენა თანამედროვე ხილის თუ აგრარული პროდუქტებისათვის, რომელზეც დღეისთვის მაღალი და მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება მსოფლიოში. უნდა მოიძებნოს სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, რომლებიც ტრა-დიციულ, მაგრამ დაბალშემოსავლიან კულტურებთან შედარებით მცირე-მიწიან ფერმერებს ეკონომიკურ ეფექტს მოუტანდა.



გრაფიკი #3. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზი 2018-2019)

საბაზრო დარგებიდან კი დღეისთვის ქართულ აგრარულ სექტორში ამ კუთხით გამოირჩევა: ლურჯი მოცვი, ზეთისხილი.

სახელმწიფო მხარდაჭერის კუთხით ერთიანი აგრო პროექტის კომ-პონენტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში ლურჯი მოცვის კულტურებზე 1-ჰა-ზე სახელმწიფო დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 15 000 ლარს. აჭარის რეგიონში მოქმედი სამაცივრე მეურნეობების საერთო ფართობი 6000მ აღწევს. 1 კგ მოცვის გამოშრობის საშუალო ღირებულება 0,6-0,9 თეთრია. სამაცივრე საკნით 24 საათით მომსახურება (პროდუქციის შენახვა) 35-დან 50 ლარამდეა. ლურჯ მოცვზე მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე სექსპორტო ბაზრებზე. მოცვი ექსპორტზე გადის ევროკავშირის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ეს პროდუქტი ევროკავშირში დეფიციტურია და ამავე დროს, მაღალი ფასით გამოირჩევა. ქართველმა მწარმოებლებმა კენკრის გაყინვაზე დაიწყეს ფიქრი, რადგან ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია როგორც მოსავლის დროულად რეალიზაცია, ასევე გაგრილების ოთახების არსებობა [31].

ცხრილი #16. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	• ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგური პირობები • სახელმწიფო მხარდაჭერა (წარმოების ხელშემწყობი სახელ-მწიფო პროგრამები) • წარმოების მაღალი რენტაბელურობა • შესაბამისი სამაცივრე მეურნეობების არსებობა რეგიონში • ნედლეულის ხელმისაწვდომობა შიდა ბაზარზე
შესაძლებლობები	• მზარდი მოთხოვნა მოცვზე შიდა და საგარეო ბაზრებზე • სტაბილური და მზარდი ფასები ლურჯ მოცვზე შიდა და საგარეო ბაზრებზე • ექსპორტის შესაძლებლობები (თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მთელ რიგ ქვეყნებთან) • გადამამუშევებელი წარმოების განვითარების შესაძლებლობა
საფრთხეები	• მზარდი კონკურენცია შიდა და საგარეო ბაზრებზე
სუსტი მხარეები	• შესაბამისი სპეციალისტების სიმცირე • რეგიონში მოცვის ჯიშთა ნერგების ნაკლები არჩევანი

წყარო: www.adjara.gov.ge [32]

2019 წლის მონაცემებით მსოფლიო ბაზარზე ლურჯ მოცვზე მოთხოვნამ პიკს მიაღწია. კენკრის ყველაზე დიდი იმპორტიორებია გერმანია და პოლონეთი. ამასთან, ნიდერლანდებში მოსავლის აღებას ცუდმა ამინდმა შეუშალა ხელი. ივლისში 1კგ მოცვის ღირებულება 4 ევრო იყო, აგვისტოში 5.50 ევრო აღმოჩნდა. სექტემბერში კი იმპორტირებული მოცვი პერუდან შევიდა. პროდუქტის ფასი გაიზარდა ბელგიაშიც 4 ევროდან 8 ევრომდე, გერმანიაში მოცვის მიწოდება აგვისტოს ბოლოდან შემცირდა და მოხდა აღნიშნული პროდუქტის იმპორტირება. ასევე საფრანგეთიც და ესპანეთიც მაღალი მოცვის იმპორტის მაჩვენებელით გამოირჩეოდა. ევროკავშირის ბაზარზე მოთხოვნად რჩება GlOBAL GAF-ის სერთიფიკატი [23].

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 30 ნოემბრის ახალ ამბებზე დაყრდნობით, საქართველო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა გახდა. როგორც ცნობილია, ზეთისხილის მოყვანასა და წარმოებას პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, აფინანსებს საქართველოს მთავრობა.

აღნიშნული პროდუქტის დაფინანსება ეხება მხოლოდ კახეთის რეგიონს.

ცხრილი #17. ნერგების 1 ჰა -ზე დასარგავი მინიმალური რაოდენობა

მრავალწლოვანი კულტურები	ნერგების მინიმალური რაოდენობა -1ჰა	მაქსიმალური თანადაფინანსება ერთ ადგილობრივ ნერგზე	მაქსიმალური დაფინანსება ერთ იმპორტირებულ ნერგზე
ზეთის ხილი	500	5.6	6.72

წყარო: http://apma.ge/projects/read/plant_future/20:child

„ქართული ზეთისხილის“ და ,,ზეითუნის ზეთის“ მიმართ საერთა-შორისო ბაზრებზე მოთხოვნა იზრდება. ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით ქართული ზეთისხი-ლის ზეთი მსოფლიოს წამყვან ხუთ ქვეყანას შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ცნობილია **ზეთისხილის** (Olea) 60-მდე სახეობა. საქართველოში ზეთისხილი გავრცელებულია აფხაზეთში, აგრეთვე კახეთის მშრალ სუბტროპიკულ ზონაში. ზეთისხილის დარგვა უმჯობესია ნოემბრიდან მაისის ჩათვლით. ზეთისხილის 5კგ ნაყოფიდან გამოდის 1 ლიტრი ზეთი. კომპანია „ქართუ-ლი ზეთისხილი“ არის ზეთისხილის გადამამუშავებელი პირველი, მაღალ-ტექნოლოგიური საწარმო. იგი სიღნაღის რაიონ სოფელ საქობოში მდებარეობს და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, რაც უმაღლესი ხარისხის კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. კომპანია სეზონზე 500 ადამიანს ასაქმებს. მის მიერ წარმოებული პროდუქცია უკვე საცალო გაყიდვაშია. ზეთისხილის ზეთის შეძენა თავდაპირველად მხოლოდ ჰიპერმარკეტ „კარფურის“ ქსელში იყო შესაძლებელი, თუმცა დღეისათვის, ასევე, ხელმისაწვდომია:

- ჰიპერმარკეტ „გუდვილში“;
- „ზღაპარში“;
- „ნიკორაში“;
- „ბაიაში“;
- "დაფნაში";
- "გემორჩეულში";
- „აგროჰაბში;
- „მწვანე მარკეტში(თბილისი, ქუთაისი);

- „ხურჯინში" (გორში);
- „მადაგონში“(რუსთავსა და გარდაბანში) [26].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანია „ქართული ზეთისხილი“ ზეთისხილის მარინადისა და ზეთისხილის ზეთის წარმოება-გასაღების გარდა, ახორციელებს ზეთისხილის ნერგების გაყიდვასაც. მათი სანერგე მეურნეობა მდებარეობს მარნეულის რაიონში, სოფ. კოდასთან ახლოს. ნერგების ფასი განისაზღვრება ასაკის მიხედვით და მერყეობს 10 ლარიდან 5000 ლარამდე (ყველაზე მაღალფასიანი არის ასწლოვანი ზეთისხილის ხეები). კომპანიას აქვს გემლიკისა და აივალიკის ჯიშების ზეთისხილები, რომლებიც უძლებს 9-12 გრ. ყინვას 2-3 ღამე.

„ქართული ზეითუნის ზეთი შხამ-ქიმიკატების გარეშეა დამზადებუ-ლი. იგი ცივი გამოხდის მეთოდითაა მიღებული, რაც განაპირობებს ზეთისხილის მაღალ ხარისხს.

თუნუქის ქილებში წარმოდგენილი “ქართული ზეთისხილის” ზეთის 5-ლიტრიანის ფასია 90 ლ., 10-ლიტრიანის - 170 ლ., 18-ლიტრიანის - 300 ლ.

მსოფლიოში ზეთისხილის ყველაზე დიდ მწარმოებელ სახელმწიფოს წარმოადგენს ესპანეთი. აღნიშნულ ქვეყანაში მსოფლიო ზეთისხილის 45% იწარმოება.შემდეგ მოდის იტალია, რომელიც ზეთისხილის ნაწილს ყიდულობს ესპანეთიდან და შემდეგ სხვა ქვეყნებში გააქვს რეექსპორტზე.

მე-3 ადგილს იკავებს საბერძნეთი. აღნიშნულ ქვეყანას ამ პროდუქტის კულტივაციის დიდხნიანი ტრადიცია გააჩნია [33].

საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც გააჩნია FTA (თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთდროულად. ეს უნიკალურ საშუალებას გვაძლევს, რომ აღნიშნულ რეგიონებში პროდუქცია შევიტანოთ ყოველგვარი საბაჟო ტარიფების გარეშე.

ესპანეთსა და იტალიას, როგორც ევროკავშირის წევრებს, არ გააჩნიათ FTA ჩინეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან (გარდა მოლდოვისა). თუ შევხედავთ ზეთისხილის იმპორტს ჩინეთში, დავინახავთ, რომ თითქმის 80% შედის ესპანეთიდან (intracen.org-ის მიხედვით). ამ ყველაფერმა, ქვეყნიდან, რო-

მელთან შედარებით ჩვენ უკეთესი სავაჭრო შეთანხმებაც გვაქვს და ამავ-დროულად, ტერიტორიულად გაცილებით ახლოსაც ვიმყოფებით (ჩინეთი) შესაძლოა, გარკვეული სახის კონკურენტული უპირატესობაც მოგვცეს. იგივე შეიძლება ითქვას დსთ-ს ქვეყნებთანაც.



გრაფიკი #4. ზეთისხილის მწარმოებელი ქვეყნები

წყარო: https://www.peashealth.com/top-25-olive-oil-producing-countries

2.3. გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის სეგმენტი გვევლინება გადამუშავებული მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტების ბაზარად. მნიშვნელოვანია ბაზრის ობიექტების (საქონელი, მოთხოვნა, მიწოდება და ფასი) განხილვა. მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს მყიდველის (ბაზრის სუბიექტი) გადახდისუნარიანობა და პროდუქტის ფასი. მიწოდების კანონით გამყიდველი მყიდველს სთავაზობს მეტ საქონელს მაღალი ფასის შემთხვევაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებმა აუცილებელია იცოდნენ, თუ რომელი ფაქტორები განსაზღვრავს მოთხოვნის მოცულობას და ცვლილებას ფასების ცვლილების შემთხვევაში.

უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის მყიდველთა ქცევის ანალიზი. ინდივიდუალური, საბაზრო და ერთობლივი მოთხოვნა(ყველა საქონელზე მოთხოვნათა ჯამი) დამოკიდებულია ფასზე, შემოსავალზე, გემოვნებაზე, სურვილზე, სეზონურობაზე,

სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს ცვლილებებზე. აქვე უნდა აღინიშნოს მიწოდების დამოკიდებულება მოთხოვნაზე, ფასზე, წარმოების შესაძ-ლებლობებზე, ტრანსპოტაბელურობაზე (სურსათის ჩამოტანის სირთულე), სეზონურობაზე, საბაჟო-საგადასახადო კანონმდებლობაზე.

გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზში საყურადღებოა მომხმარებელთა ქცევის პროგნოზის ცვლილება საქონელზე ფასების ცვლილების შემთხვევაში. როგორც ცნობილია, მოთხოვნის ელასტიკურობა ფასების მიხედვით გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით შეიცვლება მოთხოვნის სიდიდე საქონელზე ფასების ერთი პროცენტით შეცვლის შენთხვევაში. ასევე მიწოდების ელასტიკურობა გვიჩვენებს, როცა საქონელზე ფასის უმნიშვნელო ცვლილება იწვევს მიწო-დების უმნიშვნელო ცვლილებას. გადამამუშავებელი წარმოების პროდუქ-ციის მოთხოვნის არაელასტიკურობის დროს წარმოების გადიდება ფასების დაწევას გამოიწვევს. შესაბამისად შემცირდება მეწარმეების შემოსავალი.

სოფლის მეურნეობის საქონელზე მოთხოვნის ელასტიკურობა დაბა-ლია პროდუქციაზე არსებულ ფასებზე და მომხმარებლების შემოსავლებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სასურსათო საქონელზე ერ-თობლივი მიწოდება იზრდება მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის გამო. ამასთან, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმო-ებისთვის ხარჯების(არენდის გადასახადი, სარემონტო ხარჯები, შენობა-ნაგებობებეის და მანქანების ამორტიზაცია) გათვალისწინება პროდუქციის ფასების ცვლილების მიუხედავად [34. 84].

საყურადღებოა, ოლივიე ბლანშარის აზრი იმის შესახებ, რომ საქონელ-ზე ადგილობრივი მოთხოვნის გარკვეული ნაწილი უცხოურ საქონელზე მოდის. ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის დეტერმინანტებია: მოხმარე-ბა, ინვესტიციები და სახელმწიფო ხარჯები. მოხმარება დამოკიდებულია შემოსავალსა და სიმდიდრეზე. ამასთან, რეალური გაცვლითი კურსი ადგილობრივი და უცხოური საქონლის შეძენაზე გაწეულ სამომხმარებლო ხარჯებზე, ადგილობრივ თუ უცხოურ მანქანა-დანადგარებს შორის ფირ-მების არჩევაზე ახდენს გავლენას, მაგრამ მთლიან ინვესტიციებზე ის

გავლენას არ ახდენს. მაღალი ადგილობრივი შემოსავალი მაღალ იმპორტს განაპირობებს. იმპორტი რეალურ გაცვლით კურსზეა დამოკიდებული. რაც უფრო ძვირია ადგილობრივი საქონელი უცხოურთან შედარებით, მით უფრო მაღალია ადგილობრივი მოთხოვნა უცხოურ საქონელზე. იმპორტის ზრდას რეალური გაცვლითი კურსის ზრდა განაპირობებს. საქონლის ბაზარი წონასწორობაშია, როდესაც ადგილობრივი გამოშვება ადგილობრივ საქონელზე, ადგილობრივი და უცხოური მოთხოვნის ტოლია. ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდა ადგილობრივი გამოშვების ზრდას და სავაჭრო ბალანსის გაუარესება იწვევს. უცხოური მოთხოვნის ზრდა ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდას და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას იწვევს. მნიშვნელოვანია მოთხოვნის კოორდინირებული ზრდა რომელიც როგორც ექსპორტის,ისე იმპორტის ზრდას გამოიწვევს. რეალური გაუფასურება ადგილობრივ საქონელზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი მოთხოვნის ცვლილებას იწვევს, რაც თავის მხრივ იწვევს როგორც ადგილობრივი გამოშვების ზრდას, ისე სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას [35. 589].

საქართველოში 2014-2109 წლებში ბიზნეს სექტორის მონაცემები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასე გამოიყურება:

ცხრილი #18. საქართველოს ბიზნეს სექტორი

საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები	2014	2015	2016	2017	2018	2019
გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი	26.1	30.0	34.2	38.2	11.5	9.5
დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი	12.8	14.8	16.8	19.0	...	...
შუალედური მოხმარება მილიარდი ლარი	13.2	15.2	17.4	17.4	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	592.1	626.7	666.8	708.2	684.5	663.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	7837.4	8524.3	9129.0	10152.0	11013.9	2617.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (კვარტალური ბიულეტენი 2019.II)

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების ანალიზში გასათვალისწინებელია მიკროეკონომიკური რისკები (მოსახლეობის

შემოსავლები, საკუთრების ფორმა, წარმოების ორგანიზაცია და სხვ.), თავის მხრივ რისკების შეფასებისას კი საწარმოებისა და ინდივიდუალური შემოსავლების დონე.

ცხრილი #19. საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობის საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2013-2019 (ლარი)

2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
494.8	498.6	586.3	568.1	641.2	764.2	653.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (კვარტალური ბიულეტენი 2019. II)

გადამამუშავებელი წარმოების მოთხოვნა-მიწოდების ანალიზთან მიმართებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადამხდელო ბალანსის შესაბამისად, 2019 წელს საქონლის საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მაჩვენებელი 12.5 პროცენტით შემცირდა და 435.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტმა 309.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 744.5 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

ცხრილი #20. საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2012-2019 წლებში

წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ბრუნვა	10433	10933	11463	9505	9408	10675	12476	5968.3
ზრდის ტემპი(%)	13%	5%	5%	-17%	-1%	14%	17%	-0.6%
ექსპორტი	2377	2910	2861	2205	2113	2736	3354.9	1775.4
ზრდის ტემპი(%)	9%	22%	-2%	-23%	-4%	29%	22.9%	11.5%
იმპორტი	8056	8023	8602	7300	7295	7939	9121.4	4192.9
ზრდის ტემპი(%)	14%	-0.2%	7%	-15%	-0.1%	8.8%	15%	-4.9%
სალდო	-5679	-5113	-5741	-5095	-5182	-5204	-5766.4	-2417.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-ივნისი)

მიმდინარე პერიოდში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 72.7 პროცენტი აღმოჩნდა. პირველი სამი ადგილი რუსეთმა, აზერბაიჯანმა და სომხეთმა გაინაწილა. ამასთან, საიმპორტო პარტნიორი ქვეყნებიდან პერველ სამეულში თურქეთი, ჩინეთი და რუსეთი აღმოჩნდა.

ცხრილი #21. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის (ზრდა)-(შემცირება) ევროკავშირის ქვეყნებიდან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებიდან	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის შემცირება ევროკაშირის ქვეყნებიდან
ცოცხალი თხები და ცხვრები 1.2 მლნ.აშშ დოლარი	სპირტი 1.0 მლნ. აშშ დოლარი
თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები 1.4 მლნ. აშშ დოლარი	შაქარი 8.9 მლნ. აშშ დოლარი
შოკოლადის ნაწარმი 4.6 მლნ.აშშ დოლარი	რძე და ნაღები შაქრის დამატებით 3.2 მლნ.აშშ დოლარი
	საკვები ინგრედიენტები 9.6 მლნ. აშშ დოლარი
	ფრინველის ხორცი 9.2 მლნ. აშშ დოლარი

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-ივნისი)

ცხრილი #22. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის (ზრდა)-(შემცირება) დსთ-ს ქვეყნებიდან

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის ზრდა დსთ-ს ქვეყნებიდან	სასოფლო-სამეურნო პროდუქციის იმპორტის შემცირება დსთ-ს ქვეყნებიდან
ხორბლის ფქვილი 2.4 მლნ.აშშ დოლარი	თამბაქოს მზა ნაწარმი 29.3 მლნ. აშშ დოლარი
ცხოველების საკვები 4.7 მლნ. აშშ დოლარი	ხორბალი 43.9 მლნ. აშშ დოლარი
თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები 5.7 მლნ. აშშ დოლარი	მცენარეული ზეთი 16.0 აშშ დოლარი
_	შოკოლადის მზა ნაწარმი 14.8 აშშ დოლარი
_	ეთილის სპირტი 2.8 აშშ დოლარი

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-ივნისი)

უწინარე ყოვლისა, მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზში, რა შეგვიძლია გავიტანოთ ექსპორტზე და როგორ შეგვიძლია გავზაროთ. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში გავრცელებული ნიადაგის 54 ტიპიდან 49-ს, საქართველოს აქვს პოტენციალი მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოების, რომლებიც სხვა ქვეყნებში არ იწარმოება ან მათი წარმოება სხვაგან ძვირი ჯდება.

ასეთ პროდუქტებს განეკუთვნება: ტრადიციული ღვინოები, პოლიქ-რომიული თაფლი, შაქრის მაღალი შემცველობის მაყვალი. ეს პროდუქტები იშვიათი სამომხმარებლო თვისებებით და მაღალი მოთხოვნით გამოირჩე-ვიან მსოფლიოში [36].



გრაფიკი #5. სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი პროდუქტებისა და წლების მიხედვით (ლარი/კგ):

__წყარო:__ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (მონაცემთა ბაზები Pc-Axis მონაცემთა საცავში)

ასევე საყურადღებოა, კვების ბალანსის მაჩვენებლები 2014-2018 წლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შედარებითი ანალიზისთვის.

ცხრილი #23. საკვები ბალანსის მაჩვენებლები წლების მიხედვით (ათასი/ტონა)

	2014			2015			2016		
	ადგ. წარმოება	იმპ.	სასურსათო მოხმარება	ადგ. წარმოება	იმპ.	სასურსათო მოხმარება	ადგ. წარმოება	იმპ.	სასურსათო მოხმარება
ხორბალი (ათასი ტონა)	48	651	640	126	647	635	127	552	623
სიმინდი (ათასი ტონა)	292	57	144	185	71	136	244	70	142
კარტოფილი (ათასი ტონა)	2015	31	177	187	22	188	249	37	195
ბოსტნეული (ათასი ტონა)	154	90	213	158	87	200	142	90	224
ყურძენი (ათასი ტონა)	165	1	133	215	1	108	159	1	122
ხორცი	59	79	136	67	72	137	66	84	136
რძე და რძის პროდუქტები (ათასი ტონა)	589	71	632	566	92	634	540	124	643
ვერცხი მლნ.ცალი)	552	26	538	602	1	545	590	4	550

__წყარო:__ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (მონაცემთა ბაზები Pc-Axis)

ცხრილი #24. საკვები ბალანსის მაჩვენებლები წლების მიხედვით (ათასი/ტონა)

	2017			2018		
	ადგ. წარმოება	იმპ.	სასურსათო მოხმარება	ადგ. წარმოება	იმპ.	სასურსათო მოხმარება
ხორბალი (ათასი ტონა)	98	603	645	107	634	642
სიმინდი (ათასი ტონა)	143	80	143	194	80	130
კარტოფილი (ათასი ტონა)	180	21	188	238	24	182
ბოსტნეული (ათასი ტონა)	126	84	209	142	108	207
ყურძენი (ათასი ტონა)	181	1	94	260	1	94
ხორცი	66	85	139	72	83	138
რძე და რძის პროდუქტები (ათასი ტონა)	528	121	627	555	133	663
კვერცხი(მლნ.ცალი)	600	15	560	635	11	590

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (მონაცემთა ბაზები Pc-Axis)

ამრიგად, ადგილობრივი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭიროა ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობა, რათა საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენცია გაეწიოს იმპორტულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. შესაბამისად საყურადღებოა:

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - ,,სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის განვითარება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად;
- მიწების კონსოლიდაციის უზრუნველყოფა (შედეგად მივიღებთ მასშტაბის ეკონომიას და შემცირდება ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯები);
- სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ფერმერების უნარების გაძლიერებით;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებისა და მომსახუ-რების ხელმისაწვდომობა, რადგან გაუმართავი სასოფლო-სამეურნეო ტექ-ნიკა ზრდის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, აუარე-სებს მოსავლის ხარისხს და ამცირებს წარმოების მოცულობას;
- საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსი-ფიკაცია;
- სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა, როგორც საქართველოს ასევე ევროკავშირის ბაზარზე, რისთვისაც მნიშვნე-ლოვანია DCFTA-ით სურსათის უვნებლობის კუთხით აღიარებუ-ლი ვალდებულებების იმპლემენტაცია;
- აგროსასურსათო სექტორის მხარდამჭერი დარგების განვითარება და ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბება;
- გადამამუშავებელი წარმოების გაუმჯობესება ბაზრის საინფორ-მაციო სისტემის შექმნით;
- სახელმწიფოს დახმარება ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ნედლეუ-ლის ფასი, ხარისხის სტანდარტების დანერგვა, ადგილწარმოშობის სახელების დაცვა-დაპატენტება, სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობაში მხარდაჭერა, ფალსიფიკაციისაგან ბრძოლა, ევროპუ-ლი სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ნაკლებად შემოსავლიანი რეგიონებისთვის.

თავი III. იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების კონკრეტული გზები

3.1. სახელმწიფოს მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ინსტრუმენტები

უაღრესად მნიშვნელოვანია იმპორტის ჩანაცვლების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების განვითარებით. სახელმწიფოს მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ინსტრუმენტების გარეშე, რთულია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი კონკურენციის მხარდამჭერი კანონმდებლობა და ანტიმონოპოლიური რეგულირება, რიგ ქვეყნებში განიხილება როგორც სიღარიბესთან ბრძოლის მექანიზმი. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფარგლებში, რესურსების და შემოსავლების განაწილებაზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე არსებითად ზემოქმედებს სახელმწიფო.

საყურადღებოა, **სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების ჩამოყალიბება ეკონომიკის რეგულირებაში:**

- საკუთრების უფლების დაცვა;
- ფულის ბრუნვის სიჩქარის, სავალუტო კურსისა და საკრედიტო ურთიერთობის რეგულირება;
- საბიუჯეტო სექტორის რეგულირება და ფისკალური პოლიტიკა;
- საზოგადოებაში შემოსავლების გადანაწილება.

სახელმწიფოს მიერ ეროვნული ეკონომიკის რეგულირების მიზეზებია:

1. **განსაზღვრული ტერიტორიის სივრცე.** ეკონომიკური ურთიერთობების ნებისმიერი სუბიექტის ინტერესები მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაშია. მოთხოვნა კი სოციალურ გარემოზეა მიჯაჭვული, რომელსაც მკაფიო ტერიტორიული ორგანიზაცია აქვს.

2. **ერის განვითარებისა და სტრატეგიული ინტერესების განხორციელებისათვის მორალურ-ეთიკური და ფსიქოლოგიური სივრცის ფორმირება და მხარდაჭერა.**

3. ქვეყანაში ეკონომიკურ ინტერესთა არსებობა. დაუშვებელია სახელმწიფო დაემორჩილოს ცალკეული სოციალური ჯგუფის ვიწრო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტერესებს.

4. ეკონომიკური მიზნების ინსტიტუციონალური განსაზღვრა. იმ ნეგატიური გამოვლინებების სახელმწიფოებრივი კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კვლავწარმოების ფაზებს შორის არსებული ციკლური და მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისპროპორციებით.

5. ინფრასტრუქტურის დინამიური განვითარება. ერთნაირად სასარგებლოა როგორც ბიზნესისთვის, ისე შიდა მეურნეობისთვის;

6. ინსტიტუციონალური გარემოს როგორც სტაბილური, ისე ლეგიტიმური და დინამიური განვითარება. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების მასშტაბებზე, ინსტრუმენტებსა და ეფექტურობაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ის ამოცანები, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის წინაშე დგას. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების უმთავრესი მიზანია, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა [29. 36].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოებრივ რეგულირებაში ადგილი აქვს პროგნოზირებას, სტრატეგიულ, ინდიკატურ დაგეგმვასა და პროგრამირებას.

პროგნოზირების მიზნებია:

- ✓ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითრების ტენდენციების დადგენა;
- ✓ გადაწყვეტილებების და შედეგების გააზრება საგარეო ეკონომიკურ სივრცეში;
- ✓ კორექტირება საშინაო და საგარეო ბაზრების თვისებების.

სტრატეგიულ დაგეგმვის ფუნქციებია:

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამომავლო გეგმების გაანალიზება;
- ეკონომიკური, ინოვაციური განვითარებისთვის უპირატესობის მიკუთვნება;
- ეკონომიკური პრიორიტეტების მექანიზმების მომზადება.

ინდიკატორული დაგეგმვის ფუნქციებია:

- ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების ინდიკატორების განსაზღვრა;
- რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ინდიკატორების, რესურსებთან კავშირი;
- ეკონომიკური ბერკეტების ინდიკატორებთან თანაფარდობა;

პროგრამირების ფუნქციებია:

- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გამოაშკარავება;
- ✓ სტრატეგიული ამოცანების მოქმედი ძალების კონცენტრაცია;
- ✓ პროგრამირების ეკონომიკასთან კავშირი [29. 36].

ყოველივე ზემოთთქმულის განხორციელება მოხდება მაშინ, როცა საქართველო მოახდენს ევროპასთან ეკონომიკურ ინტეგრაციას, რაშიც დიდ როლს თამაშობს, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელება. საქართველოს კონკურენციის სამართლებრივი ნორმების შესაბამისობა აუცილებელია ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან.

ქვეყნის ეკონომიკის შეღწევას საერთაშორისო ბაზრებზე ხელს უწყობენ საკანონმდებლო აქტები. სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების აღკვეთა უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმებმა. ამის მაგალითია, ანტიმონოპოლიური (ანტიტრესტული) რეგულირების სამშობლოში (აშშ) 1890 წელს ე.წ. „შერმანის აქტის“ მიღება. აღნიშნული, მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მხრიდან ძლიერმა ზეწოლამ გამოიწვია. აღნიშნულ აზრს მოიცავდა ასევე „რომის ხელშეკრულება“, რომელიც ევროპის რიგმა სახელმწიფოებმა მიიღეს გასული საუკუნის 50-იან წლებში [37. 46].

ამჟამად, ევროკავშირში კონკურენციის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს ევროკავშირის ფუნქციონირების სადამფუძნებლო დოკუმენტი წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტის 101-ე და 102-ე მუხლებით განსა-

ზღვრულია კონკურენციის ძირითადი პრინციპები. აღსანიშნავია, **საქართველოში პირველი საკონკურენციო სამართლებრივი აქტი**, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული 1992 წლის 17 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ.“ დღეისთვის საქართველოში კონკურენციის საკითხებს რამდენიმე ნორმატიული აქტი არეგულირებს, კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, მომხმარებელთა უფლელბები დაცულია კანონით.“ ამას გარდა, საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც ძალაშია 2005 წლის 12 ივლისიდან. კანონით კონკურენციის შესახებ თავი1. მუხლი2-ით განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდველი ქმედებები, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილებისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძვლები და უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია. საგულისხმოა, რომ იმ ეკონომიკური აგენტების საქმიანობა, რომელთა საბაზრო წილი კანონმდებლობით დადგენილ ზღვარზე (40%)-ზე დაბალია, კონკურენციის რეგულირებას არ დაექვემდებარება [38].

კონკურენციის კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონიპოლიური) კანონმდებლობა გვევლინება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სისტემის კონსტიტუცია. ამასთან, არსებობს კონკურენციის კანონმდებლობის ოთხი ვარიანტი:

1. **რეგულირება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონკურენციის პოლიტიკას.** მაგალითად დადგენილი რეგულირების ჩარჩოებში ნორმებმა შეიძლება დაუშვან ფასების კოორდინაცია, ხელი შეუშალონ რეკლამის გავრცელებას.

2. **რეგულირებას შეუძლია შეცვალოს კონკურენციის პოლიტიკა.** კეძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირობებში შეიძლება ადგილი

ჰქონდეს ფასების დადგენით მონოპოლისტის საბაზრო გავლენაზე პირდაპირი კონტროლის დაწესების მცდელობას.

3. **რეგულირებას შეუძლია მოახდინოს კონკურენციის პოლიტიკის კოპირება.** კერძოდ, რეგულირების ჩარჩოებში შეიძლება დადგინდეს კეთილსინდისიერი კონკურენციის სტანდარტები.

4. **რეგულირების სისტემას შეუძლია გამოიყენოს კონკურენციის საკითხებით დაკავებული ორგანოს მეთოდები**. კერძოდ, შეიძლება სრულად იქნეს გამოყენებული საბაზრო სტიმული და კონკურენციის დინამიკა [29. 36].

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ კონკურენციული კანონმდებლობის **ამერიკული და ევროპულ მოდელები.** ამერიკული მოდელი მკაცრ კონტროლს აწესებს ბაზრის მონოპოლიზირებაზე, რაც ხდება ეკონომიკურ აგენტთა შერწყმის საფუძველზე. ხსენებული მოდელი მოქმედებს აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში და ა.შ. ევროპული მოდელი კი მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ახალ მესამე მოდელს მიეკუთვნება ევროკავშირის კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ. მისი განმასხვავებელი ნიშანი გამოიხატება წევრი ქვეყნების კანონმდებლობის ნორმების დაახლოებაში. ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობა-უზრუნველყოფს კარტელების აცილებას და კორპორაციების ხელშეწყობას [37. 46].

ამასთან, დიდი ქვეყნებისაგან განსხვავებით პატარა ქვენებში მონოპოლიური რეგულაციები გამკაცრებულია. მაგალითად, სინგაპურის საინტერესო რეგულაციებია: შეთანხმებული ტარიფების დაწესების შეზღუდვა, კარტელური გარიგებების აკრძალვა. გარდა ამისა, პატარა ქვეყნებში საკუთრივ მონოპოლისტი კომპანიების საქმიანობის რეგულირებაც ხორციელდება. მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, პატარა ბაზრის რეგულირების მიმართულებებია:

ერთი ფირმის დომინირების რეგულირება. ფირმის დომინანტურობა განისაზღვრება საბაზრო ძალაუფლების ხარისხით. პატარა ბაზრის მქონე ქვეყნებში (40% ან მეტი) ზემოთ საბაზრო წილის ფლობა ითვლება ბაზარზე

დომინანტურ მდგომარეობად.

ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება. მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება სახელმწიფოს მხრიდან ტარიფების დაწესება ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებაზე. (გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე და ა. შ.)

ოლიგოპოლიური ბაზრების რეგულირება. ოლიგოპოლისტებს შორის კოორდინაცია ყოველთვის კეთილდღეობის შემცირებისკენ არ არის მიმართული. ამ შემთხვევაში რეგულირების ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი შერწყმათა კონტროლია. ამასთან, **ჰორიზონტალური შერწყმის შედეგად** ხდება ბაზარზე მოქმედი კონკურენტების გაერთიანება. **ვერტიკალური შერწყმის შედეგად** ხდება შეთანხმება ბაზარზე არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის [39].

უწინარეს ყოვლისა საკუთრების უფლების დაცვა უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაყრდენი. როცა კერძო სექტორი არაეფექტიანია, საჭიროა სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალაა. ეკონომიკური ზრდის და დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების წინაპირობა კონკურენციაა, რომელიც მომხმარებელს აძლევს არჩევანის მრავალფეროვნებას. საერთაშორისო ვაჭრობაში ეკონომიკის გახსნილობას თან ახლავს წინააღმდეგობები. ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით კი შესაძლებელია ამ წინააღმდეგობათა დაძლევა.

საგულისხმოა, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირება, მოითხოვს ბალანსის დაცვას რეგულირების ტვირთისა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. ანტიმონოპოლიური რეგულირების საინტერესო სფეროა ნედლეულისა და პროდუქტის ბაზრის დაცვა არასაბაზრო ძალების გავლენისაგან.

თანამედროვე ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია პროდუქციის ღირებულებაში ენერგორესურსების წილი. ცნობილია, რომ ნავთობპროდუქტების, გაზის, წყლის, საკვები პროდუქტების, მედიკამენტების ფასი პირდაპირ შედის ეკონომიკის მიერ წარმოებული უმეტესი პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულებაში. გაძვირებული

ენერგომატარებლები ზრდიან დანახარჯებს, შესაბამისად ფასებს და ამცირებენ კონკურენტუნარიანობას. მონოპოლიების წარმოქმნას კი იწვევს ენერგომატარებლების დისტრიბუციის ინფრასტრუქტურის სირთულე. დენის, გაზის და წყლის მიწოდება შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ მონოპოლიად საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში. **საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო განმარტებულია როგორც სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.** ამასთან, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ხარჯები ფინანსდება რეგულირების საფასურიდან. მარეგულირებელი კომისიების ბიუჯეტები, მათ სექტორში მოქმედი სუბიექტების შემოსავლების მატებით არის განპირობებული. ლიცენზიების და ნებართვების გაცემა, ტარიფების დადგენა და რეგულირება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებაა [40].

საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებია:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

2. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

კომუნიკაციის სექტორში დადგენილ ძირითად რეგულაციებს განეკუთვნება:

- სამაუწყებლო სფეროში ლიცენზიების გაცემა;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;
- ნუმერაციის რესურსების გამოყოფა;
- ურთიერთჩართვა;
- სიხშირეთა განაწილება ტელემაუწყებლობის სფეროში;
- მონიტორინგი.

კომუნიკაციის სფეროს საქართველოში არეგულირებს „ელექტრონული

კომუნიკაციების შესახებ“, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონები. საფასურის გადახდა ხდება კომპანიების მიერ, რომლებიც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტის წყაროა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წლის ანგარიშში. ეს გაითვალისწინება რეგულირების საფასურის ცვლილებებისას.

ენერგეტიკის სფეროში უმთავრესი ნორმატიული აქტია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონი. **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უზრუნველყოფს** კონკურენციის საფუძველზე საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბებას. ამასთან, სასმელი წყლის მიწოდების და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირება მარეგულირებელ კომისიას დაემატა. უნდა აღინიშნოს 2018 წელს ენერგეტიკის სექტორში შემდეგი საკვანძო ტენდენციები :

- ელექტროენერგიის შიდა მოხმარება წინა წელთან შედარებით 7,6 %-ით გაიზარდა.



გრაფიკი #6. ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება

__წყარო:__ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

- 2009-2018 წლების მონაცემებით საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება ყოველწლიურად 3.9%-ით იზრდება;
- საანგარიშო წელს ელექტროენერგიის იმპორტი 0.8 %-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით;
- საანგარიშო წელს ნეტო - აღრიცხვის რეგულაციაში მოექცა 39 ახალი მიკროელექტროსადგური;
- ელექტროენერგიის მიღების ინდექსით, მსოფლიო ბანკის „Doing Business 2018"-ის ანგარიშის შესაბამისად, საქართველო 9 პოზიციით დაწინაურდა და 30-ე ადგილი დაიკავა;
- ელექტროენერგიის ქსელის წესებს „გამჭვირვალობის რეგულაცია" დაემატა, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნილობას და ევროპასთან ენერგეტიკული გაწევრიანებით აღებული ვალდებულებების შესრულებას;
- ბუნებრივ გაზზე 2018 წელს კვლავ შემცირდა მოთხოვნა 3.2%-ით;
- 2018 წელს საცალო მომხმარებელთა რაოდენობამ გაზიფიცირების კუთხით საანგარიშო წელს 1, 239,022 შეადგინა.



გრაფიკი #7. ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა რაოდენობა

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

- 2019 წელს იგეგმება ევროკავშირის დახმარებით ჭკვიანი აღრიცხვის ხელშეწყობის მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავება;

- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის “ მომსახურების სივრცეში წყალმომარაგების გრაფიკი შეადგენს 7 %-ით მეტს (16.9საათს) ვიდრე წინა წელს [41].

ცხრილი #25. მომხმარებლების მიერ სასმელი წყლის მოხმარების შედარება პერიოდულობით

იმერეთის რეგიონი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი
წყალმომარაგების საშუალო მაჩვენებელი 16.5 საათი	წყალმომარაგების საშუალო მაჩვენებელი 24 საათი
წყლის ხარჯი ერთ სულზე 154 ლიტრი	წყლის ხარჯი ერთ სულზე 103 ლიტრი

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

ცხრილიდან ჩანს, რომ სასმელი წყლის ხშირი წყვეტების გამო, წყალმომარაგების გრაფიკიდან გამომდინარე, მომხმარებლები ქმნიან სასმელი წყლის მარაგებს, რაც ზრდის სასმელი წყლის მოხმარების მაჩვენებელს. ამას ემატება გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ფაქტორი.



გრაფიკი #8. წყალმომარაგების გრაფიკისა და მოსახლეობის ერთ სულზე სასმელი წყლის მოხმარების დამოკიდებულება რეგიონების მიხედვით

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

ამასთან, აუცილებელია არსებობდეს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის მექანიზმი. **მეწარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება, როგორც**

ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, საკანონმდებლო და პოლიტიკური უზრუნველყოფის სისტემა, ქმნის თანამედროვე მეწარმეობის ფორმირების და მდგრადი განვითარების პირობებს. **„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის** მიხედვით, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება.

ამგვარად, სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ამოცანები დაკავშირებულია ბაზრის ფუნქციონირების პირობების შექმნასთან. ისინი ასევე განაპირობებენ საზოგადოებრივი ინტერესების შესრულებისათვის მის უფლებათა აღიარებას შიდა და საგარეო პოლიტიკის გატარებაზე. საგულისხმოა, რომ რეგულირების სტრატეგიაში მთავარი სახელმწიფოს ეფექტურობაა, ეფექტურობის მაჩვენებელი კი საზოგადოების მდგომარეობა. ნათელია, რომ ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირობა კერძო მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენის არსებობაა. ამრიგად, სახელმწიფომ არაკეთილსინდისიერი მონოპოლიებისაგან გამომდინარე მეწარმეებს ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი კონკურენციის სრულყოფას ეკონომიკური მექანიზმებით. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გასაწევად საჭიროა არა მარტო ბუნებრივი რესურსები და ინოვაციური პოტენციალი, არამედ საჭიროა ინოვაციების შექმნასა და ეფექტურ გამოყენებაზე მივმართოთ ინტელექტუალური პოტენციალიც.

3.2. მწარმოებელთა მხრიდან გასათვალისწინებელი გარემოებები

სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების მწაროებლებმა საექსპორტო ბაზრებზე დივერსიფიკაციის მიზნით აუცილებელია გაითვალისწინონ HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებით შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტი - ISO22000:2005, სურსათის უსაფრთხოების მენეჯმენ-

ტის სისტემები, ევროკომისიის პესტიციდების ბაზა.

შესაბამისად, გადამუშავების ეტაპზე, საჭიროა DCFTA-ით სურსათის უვნებლობის ეტაპობრივი ნორმების შესრულება საქონლის საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების გათვალისწინებით (ევროკავშირის ბაზარზე შესვლის დროს, გარდა 28 დასახელების საქონლის ჯგუფისა, რომელზეც დადგენილია ე.წ. „შესვლის ფასი“).

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების დივერსიფიკაციისთვის საჭიროა:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- ფერმერების უნარების ამაღლება.

ამასთან, ადგილობრივი წარმოების პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის ასამაღლებლად „აგრარული კლასტერები“ და „პროდუქტიული ალიანსები“ დაეხმარება სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის მოთამაშეებს, გააუმჯობესონ კოორდინაცია და ხარისხის კონტროლი. „მარკეტინგული კავშირებში“ კი გაერთიანებულმა ექსპორტიორებმა მოთხოვნად ბაზრებზე შესვლისთვის ძალების და რესურსების გაერთიანებასთან ერთად უნდა შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები.

მწარმოებლებმა ექსპორტირებისას უნდა გამოავლინონ პროდუქცია, რომელშიც საქართველოს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა. ფაქტობრივად, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მნიშვნელოვანია შემდეგი არგუმენტების გათვალისწინება:

პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის შემოღება. მასში იგულისხმება ის პროდუქცია, რომელიც არ იწარმოება საქართველოში. თუმცა მისი წარმოება და ექსპორტირება შესაძლებელია. ამ ინდექსის შემოღება აღწერს პროდუქციის კონკრეტულ ბაზარზე რეალიზაციის დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი გარკვეული პროდუქციის, ან ერთმანეთთან ახლოს მდგომი პროდუქტების შესაძლებლობებს ერთ რომელიმე ბაზარზე

აღწერს საექსპორტო პოტენციალის ინდექსი(სპი). მისი გაანგარიშების შემდეგ მიღებული სიდიდე გვიჩვენებს მოცემულ ქვეყანაში ამა თუ იმ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს. ეს პარამეტრებია:

1. ქვეყნის შესახებ ინფორმირებულობის დონე მყიდველებში;
2. პროდუქციის ფარდობითი უპირატესობა;
3. ექსპორტის ქვეყანაში არსებული ექსპორტის მხარდამჭერი კანონმდებლობა;
4. ექსპორტიორთა ფინანსური მხარდაჭერა;
5. ლოგისტიკური მდგომარეობა;
6. იმპორტის ქვეყანასთან მოქმედი სავაჭრო რეჟიმი.
7. იმპორტის ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.
8. ექსპორტიორის ქვეყანაში ინვესტიციების დაცვა [42. 119].

- ✓ აუცილებელია მსოფლიო იმპორტის განვითარების ტენდენციების მხედველობაში მიღება.
- ✓ საექსპორტო პოტენციალის ზრდის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მიმართულებების გამოყოფა.

მოკლევადიან ამოცანებში შედის მესამე ქვეყნის შუამავლების ჩანაცვლება. ამას იყენებენ ძლიერი სავაჭრო-საშუამავლო ფირმები, რომლებისთვისაც ქართული პროდუქციის რეალიზაცია მარტივია. ამასთან, საქართველოში შეძენილი და მესამე ქვეყნებში გაყიდული პროდუქცია უნდა შეფასდეს მესამე ქვეყანაში რეალიზაციის ფასით. არსებულ ექსპორტს კი დაემატოს ფასთა სხვაობა.

საშუალოვადიან ამოცანებში მნიშვნელოვანია ნედლეულიდან გადამუშავებულ პროდუქციის ექსპორტზე გადასვლა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გადამამუშავებელი სექტორის მიმზიდველობა .

გრძელვადიან ამოცანებში უნდა განისაზღვროს თუ რა პროდუქცია ისარგებლებს მაღალი მოთხოვნით დროის 10-15 წელი [42. 119].

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი მიმართული უნდა იყოს იმ ბაზრებზე, რომელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება რეალურია მოცემული ქვეყნისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ზრდის ტემპი, გაჯერების ზო-

მა, ბაზრის საიმედოობა და სხვ. საგულისხმოა, რომ 2019 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე დაფიქსირდა როგორც ზრდა, ასევე შემცირება ევროკავშირის და დსთ-ს ქვეყნებთან მიმართებაში.

ცხრილი #26. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის (ზრდა)-(შემცირება) ევროკავშირში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი (ზრდა) ევროკავშირში	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი (შემცირება) ევროკავშირში
მცენარეული ცხიმები და ზეთები 0.68 მლნ.აშშ დოლარი	სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები 9.5 მლნ. აშშ დოლარი
ახალი ან შეყინული ბოსტნეული 0.82 მლნ.აშშ დოლარი	ხილის ჯემები 1.9 მლნ. აშშ დოლარი
გამხმარი ბოსტნეულის ფქვილი 1.1 მლნ. აშშ დოლარი	ხილ-ბოსტნეულის კონსერვები 2.0 აშშ დოლარი
	მინერალური წყალი 8.3 მლნ.აშშ დოლარი

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-ივნისი)

ცხრილი #27. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის (ზრდა)-(შემცირება) დსთ-ს ქვეყნებში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი (ზრდა) დსთ-ს ქვეყნებში	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი (შემცირება) დსთ-ს ქვეყნებში
ღვინო 75.6 მლნ. აშშ დოლარი	თამბაქოს მზა ნაწარმი 27.2 მლნ. აშშ დოლარი
მინერალური წყლები 55.7 მლნ. აშშ დოლარი	თხილი 4.3 მლნ. აშშ დოლარი
სპირტიანი სასმელები 33.5 მლნ. აშშ დოლარი	მსხვილი რქოსანი პირუტყვი 3.2 მლნ.აშშ დოლარი
უალკოჰოლო სასმელები 12.4 მლნ. აშშ დოლარი	
ახალი კურკოვანი ხილი 5.7 მლნ. აშშ დოლარი	
სანელებლები 3.6 მლნ. აშშ დოლარი	

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-ივნისი)

მეტად საინტერესოა, საქართველოს 61 მუნიციპალიტეტში, საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა მცირე და საშუალო საწარმოების განაწილება შემდეგი სახით:

გრაფიკი #9. საწარმოების განაწილება რეგიონების მიხედვით

წყარო: ევროკავშირი საქართველოსთვის (საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები)

გამოკითხულ მცირე და საშუალო საწარმოების 44%-ს კოოპერატივები წარმოადგენს, 36%-ს შპს-ები, 16-%-ს ინდივიდუალური საწარმოები [43].



გრაფიკი #10. მცირე და საშუალო საწარმოების ზომა დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით

წყარო : ევროკავშირი საქართველოსთვის (საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები



გრაფიკი #11. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოების წარმოება

წყარო: UN Comtrade, https://comtrade.un.org/data/(საერთაშორისო ვაჭრობის ოფიციალური სტატისტიკისა და შესაბამისი ანალიტიკური ცხრილების ბაზა

საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგების (ევროკავშირი საქართველოსთვის) მიხედვით ექსპორტიორი კომპანიების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა იმერეთში (42 მცირე და საშუალო საწარმო 37,5%-ით), აჭარაში (22 მცირე და საშუალო საწარმო 33%-ით), გურიაში (14 მცირე და საშუალო საწარმო 47%-ით), საერთო რაოდენობასთან მიმართებაში. ამასთან, რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან ევროკავშირის ბაზარზე არცერთი მცირე და საშუალო საწარმო არ ახორციელებს ექსპორტს.

აღნიშნული ორგანიზაციების მიერ გამოკითხულ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისთვის ევროკავშირში ხუთი წინააღმდეგობა გამოვლინდა:

- პარტნიორების სიმცირე ევროკავშირის ქვეყნებში;
- ექსპორტის რეალიზაციისთვის პროცედურების ინფორმაციის სიმცირე;

- წარმოების დაბალი მოცულობა;
- ექსპორტის საწარმოებლად რესურსების სიმცირე;
- ექსპორტისათვის ხარისხის სერთიფიკატის არქონა.

გარდა ამისა, რეგიონებში კომპანიების უმრავლესობა არცერთი სახის სერთიფიკატს არ ფლობს [43].



გრაფიკი #12. მცირე და საშუალო საწარმოების სერთიფიკატები

წყარო: ევროკავშირი საქართველოსთვის (საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები)

კვლევის თანახმად, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის მცირე და საშუალო საწარმოების მიერ უმთავრეს სტიმულად, მაღალი ფასები და გაყიდვების ზრდა დასახელდა. გამოკითხული 61 %-ი მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამით სარგებლობს.



გრაფიკი #13. მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობა პროგრამებში

წყარო: ევროკავშირი საქართველოსთვის (საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები)

უწინარეს ყოვლისა, საქართველოში არსებულ კომპანიებმა ევროპის მეწარმეთა ქსელის (EEN)-ის მეშვეობით ევროკავშირის საწარმოებთან უნდა განახორციელონ ბიზნეს-წინადადებები:

- თავიანთი პროდუქციის წარმოების მიზნით;
- პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

დაინტერესებულ კომპანიებს დაეხმარებიან ევროპის მეწარმეთა ქსელის წარმომადგენლები: „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა“.

გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნებიდან, იმპორტის ხელშეწყობის ჰოლანდიის ცენტრი (CBI) ხელს უწყობს ამ ქვეყნების გლობალურ სავაჭრო ჯაჭვში ინტეგრაციას. აღნიშნული ცენტრი მუშაობს ასევე საქართველოშიც სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და სატყეო მეურნეობის კუთხით.

გასათვალისწინებელია, „ასოცირების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით“ ფარგლებში, რომელშიც 69 მცირე მეწარმემ მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვის მიზანი იყო ბიზნესის საჭიროებების კვლევა სახელმწიფოს პოლიტიკასთან მიმართებაში. აღნიშნულთაგან უმეტესობას სოფლის მეურნეობის პროდუქცია გააქვს ექსპორტზე. ყველაზე დივესიფიცირებული ბაზარით, ღვინის კომპანიის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ [44. 3; 45. 13].



გრაფიკი #14. ექსპორტიორები დარგობრივ ჭრილში

წყარო: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი („ასოცირების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით“)

საინტერესო აღმოჩნდა გამოკითხულთაგან თუ რომელი გზებითაა შესაძლებელი პარტნიორების მოძიება და ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის გატანა. შედეგად აღმოჩნდა:



გრაფიკი #15. სამიზნე ბაზრებზე პარტნიორების მოძიება

წყარო: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი(,,ასოცირების სამოქმედო გეგმის ეფექტიანობის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით“)

საყურადღებოა, აღნიშნულ საწარმოთა უმეტესობას DCFTA სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ლიცენზიების, სერთიფიკატების და ტექნიკური გადაიარაღების მიმართულებით მოუწია ხარჯების გათვალისწინება. მცირე და საშუალო მეწარმეების გამოკითხვის უმთავრესი მიზანი ექსპორტის ზრდის პრიზმიდან მათთვის საჭიროებების განსაზღვრაც იყო. ამ კონტექსტში მთავარ შენმაფერხებელ ფაქტორებად პროდუქციის ექსპორტისთვის, დაფინანსება და წარმოების მცირე მასშტაბი აღმოჩნდა.

„ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმის ექსპორტის ხელშეწყობის კომპონენტის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით“ კვლევის შედეგად გამოვლინდა მწარმოებელთა გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ეფექტიანი ექსპორტის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, „აწარმოე საქართველოში“, საგრანტო კომპონენტების პროგრამების შედეგების მიხედვით უნდა მოხდეს კორექტირება.
- ქვეყანაში ფინანსური პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ბიზნეს-სესხების ხელმისაწვდომობას.

- გამოიკვეთა შესაბამისი მოცულობის და სტანდარტის საექსპორტო პროდუქციის სიმცირე, ასევე ერთგვაროვანი პროდუქციის პრობლემა. აღნიშნულის დაძლევა კი შესაძლებელია კოოპერატივების და დარგობრივი კომპანიების განვითარებით.
- მცირეკამერიანი მაცივრების და სასაწყობე მეურნეობების არსებობა აუცილებელი მექანიზმია ექსპორტის ხელშესაწყობად.
- წარმოების მასშტაბების გაზრდა, ტექნოლოგიური გადაიარღება მიწების გამსხვილების პროცესის გარეშე შეუძლლებელია.
- სახელმწიფო პროგრამებმა დახმარება უნდა გაუწიონ მცირე და საშუალო მეწარმეებს და ორგანიზებულ გამოფენებს .
- საყურაღებოა, ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების ბაზის (მაგალითად tradewithgeorgia.ge) ფორმირება, მასში კომპანიების სრულფასოვანი წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა [45. 13].

საყურადღებოა, მწარმოებელთა მხრიდან ეტიკეტირების სურსათის ახალი წესები. მაგალითად, 1 სექტემბრიდან მწარმოებელმა უნდა მიუთითოს ეტიკეტზე, რომ რძის პროდუქტი დამზადებულია აღდგენილი რძისაგან, ან ნედლი რძისაგან. „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს #152 მთავრობის დადგენილებით დაუშვებელია რძის შემცველი პროდუქტების დასახელებაში მინიშნება, რომ პროდუქტი წარმოადგენს რძის ნაწარმს. მაგალითად, შეუძლებელია სიტყვა „იმერული“-ის გამოყენება [46].

3.3. მომხმარებელთა ინფორმირების და სტიმულირების ინსტრუმენტები

მომხმარებელთა ინფორმირების და სტიმულირების ინსტრუმენტებს ასევე, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებათ იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების მხრივ. შესაბამისად, 2013 წლიდან არაერთი პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სამინისტრო კოორდინაციას უწევს ყველა პროგრამას,

რაშიც იხარჯება დაახლოებით 100 მილიონი ლარი. პროგრამების განხორციელებაში დარგობრივი უწყებებია ჩართული. პროგრამების მიზანი ეკონომიკური განვითარება და სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების ხელშეწყობაა. ამასთან, სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის ანალიზი შესაბამის სტატისტიკასა და შეფასების ობიექტურ მექანიზმებს მოითხოვს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით 2019 წლის 1-ლი აპრილიდან საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად ხორციელდება. **საკრედიტო-საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამა** „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ქვეშ ამოქმედდა. საკრედიტო-საგარანტიო სქემის მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება იმ მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. უნდა აღინიშნოს, რომ ანაზღაურდება ინდივიდუალური სესხის ძირი თანხის 70%-მდე, საკრედიტო გარანტიები გაიცემა მხოლოდ ლარის სესხებზე და გარანტიის მაქსიმალური ვადიანობა შეადგენს 10 წელს. სესხის მინიმალური მოცულობა 50 000 ლარია, ხოლო მაქსიმალური 2 000 000 ლარი.საკრედიტო-საგარანტიო სქემის ბენეფიციარი შეიძლება იყოს ყველა ის მეწარმე-სუბიექტი, რომლის სასესხო ვალდებულებები არ აღემატება 8 000 000(რვა მილიონ) ლარს, ხოლო საშუალო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ აღემატება 20 000 000 ლარს. საკრედიტო-საგარანტიო სქემა მსოფლიოში აღიარებულია ეფექტიან ინსტრუმენტად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. საქართველოში აღნიშნული სქემა ემთხვევა ინსტიტუტების (OECD, EIB) მიერ შემუშავებულ პრინციპებს [47].

აწარმოე საქართველოში, მიზანია წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების, ახალი საწარმოების შექმნის და არსებულის გაფართოების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება/გადამუშავების მიმართულებით;

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს

შემდეგ მოთხოვნებს:

- დაფინანსებული სესხით აუცილებელია შეიქმნას ახალი საწარმო ან გადაიარაღდეს არსებული საწარმო;
- საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს;
- ახლად შექმნილ საწარმოს უნდა გააჩნდეს ესტეთიური გარეგანი სახე.

სესხის გაცემა შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით:

1. **პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება** (ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების სასათბურე მეურნეობას, მესაქონლეობის ფერმას, მეფრინველეობის ფაბრიკას, ინტენსიური ტიპის თევზის წარმოებას, მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოებას) .

2. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება**(ხილის, კაკლოვნების, მატყლის, დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება; ხორცის და რძის გადამუშავება; მცენარეული ცხიმების და სუნელების წარმოება; მეფუტკრეობის პროდუქციის გადამუშავება).

3. **ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება** (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები; მარცვლეულის საშრობები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრო მეურნეობები).

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს ,,აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მხარდაჭერილი იყო 5313 პროექტი, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22949474 ლარი, სადაც 8412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა. 2018 წელს სააგენტომ 18 საერთაშორისო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა [47].

საქართველოს კანონი **„რეკლამის შესახებ“** ასევე გვევლინება ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირების მექანიზმად. აღნიშნული კანონის მიხედვით აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოას აქსესუარის, ან მისი იმპორტიორის და მწარმოებელის რეკლამა, გარდა ექსკლუზიურად თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლისთვის განკუთვნილი ბეჭდური ან

ელექტრონული გამოცემისა. გარდა ამისა, აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა დასახლებული პუნქტის გამზირზე 20 მეტრის რადიუსში, ხოლო სასწავლო დაწესებულებებში 100 მეტრის რადიუსში [5].

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროკავშირმა 12 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი დაიწყო. ხელი მოეწერა ENFARD III ფაზის ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიან პროექტს. პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ფერმერული კოოპერატივების საგანმანათლებლო აქტივობებს. სამიზნე ჯგუფები ინდივიდუალურ გრანტებსაც მიიღებენ, რაც მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის. ევროკავშირი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით ახორციელებს. პროგრამა 2013 წლიდან დაიწყო და მისი მთლიანი ბიუჯეტი 179.5 მილიონ ევროს შეადგენს. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზები სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაძლიერებაზეა ორიენტირებული. ENFARD-ის მესამე ფაზის ფარგლებში, ახალი პროექტები კიდევ ოთხ მუნიციპალიტეტში დაიწყება. პროექტების მიზანია მუნიციპალიტეტის განვითარებას ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით და თანამონაწილეობით [48].

პროექტს „ეს წალკაა“ ახორციელებს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით CENN, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) და სოფლის განვითარების კვლევით ინსტიტუტთან (IFLs) თანამშრომლობით. პროექტის საერთო ბიუჯეტია 2.4 მილიონი ევრო. ევროკავშირი მსგავს პროექტებს უკვე ახორციელებს ბორჯომის, ლაგოდეხის, ყაზბეგის, ქედის, ხულოს, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში [49].

მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, ისევ გამოწვევაა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა

და ცოდნის არასაკმარისი გამოყენება. ყოველივე ეს თავის მხრივ ბარიერს უქმნის მეწარმეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა იწვევს მთლიანობაში სოფლის ეკონომიკის სისუსტეს. კვების მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 39% შინამეურნეობებში პროდუქციის გადამუშავებაზე მოდის. საყურადღებოა, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაციას (შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამამუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორებს).

აღსანიშნავია, რომ **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სამთავრობო პროგრამა** ასევე მიმართულია ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირებაზე.

პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს:

- ❖ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- ❖ უძრავი ქონების უზრუნველყოფა;
- ❖ საკონსულტაციო მომსახურება;

პროგრამას ახორციელებენ :

- ○ სააგენტო „ აწარმოე საქართველოში“;
- ○ სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;
- ○ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო [6].

მომხმარებელთა სტიმულირების მიზნით, 2019 წელს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ საკვები და სასმელი პროდუქციის წამყვან საერთაშორისო გამოფენებში: SIAL CHINA, HOFEX, ANUGA და FOOD INGREDIENTS.

SIAL CHINA, რომელიც ქალაქ შანხაიში გაიმართა, აზიის უმსხვილესი საკვები ინოვაციების სავაჭრო გამოფენაა. ღონისძიებას 110 000 - ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს და 3400 - ზე მეტი მონაწილე კომპანია 67 ქვეყნიდან.

გამოფენა ANUGA ევროპაში ყველაზე მსხვილი სავაჭრო ღონისძიებაა და ორ წელიწადში ერთხელ ქალაქ კიოლნში ტარდება. ღონისძიებას 160 000-ზე მეტი დამთვალიერებელი სტუმრობს და მონაწილეების რაოდენობა

7400-ს აღემატება.

გამოფენა FOOD INGREDIENTS 1986 წლიდან ქალქაქ პარიზში ყოველ-წლიურად იმართება. მონაწილე კომპანიათა რაოდენობა 1800-ზე მეტია, ხოლო წინა წელს გამოფენას 26 000 პოტენციური მყიდველი სტუმრობდა.

HOFEX ჰონგ-კონგის უმსხვილესი გამოფენაა, რომელიც ბოლო 32 წლის მანძილზე სასმელი და საკვები პროდუქციის ინდუსტრიაში მოღვაწე საერთაშორისო კომპანიებს აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გამოფენას 74 ქვეყნიდან 40 000-ზე მეტი ვიზიტორი დაესწრო, ხოლო მონაწილე კომპანიების რაოდენობა 2800-ს აღემატებოდა [47].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი უწყებები ხელს უწყობენ ადგილობრივი პროდუქციის სტიმუ-ლირებას. მათში ერთიანდება:

- **სურსათის ეროვნული სააგენტო;**
- **ღვინის ეროვნული სააგენტო;**
- **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია;**
- **სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;**
- **სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;**
- **შპს მექანიზატორი;**
- **სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი;**

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მსოფლიოს 26 ქვეყნის მეც-ნიერის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „აზიური ფაროსანას ფიტოსანი-ტარული რეგულირების ჩარჩოები“ რომში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შტაბბინაში განიხილეს. სესიაზე განი-ხილეს მცენარეთა და მცენარეული პროდუქტებით უსაფრთხო ვაჭრობა, მონაწილე ქვეყნების რესურსების კოორდინაცია მცენარეთა დაცვის უზრუნ-ველსაყოფად. ამასთან, ფერმერებს დეტალური ინფორმაცია უნდა მიეწო-დოთ აზიურ ფაროსანასა და თხილის სოკოვან დაავადებებთან ბრძოლის მეთოდებზე, რათა მოსახლეობამ ხარისხიანი მოსავალი მიიღოს. ფერმე-რებმა უნდა ჩაატარონ ყველა აგროღონისძიება, რომლებსაც სამინისტრო და თხილის მწარმოებელთა ასოციაცია(GHGA) ერთობლივად მოამზადებენ.

პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო შეისყიდის და ასოციაციას გადასცემს 2000 ერთეულ მაღალი ეფექტიანობის შესაწამლ აპარატს, თხილის მწარმოებელთა ასოციაციის ჩართულობით უზრუნველყოფს საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარებას [46].

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით მსოფლიოში უმსხვილეს კომპანიებთან Sony music communication და TOPPAN-თან პარტნიორობით 2019 წლის მარტში ტოკიოში მიმდინარე გამოფენის „საქართველო-ღვინის სამშობლო“ ფარგლებში ცნობილმა ბრიტანელმა მწერალმა ენდრიუ ჯეფორდმა ქართული ღვინის სემინარი „რატომ არის ქართული ღვინო მნიშვნელოვანი“ გამართა. მან აღნიშნა, რომ საქართველომ შემოიტანა ახალი კატეგორია, როგორიცაა ქვევრის ღვინო. სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული ღვინოები: „ხიხვი, ქვევრი 2017“ (შალვინო). მნიშვნელოვანია ამ ტიპის ფესტივალებში მონაწილეობა მომხმარებლამდე მიტანის კუთხით და ცნობადობის ამაღლებით [27].

ასევე, ქართული ღვინის წარდგენა იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, კვებისა და სასმელების 44-ე საერთაშორისო გამოფენაზე ,,Foodex Japan 2019” გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით აღნიშნულ გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა 2015 წლიდან ეძლევათ. გამოფენაში მონაწილეობდნენ: „თელიანი ველი“, ,,ბადაგონი“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, სულ 14 ღვინის მწარმოებელი კომპანია. „Foodex Japan”- ში მონაწილეობა იაპონიაში პროდუქციის პოპულარიზაციის, ბაზარზე შესვლის და დამკვიდრების, დისტრიბუტორი იაპონური კომპანიების მოძიების საუკეთესო გზას წარმოადგენს. ქართულმა ღვინომ იაპონიაში ბრილიანტის ჯილდო (Diamond Trophy) მიიღო და მისი ექსპორტ 13 % - ით გაიზარდა. ეს ჯილდო ,, მეღვინეობა ვაზიანის“ (ხაზი ,,მაყაშვილის ღვინის მარანი“) ღვინომ ,,ქისი 2017“ მოიპოვა [50].

ქართული ღვინო საფრანგეთის ქალაქ ტულონში გასტრონომიის ყოველწლიურ ფესტივალში „Salon Bacchus“-ზე იყო წარმოდგენილი. ფესტივალში ღვინის მწარმოებელი კომპანიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან

მონაწილეობდნენ. „Salon Bacchus”-ზე ქართული ღვინის მწარმოებელი 11 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციის „LE PONT CAUCASIEN“-ის მიერ იყო წარმოდგენილი .

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში „ქართულში ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის შეტანის საკითხები განხილვის საბოლოო ეტაპზე გადავიდა, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2020 წელს. ამჟამად OIV სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში სულ 7 ღვინოა: „შუშხუნა“, „ცქრიალა“, ,,შემაგრებული“, „ლიქიორული“, „ბუნებრივად ტკბილი ღვინოები“, „აისვაინი და საფუვრის აპკის ქვეშ დაყენებული ღვინო“ [23].

გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაში „Pro Wein-2019“ ქართული ღვინის მწარმოებელი 27 კომპანია მონაწილეობდა. ეს გამოფენა მთავარი მოვლენაა ღვინის მწარმოებლებისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გამოფენის ფარგლებში ორ ქართულ კომპანიას „მეღვინეობა ჩელთის“ და „მეღვინეობა ვაზიანს“ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე „MUNDUS VINI“-ზე მოპოვებული ჯილდოები გადაეცათ. კერძოდ, „მეღვინეობა ჩელთის“ ღვინოებმა 4 ოქროს მედალი და 1 „გრანდ ოქრო“, ხოლო „მეღვინეობა ვაზიანის“ ღვინომ ოქროს მედალი დაიმსახურა [23].

აღსანიშნავია, რომ მეფუტკრე ფერმერები და თაფლის მწარმოებლები სსიპ **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის** შესაძლებლობებს გაეცნენ. ამჟამად ლაბორატორიაში საერთაშორისოდ აღიარებული კვლევების ჩამონათვალში თაფლის უვნებლობის 77 პარამეტრია შესული. პარალელურად, ტარდება თაფლის კვლევა ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელზე. ამასთანავე, ლაბორატორია მომხმარებელს სთავაზობს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ნიმუშის მიღებას [51].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ფარგ-

ლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „ჭრელა 2017“-მა 90%-იანი თანადაფინანსებით მიიღო ტრაქტორი გუთნით, როტაციული და სეგმენ-ტური სათიბელათი, ფოცხით, მოთიბული მასის დამწნეხით და მისაბმე-ლით ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უზრუნველყოფს 1,5 ტონა რძის პროდუქტების წარმოებას. სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ჭრელა 2017-ს“ წევრებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი ტექნიკის გამოყენებით ადგილზე თავად მოახდინონ საქონლისათვის საკვე-ბის დამზადება, კოოპერაციულ საწარმოში გადაამუშაონ მიღებული რძე და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის შედეგად მიიღონ გაზრდილი შემოსავალი.

ასევე, **„ახალგაზრდა ფერმერი“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია,** რომელიც რამდენიმე თვეა, რაც ქარელის რაიონის სოფელ აგარაში ჰოლანდიური ჰოლშტეინებით დაკომპლექტებულ თანამედროვე ფერმას ფლობს. მიმდინარე წლიდან მერძევეობის ფერმა სრული დატვირთვით ამუშავდა. ეს თანამედროვე ფერმა სახელმწიფოსა და დანიელი დონორების დახმარებით შეიქმნა. ფერმას მიეცა 60 ათასი ლარი გრანტი, კოოპერატივის თანამონაწილეობა იყო 10 ათასი ლარი და 100 ათასი ლარის ოდენობის შეღავათიანი აგროკრედიტის აღება დასჭირდა [25].

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამურნეო კოოპერატივების მხარდაჭე-რის სახელმწიფო პროგრამაში 10 კოოპერატივია ჩართული. დუშეთის მუ-ნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა რძის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოს მშენებლობა, რომელიც 1,5 ტონა რძეს გადაამუშავებს.

საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყო-ბის მიზნით „ერთიანი აგროპროექტი“ ხორციელდება ,,სოფლის მეურნეო-ბის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი“-ის (AMMAR) ფარგლებში. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის

სააგენტოს ,,ერთიანი აგროპროექტი“ გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე. აღნიშნული პროქტი მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს:

- სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას;
- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. ერთიანი აგროპროექტი მიმართულია მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენებისკენ, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

როგორც ცნობილია პროგრამის მიზნებია:

- პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა;
- მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;
- ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა [31].

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 180 ახალი საწარმოს შექმნა დაფინანსდა. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების გაფართოებისთვის. უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია „**ერთიანი აგროპროექტი“-ში შემავალი** სახელმწიფო პროგრამების გაანალიზება :

- **დანერგე მომავალი**, რომლის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით. პროგრამა ხორციელდება 2015 წლიდან. პროგრამის მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 2015 წლიდან დღემდე 5,546 ჰა-ზე დაფინანსდა მრავალწლიანი კულტურის ბაღები. თანადაფინანსება შეადგენს 29 მილიონ ლარზე მეტს. კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარსა და სააგენტოს შორის გაფორმებულია 900-ზე მეტი ხელშეკრულება. პროგრამის ფარგლებში გაშენებული კულტურებიდან დიდი წილი მოდის შემდეგ ხუთ კულტურაზე:

  კაკალი-2086,44ჰა

  ვაშლი-872,82 ჰა

  ნუში- 639.79 ჰა

  თხილი-589.99 ჰა

  ზეთისხილი-272.16 ჰა

ცხრილი #28. გაშენებული ბაღის ფართობებს რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	ფართობი(ჰა)	%
კახეთი	2,004	36.13%
შიდა ქართლი	1,674	30.18%
ქვემო ქართლი	865	15.60%
სამეგრელო	415	7.49%
იმერეთი	282	5.08%
გურია	150	2.70%
მცხეთა-მთიანეთი	97	1.74 %
სამცხე-ჯავახეთი	25	0.45%
რაჭა	18	0.32%
აჭარა	17	0.31%
სულ	5,546	100.00%

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (დანერგე მომავალი)

მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი ხორციელდება მთელი საქართველოს მაშტაბით, თუმცა ბენეფიციარის გადაწყვეტი-

ლებაზეა დამოკიდებული დასაშვები კულტურებიდან რომელი კულტურის ბაღს გააშენებს.

მთავრობის ახალი ინიციატივა - ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ბაღების გაშენების მხარდასაჭერათ, „დანერგე მომავალში“ ცვლილებები შევიდა. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს ახალი ქვეკომპონენტი „კენკროვანი კულტურები“ დაემატა. პროექტის მიზანია, მაღალი ღირებულების კულტურების წარმოება თანამედროვე მეთოდებითა და ტექნოლოგიებით. პროექტი „დანერგე მომავალი“ კენკროვანი კულტურების შესაძენი ნერგების ღირებულების 100%-იან დაფინანსებას ითვალისწინებს, როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე იმპორტის შემთხვევაში. 100%-ით დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემების და ბაღების გაშენებისთვის საჭირო მასალის ღირებულებაც. აღნიშნულ პროექტში ჩართვას, მხოლოდ ის ფერმერები შეძლებენ, რომლებიც სპეციალურ გადამზადებას გაივლიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ერთიანი აგროპროექტის“ პროგრამაში „დანერგე მომავალში“ ცვლილებები შევიდა. კერძოდ, ინტენსიური ბაღების მეტ ფართობზე გაშენების მიზნით, მიზანშეწონილია დამატებითი მასტიმულირებელი მექანიზმები შეიქმნას. ბაღების კომპონენეტში, გასაშენებელი ფართობი 1 ჰექტარის ნაცვლად 0.5 ჰექტარით განისაზღვრა. ბაღების კომპონენტში, 1 ბენეფიციარზე მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა კი 100, 000 ლარის ნაცვლად 250, 000 ლარი იქნება [31].

- **აგროდაზღვევა**

აგროდაზღვევა, რომლის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება; სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა იქნება 70%, ვაზზე-50%. აგროდაზღვევის პროგრამას გამოიყენებს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია 5 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში, არაუმეტეს 30 ჰა). სადაზღვევო პოლისი ვრცელდება : წყალდიდობის, სეტყვის, ქარიშხლის შემთხვევაში. დაზღვევა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურ-

ნეო კოოპერატივებზე. მოსავალი დარეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მოსავლის დაზღვევა მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება. აგროდაზღვევის ფარგლებში 2014-2018 წლებში:

გაცემულია 81,453 პოლისი;

დაზღვეული ფართობი შეადგენს 71,413 ჰა;

დაზღვეულია 551, 366,395 ლარის მოსავალი;

სახელმწიფომ 33,854,463 ლარის სუბსიდირება მოახდინა;

ანაზღაურებულმა ზარალმა 35,343,213 მლნ ლარი შეადგინა [31].

- **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება** მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასე-ვე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპე-რატივების თანადაფინანსებისათვის:

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება შესაძლებელია 3 ძირითადი წყაროს გამოყენებით:

1. სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულება 40 %, მაგრამ არაუმეტეს 600000 ლარისა;
2. შეღავათიანი კრედიტი-პროექტის ჯამური ღირებულების არაუ-მეტეს 50 %, მაგრამ არაუმეტეს 1500000 ლარისა;
3. ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა-პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%, საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანის სახით [31].

- **შეღავათიანი აგრო - კრედიტი,** რომლის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების გრძელვადიანი და ხელმი-საწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. აგრო კრედიტებს გასცემენ კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო არ მონაწილეობს კრედიტის გაცემის პროცესში.

- **„შეღავათიანი აგროკრედიტის“** პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის:
   - ✓ ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები ;
   - ✓ ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით ;
   - ✓ ატმის შემსყიდველი საწარმოები ;
   - ✓ არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები;
   - ✓ მანდარინის შემსყიდველი ან/და გადამამუშავებელი საწარ-მოები.

2. შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის. შეღავა-თიანი აგროკრედიტის თანხა ძირითადი საშუალებებისათვის განისაზღვ-რება 20 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით.;

3. შეღავათიანი აგროლიზინგი;

4. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ერთი სესხის/ლიზინგის მოცულობა არ უნდა იყოს 1 500 000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 5 000 000 ლარს [31].

- **ქართული ჩაი** - რომლის მიზანია საქართველოში უკვე არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის წარმოების ზრდის ხელშეწყობა.
- **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია** - მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოების, ახალი აგროსაწარმოების შექმნის ხელშეწყობა. ასევე საერთაშორისო სტანდარ-ტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული თანადაფინანსება შეადგენს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების - 40%-ს, ხოლო ბენეფიციარების თანამონაწილეობა - 60%-ს. ამასთან, კოოპერატივზე გასაცემი თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება კოოპერატივების წევრების რაოდენობის შესაბამისად, წევ-რზე არაუმეტეს 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. დაფინანსების მიზნობრიობა მოიცავს:
- კენკროვანი კულტურების გაშენება (გარდა მარწყვისა) 0.1 ჰა-დან 1ჰა -მდე;

- მარწყვის, დაფნისა და თაფლოვანი კულტურების გაშენება 0.1 ჰა -დან 10 ჰა - მდე; [31]

რაც შეეხება უშუალოდ მოქმედ საწარმოებს აღნიშნული პროექტის ფარგლებში:

აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში, შპს ლიფლუქსმა **დაფნის გადამამუშავებელი საწარმო გააფართოვა.** პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 13, 000 აშშ დოლარი შეადგინა, აქედან 5,200 აშშ გრანტია დოლარი გრანტია, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობამ 7800 აშშ დოლარი შეადგინა. საწარმო წელიწადში 100-120 ტონა ნედლ დაფნის ფოთოლს გადაამუშავებს. შპს „ლიფლუქსში“ დასაქმებულია 22 ადამიანი და ყოველწლიურად 60 ადგილობრივი ფერმერი აბარებს მოსავალს. პროექტი განხორციელდა „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, „სოფლის მეურნეობის მოდენიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) მხარდაჭერით [52].

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ საგურამოში, **ჩაის და სანელებლების გადამამუშავებელი ახალი საწარმო** ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო „მანნა“ სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით ,,ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში ჯამურად 871,058 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 348,423 ლარი გრანტია, ხოლო 435,529 ლარი შეღევათიანი აგროკრედიტი. საწარმოში წელიწადში 8 ტონა ჩაის და 4 ტონა სანელებლებს გადაამუშავებენ. პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე. გადამამუშავებელ საწარმოში 20 ადამიანია დასაქმებული. კომპანიაში, გასულ წელს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მხარდჭერით, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი - ISO 22000 დაინერგა [23].

- **ახალგაზრდა მეწარმე** - განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეობის ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება საქართველოში. პროგრამა ინიცირებულია დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით. პროგრამა ხელს

შეუწყობს სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების ბიზნესში ჩართულობას.

- **ფერმერთა რეგისტრაციის** - პროექტი არეგულირებს ფერმათა/ფერ-მერთა ერთიანი რეესტრის სისტემას, რითაც მოხდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების საქმიანობისა და მათი საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო აქტივების ერთიან ელექტრონულ ბაზაში კონსოლიდაცია.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ინფორმაციით კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის (CIP) ერთობლივი პროექტის ,,საქართველოში სოფლად საარსებო საშუალებების გაძლიერება: ჯანსაღი თესლის წარმოების ინტეგრირებული მიდგომის დანერგვა კარტოფილის ადგილობრივი თესლწარმოების სისტემაში“ ფარგლებში, საქართველოში კარტოფილის მეთესლეობის გაუმჯობესების ეროვნული გეგმა შემუშავდა. სამწლიანი პროექტი 2017 წლიდან ხორციელდება და მისი ფინანსური მხარდამჭერი ავსტრიის განვითარების სააგენტოა (ADA). კარტოფილის მეთესლეობის გაუმჯობესების ეროვნული გეგმა ითვალისწინებს :

- ახალი გენოტიპების შემოტანას;
- ვირუსებამდე გამძლე ჯიშების იდენტიფიკაციას
- ჯიშობრივ კვლევებს,
- ფერმერების გადამზადებას,
- საჭირო ტექნიკის ადაპტაციას,
- ბიზნესშესაძლებლობების განვითრების ანალიზს

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მომხმარებელთა უფლებე-ბის დაცვა ადმინისტრაციული და საკანონმდებლო მექანიზმებით. შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები შეძლებენ საქონლის დიზაინის, შეფუთვის ხარჯზე ფასის ზრდას და მოგების მიღებას.

2019 წლის 1 მარტიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ამოქ-მედებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების - სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“ უზრუნველყოფს მომხმარებლის ინფორმირებულობას და მისი უფლებების დაცვას. აღნიშნული რეგულაცია მომზადებულია ევროკავშირ-

თან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) ფარგლებში. ეს რეგულაციები გულისხმობს:

- ეტიკეტზე სავალდებულო ინფორმაციის ზრდას;
- ეტიკეტზე შრიფტის ზომის განსაზღვრას;
- სურსათის ინფორმაციის სიზუსტეს;
- კვებით და ენერგეტიკული ღირებულებების დაზუსტებას;
- არ უნდა იყოს დატანილი ის ინფორმაცია სურსათზე, რომელიც არ ახასიათებს მის თვისებას;
- ალერგიის გამომწვევი ნივთიერების შეთხვევაში, აღნიშნული ინგრედიენტი უნდა გამოიყოს ჩამონათვლისგან;
- ვარგისიანობის მინიმალური ვადა;
- სურსათის კონკრეტული დასახელება;
- სურსათის დაუფასოებელ ეტიკეტზე განისაზღვრება მოთხოვნები;
- სურსათის გარე შეფუთვის ეტიკეტზე განისაზღვრება ასევე მოთხოვნები;
- სურსათის ინფორმაცია უნდა განთავსდეს შესამჩნევად;
- ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია იმპორტიორი, ბიზ-ნესოპერატორი;
- მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდება რეკლამის საშუალებით;
- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების მოვალეობა შეეხება სურსათის დისტანციურ რეალიზაციას [46].

ამრიგად, ადგილობრივი პროდუქციის სტიმულირებისთვის მნიშვნე-ლოვანია:

- **საერთაშორისო გამოფენების ორგანიზება**

პრიორიტეტულ ბაზრებზე გამოფენების ორგანიზება და საქართვე-ლოში არსებული სხვადსხვა სექტორის წარმომადგენელი კომპანიების თანადაფინანსება, ახალ პარტნიორებთან დაკავშირების და საექსპორტო ბაზრების დიფერენცირების მიზნით .

- **სავაჭრო მისიების ორგანიზება**

სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე ქართული ექსპორტიორი

კომპანიებისთვის წინასწარ შეხვედრების დაგეგმვა, ორგანიზება და თანა-დაფინანსება, ახალი ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით.

- **უცხოელი მყიდველების დაკავშირება ქართველ მწარმოებლებთან**

სააგენტოს ფარგლებში უცხოური ბაზრებიდან შემოსული მოთხოვ-ნების შესაბამისად ქართული კომპანიების დაკავშირება მათი პროდუქ-ტების დაინტერესებულ მყიდველებთან.

- **სავაჭრო პლატფორმა**

პლატფორმის მიზანია საქართველოში შექმნილი პროდუქტების და სერვისების პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე [47].

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სხვადასხვა მეწარმეთა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაცია, ერთობლივი პროექტების განხორციე-ლების მოცულობის გაზრდა. ეს ხელს შეუწყობს სამთავრობო პროექტების და ბიუჯეტის შეზღუდული რესურსების ფერმერებისათვის პრიორიტე-ტული მიმართულებებით დახარჯვას. ამასთან, სტიმულს მისცემს, როგორც ფერმერულ და ბიზნეს გაერთიანებების ჩამოყალიბებას, ასევე გაზრდის დარგში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას. სახელმწი-ფოს მიერ საბაზრო და რენტაბელურ ფასს შორის სხვაობის დაფარვა კი მოახდენს სტიმულირებას გადამამუშავებელ დონეზე.

დასკვნა

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კვალდაკვალ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა და სასურსათო, რაშიც არსებით როლს ასრულებს ეფექტიანი იმპორტშემცვლელი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარების პერსპექტივების განხორციელება.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების განვითარების გზით, იმპორტშემცვლელ პერსპექტივებთან დაკავშირებით განხორციელებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

- სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოების დარგის მახასიათებლები (ბაზრის სტრუქტურა სოფლის მეურნეობის სექტორში; სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების პროცესები; მიწა, როგორც წარმოების ფაქტორი); მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. იმ შემთხვევაში, როცა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოების დარგის მახასიათებლები ვერ ახორციელებენ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, იმპორტული საქონლის მოცულობის შემცირების და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრის ფუნქციას, ფერხდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარება;
- სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საწარმოს მიერ, როგორც რეგულირებადი ფაქტორების (წარმოების სპეციალიზაცია, მოსავლიანობა, შრომის თვითღირებულება), ასევე არარეგულირებადი (ფასწარმოქმნა, საგადასახადო სისტემა, ინფლაციური პროცესები) ფაქტორების გათვალისწინება. ასევე გამოკვეთილია, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად ეროვნული წარმოების გაზრდა, ფერმერთა წამახალისებელი მაღალი ფასების შენაჩუნება და მოსავლის დაზღვევის უზრუნველყოფა მივიჩნიოთ, ვინაიდან დღეისთვის გადამა-

მუშავებელი წარმოების ეფექტიანობა საწარმოო ფაქტორების (მიწა, კლიმატური პირობები, მართვა, ინვესტიციები, ტექნოლოგიური პროგრესი, სამუშაო ძალა, პოლიტიკური მდგომარეობა) გამოყენების შედეგია;

- კონკურენტული ბაზრის გარემოცვაში იმოქმედო ხარისხით და ღირებულებით ჭრილში, რაც იმას გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანია იმ მომენტის დადგენა, როდესაც ხდება პროდუქტების დივერსიფიკაცია წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას შორის, ასევე ექსპორტის შესაბამისობა მსოფლიო მოთხოვნებთან.

- საქართველოში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის წარმოების გამოვლენილი ხარვეზები შეინიშნა მშპ-ში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების წილის კლებით. საქართველოში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია: თანამედროვე მექანიზაციის და ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის, მიწების კონსოლიდაციის, ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ამასთან, აუცილებელია სოფლის მეურნეობის 2021-2027 წლების სტრატეგიის მიმართულებებმა ხელი შეუწყონ მათ, ვისაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შეუძლია: კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარებით; ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით, ეკოსისტემების შენარჩუნებით და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციით; სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბებით. აღნიშნულთან ერთად საჭიროა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ამოცანების გათვალისწინებაც: მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და სამეწარმეო უნარების ამაღლება, ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

- ვინაიდან საქართველოში მოიხმარება მეტი იმპორტული პროდუქცია ვიდრე იწარმოება, პრიორიტეტი უნდა იყოს, როგორც იმპორტჩანაცვლება ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ასევე საექსპორტო პროდუქციის ზრდა. იმპოტჩანაცვლებისას ადგილობ-

რივმა პროდუქციამ ხარისხობრივი პარამეტრებთან ერთად მომხმარებელს უნდა შესთავაზოს უფრო იაფი ალტერნატივა.

ამრიგად, პერსპექტიული დარგების გამოსავლენად, საჭიროა კონკურენტული უპირატესობის გამოვლენა თანამედროვე ხილის თუ აგრარული პროდუქტებისათვის, რომელზეც დღეისთვის მაღალი და მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება მსოფლიოში. უნდა მოიძებნოს სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, რომლებიც ტრადიციულ, მაგრამ დაბალშემოსავლიან კულტურებთან შედარებით მცირემიწიან ფერმერებს ეკონომიკურ ეფექტს მოუტანდა.

- გადამამუშავებელი წარმოების პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზის მიხედვით საინტერესოა მომხმარებელთა ქცევის პროგნოზის ცვლილება საქონელზე ფასების ცვლილების შემთხვევაში. ამ სეგმენტში ერთად მოიაზრება ინდივიდუალური, საბაზრო და ერთობლივი მოთხოვნის (ყველა საქონელზე მოთხოვნათა ჯამი) დამოკიდებულება ფასზე, შემოსავალზე, გემოვნებაზე, სურვილზე, სეზონურობაზე, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს ცვლილებებზე და მიწოდების დამოკიდებულება მოთხოვნაზე, ფასზე, წარმოების შესაძლებლობებზე, ტრანსპორტაბელურობაზე (სურსათის ჩამოტანის სირთულე), სეზონურობაზე, საბაჟო-საგადასახადო კანონმდებლობაზე.

მნიშვნელოვანია მოთხოვნის კოორდინირებული ზრდა რომელიც როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდას გამოიწვევს. ვინაიდან საინტერესო ის, თუ რა გაგვაქვს ექსპორტზე და როგორ შეგვიძლია გავზაროთ, ასევე რას ვაწარმოებთ აუცილებელია სახელმწიფოს დახმარება ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ნედლეულის ფასი, ხარისხის სტანდარტების დანერგვა, ადგილწრმოშობის სახელების დაცვა-დაპატენტება, სარეკლამო და მარკეტინგულ საქმიანობაში მხარდაჭერა, ფალსიფიკაციისაგან დაცვა, ევროპული სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ნაკლებად შემოსავლიანი რეგიონებისთვის.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ზემოქმედების სპეციფიკური კანონ-

ზომიერებები სახელმწიფოს მარეგულირებელ და მასტიმულირებელ ინ-სტრუმენტების განხორციელებაში მდგომარეობს. ეკონომიკის სახელმწი-ფოებრივი რეგულირების ფარგლებში, რესურსების და შემოსავლების განაწილებაზე, ეკონომიკური განვითარების დონეზე არსებითად ზემოქმედებს სახელმწიფო. უწინარეს ყოვლისა საკუთრების უფლების დაცვა უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაყრდენი. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, როგორც ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების წინაპირობაა. თანამედროვე ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია პროდუქ-ციის ღირებულებაში ენერგორესურსების წილი. ამიტომ, ხშირად საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს კანონი, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“-ით გათვა-ლისწინებული ნორმების შესრულება ითვალისწინებს რეგულირების სტრატეგიაში სახელმწიფოს ეფექტურობას. ეფექტურობის მაჩვენებელი კი საზოგადოების მდგომარეობა. ნათელია, რომ ძლიერი სახელმწიფოს ჩამო-ყალიბების პირობა კერძო მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენის არსებობაა.

ამრიგად, სახელმწიფომ არაკეთილსინდისიერი მონოპოლიებისაგან გამომდინარე მეწარმეებს ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი კონკურენციის სრულყოფას ეკონომიკური მექანიზმებით. იმპორტის ჩანაცვლებაზე მარე-გულირებელი და მასტიმულირებელი ინსტრუმენტების ზემოქმედებით კი უნდა მივიღოთ ბუნებრივი რესურსების და ინოვაციურ პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე მიმართული ინტელექტუალური პოტენციალი.

- მწარმოებლებმა ექსპორტის ზრდისთვის აუცილებელია გამოავ-ლინონ პროდუქცია, რომელშიც საქართველოს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა. პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის შემო-ღებით, მსოფლიო იმპორტის განვითარების ტენდენციების მხედველობაში მიღებით, საექსპორტო პოტენციალის ზრდის მოკლევადიანი, საშუალოვა-დიანი და გრძელვადიანი მიმართულებების გამოყოფით. საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგების (ევროკავშირი საქართველოსთვის)

მიხედვით გამოკითხულ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისთვის ევროკავშირში ხუთი პირობის დაძლევაა აღმოჩნდა საჭირო: პარტნიორების სიმრავლე ევროკავშირის ქვეყნებში, ექსპორტის როგორც რეალიზაციისთვის, ასევე საწარმოებლად ინფორმაციის და რესურსების ზრდა; წარმოების მაღალი მოცულობა; ექსპორტისათვის ხარისხის სერთიფიკატის მინიჭება. კვლევის თანახმად, ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის მცირე და საშუალო საწარმოების მიერ უმთავრეს სტიმულად გაყიდვების ზრდა დასახელდა.

„ასოცირების დღის წესრიგის სამოქმედო გეგმის ექსპორტის ხელშეწყობის კომპონენტის შეფასება ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით „კვლევის შედეგად აუცილებელია მწარმოებელთა გასათვალისწინებელი გარემოებების გაანალიზება:

- ეფექტიანი ექსპორტის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, „აწარმოე საქართველოში“, საგრანტო კომპონენტების პროგრამების შედეგების მიხედვით კორექტირება;
- ქვეყანაში ბიზნეს-სესხების ხელმისაწვდომობა;
- შესაბამისი მოცულობის და სტანდარტის საექსპორტო პროდუქციის სიმცირის, ერთგვაროვანი პროდუქციის პრობლემის დაძლევა კოოპერატივების და დარგობრივი კომპანიების განვითარებით;
- მცირეკამერიანი მაცივრების და სასაწყობე მეურნეობების არსებობა;
- წარმოების მასშტაბების გაზრდა, ტექნოლოგიური გადაიარღება მიწების გამსხვილებითს;
- სახელმწიფო პროგრამებით გამოფენების ხელშეწყობა;
- ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების ბაზის (მაგალითად tradewithgeorgia.ge) ფორმირება;

• მომხმარებელთა ინფორმირების და სტიმულირების ინსტრუმენტები ასევე იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების კონკრეტული გზაა. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სამინისტრო კოორდინაციას უწევს ყველა პროგრამას, რაშიც იხარჯება დაახლოებით 100 მილიონი

ლარი. პროგრამების განხორციელებაში დარგობრივი უწყებებია ჩართული. პროგრამების მიზანი ეკონომიკური განვითარება და სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი წარმოების ხელშეწყობაა. ამასთან, სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის ანალიზი შესაბამის სტატისტიკასა და შეფასების ობიექტურ მექანიზმებს მოითხოვს, უფრო კონკრეტულად კი: „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების-სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“, ასევე საერთაშორისო გამოფენების ორგანიზებას, სავაჭრო მისიების ორგანიზებას, უცხოელი მყიდველის დაკავშირებას ქართველ მწარმოებლებთან, სავაჭრო პლატფორმას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. წლიური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა“. თბ.,2019.გვ.102
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მონაცემთა ბაზები Pc-Axis.
3. საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2018-2021 წლებისათვის. თბ.,2017. გვ.11-16
4. www. georgiadairy. org /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 05.07.2018
5. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. 2017. მუხლი1
6. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020. გვ.44
7. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ., ,,სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“. თბ., 2010. გვ.9
8. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიქსი. სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში და წარმოების დომინირებადი ფაქტორების კონცეფცია. თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2011. გვ.144
9. დურგლიშვილი ნ., სოციალურ მონაცემთა ანალიზი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“. თბ., 2006. გვ.107
10. ასათიანი რ., „ეროვნული კონკურენტუნარიანობის არსი და პროდუქციის საწარმოო და მოხმარების ფაქტორები“. ჟურნალი ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 2009წ. #23, გვ. 312
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „კვარტალური ბიულეტენი“. II, 2019. გვ.74
12. DCFTA-ის სახელმძღვანელო, ნედლი ხილისა და ბოსტნეულის, მეფუტკრეობის სექტორისათვის. 2017წ. გვ.69
13. კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტოს თავჯდომარის ბრძანება #30/09-3. თბ., 2014 წ.
14. კვლევითი პუბლიკაცია ექსპორტის და იმპორტის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი 2016. გვ.12
15. ისმაილოვი ე. პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. „დიოგენე“. თბ., 2007. გვ.67
16. The Statista.com/ Portal. Statistics and facts on food &Nutrition. 2017
17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2019 წ. გვ.31

18. ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ., „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები“, „უნივერსალი“, 2012. გვ.205
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „საქონლის საგარეო ვაჭრობა საქართველოში“. 2019. გვ.18
20. http://apma.ge/ projects/read/plant/future/20:child 10.08.2019
21. საქართველოს მთვრობის განკარგულება #167 „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ “.
22. www.netgazeti.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 09.09.2019
23. www.culinartmagazine.com/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 15.08.2019
24. www. mepa.gov.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /25.05.2019
25. www.imedinews.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /15.09.201
26. www. bpn.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 28.04.2019
27. www.interpressnews.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 22.09.2019
28. www.eeas.europa.eu /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /22.08.2019
29. ბარათაშვილი ე. ჯოლია გ. გრძელიშვილი ნ. მამალაძე ი. სეხნიაშვილი დ. ჩახვაშვილი დ . ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, თბ., 2011წ. წიგნი I , გვ.36
30. ხარაიშვილი ე. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. ,,უნივერსალი“, თბ, 2011წ. გვ.34
31. www. bm.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /10.09.2019
32. www.agroexpo.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/10.05.2019
33. www. kalo.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /09.10.2019
34. ლომსაძე-კუჭავა მ., გიორგაძე ხ., „ეკონომიკა და მარკეტინგი“. თბ., ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბ., 2016. გვ.84
35. ბლანშარი ო., მაკროეკონომიკა, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტი-ტუტი. თბ., 2010წ. თავი 19. გვ. 589
36. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვი-სება ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი. 2017. გვ.20
37. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგული-რება საქართველოში; თბ., „ლოი“, 2007. გვ.46
38. საქართველოს კანონი კონკურეციის შესახებ. მუხლი1

39. ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკის კვლევა. კონსტიტუციის 42-ე მუხლი. 2012. გვ.112

40. საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ. მუხლი 3

41. სოფლის მეურნეობის განვითარების სტარეტეგია 2021-2027. გვ.22

42. ღაღანიძე გ., „პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის განსაზღვრა“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014წ. N 1, გვ.119

43. ,,ევროკავშირი საქართველოსთვის“. საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვლევის შედეგები, 2019. გვ. 39

44. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. „ევროკავშირი საქართველოსთვის“. ევროკავშირში პროდუქტის ექსპორტის ხელშემწყობი ვებგვერდები საინფორმაციო ბროშურა. 2019წ. გვ.3

45. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. საქართველოს საექსპორტო პოლიტიკის შედეგები. 2019. გვ.13

46. www. parliament.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 28.09.2019

47. www. enterprisegeorgia. gov.ge/უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /14.08.2019

48. www.m2b.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /19.09.2019

49. www. eprc.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 09.08.2019

50. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა გაზეთი „ჩვენი სოფელი“ 2019წ. #2(42)

51. www. intracen.org / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 10.09.2019

52. www.worldatlas.com / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 10.05.2019

53. ბახტაძე ლ. გარდამავალი ხანის ეკონომიკა, სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბ., „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“ 2006. გვ.98

54. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., „უნივერსალი“. 2013წ. გვ.18

55. ვანიშვილი მ. წარმოების ფაქტორთა ბაზრები და ფაქტორული შემოსავლები. ეკონომიკის საფუძვლები. ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“. ლექციების კურსი ორ წიგნად. 2006წ. გვ.203

56. ვეშაპიძე შ. ეკონომიკის საფუძვლები, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2015წ; გვ. 124

57. იაკობიძე დ. ,,ადგილობრივ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის განვითარების საკითხები“ ჟურნალი ,,ბიზნეს - ინჟინერინგი“, 2017წ. #01-02, გვ.9

58. კაკულია რ., ღავთაძე გ., ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა. საწარმოების ეკონომიკური მართვა ცვალებად დარგობრივ გარემოში. ქუთაისი, 2012წ. თავი VI. გვ.227

59. კუნჭულია თ., კოლელიშვილი., ,,ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ". ქართული რეფერირებადი ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადეიის მოამბე", 2012წ. #31, გვ.300

60. კუნჭულია თ., მჭედლიშვილი ქ., სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და გადამუშავების დარგობრივი სტრატეგიის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,კვალი". საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,2014წ. # 1-2, გვ.304

61. მესხია ი., ხმალაძე კ., გაბელაშვილი კ., სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ISSN, მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, 2008წ. #4, გვ.2

62. რუხაია-მოსემღვდლიშვილი ნ., ექსპორტის მასტიმულირებელი აგრარული პოლიტიკა საქართველოში. დისერტაცია, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წ. გვ.204

63. ღაღანიძე გ. „ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და საექსპორტო სტრატეგიის ფორმირების საკითხები ევროკავშირის ბაზარზე", ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", 2013. #6, გვ.113

64. ციმინტია კ., ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009წ. თავიI. გვ.11

65. ჭავჭავაძე ი., ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი ტფილისი. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. (პუბლიკაცია) 1893. 17 ივლისი.

66. ჭალაგანიძე შ., კუნჭულია თ., „აგროპროდუქტების ექსპორტ-იმპორტის ტენდენციები საქართველოში", ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", 2012. #30, გვ.356

67. ჭანია მ., მეწარმეობა - როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი. ,,უნივერსალი" 2016. გვ.26

68. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები: ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ (საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. თბ.,1998წ. შრომების კრებული IV, გვ.19

69. ჭითანავა ნ., ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. 2000წ. I, გვ.22

70. ხადური ნ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები , 2017 წ. გვ.47

71. ხალვაში შ., ინსტიტუციური ცვლილებების ზემოქმედება ეკონომიკურ

განვითარებაზე. დისერტაცია, თბ., საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტი, 2019 წ. გვ.169

72. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. სახელმძღვა-ნელო. თბ., ,,ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2015წ. გვ.84

73. ბაზრის კვლევის, საწარმოო ჯაჭვის და შესაძლებლობების - შეზღუდვების - გადაწყვეტილებების (OCS) ანალიზი. USAID პროექტი ზრდა საქართველოში, 2019წ. გვ.39

74. მეწარმეობის განვითარების სააგენტო. წლიური ანგარიში 2016წ. გვ.64

75. მეწარმეობა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების (ეროვნული ცენტრი). თბ., 2015წ. გვ.343

76. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა გაზეთი ,, ჩვენი სოფელი“, 2017წ. #12(27)

77. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა გაზეთი ,, ჩვენი სოფელი“ ,2018წ. #37/30

78. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საგარეო ვაჭრობა, ანალიზი. 2019წ. გვ.25

79. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში. ,,EL-LAT 2012 “ ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი “. 2012წ. გვ.114

80. საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები(ესეების კონკურსი ინდუსტრიული პოლიტიკის შესახებ).2016 წ. გვ.62

81. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. მუხლი 1.2

82. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. 2019წ. გვ.5

83. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მონაცემთა ანალიზი. ,,მეწარმეობა საქართველოში“. სტატისტიკური პუბლიკაცია . თბ., 2017წ. გვ.136

84. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2017წ. გვ.22

85. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (პროექტი) 2020 წ. გვ.85

86. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2016 წ. გვ.98

87. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. წლიური ანგარიში 2014წ. გვ.344

88. საქართველოს მთავრობის მოხსენება 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ . გვ.82

89. სემეკი 2017 წლის ანგარიში. თბ., 2018წ. გვ.133

90. სემეკი 2018 წლის ანგარიში. თბ., 2019წ.

91. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. წერილი # 4856. 2018 წ.

92. BLACK SEA ECONOMIC COOPERATION. FORIEGN POLICY STRRATEGY. p.24

93. CHALLENGES FOR INDUSTRIAL POLICY IN GEORGIA 2016. p.28

94. DCFTA მოთხოვნები პირველადი წარმოებისთვის გზამკვლევი, 2015წ. გვ.52

95. EUROPEAN INITIATIVE LIBERAL ACADEMY TBILISI USAID/GEORGIA EL-LAT 2012, pp.83-86.

96. FAO, 2015-2106 The State of Agricultural Commodity Markets, Trade and Food Security: achieving a better between national priorities and the collrctive good. p.10

97. FRIEDRICH-EBERT-STIFTUNG. COMPETITION POLICY AND PRACTICE OF MARKET REGULATION . CENTRE FOR ECONOMIC PROBLEMS RESEARCH.2012, pp 55-91-98-153.

98. FRIEDRICH-EBERT-STIFTUNG. Development of Economic Regulatory Institutes in Georgia. Centre for Economics Problems Research. 2009, pp. 6-7-31.

99. Industrial Development report 2016. The Role of Role Technology and Innovation in inclusive and Sustainable Industrial Development UNIDO. The industrial competitiveness of nations by industrial comparator. pp. 202-208.

100. INDUSTRIAL POLICY: DON'T ASK WHY , ASK HOW. DANI RODRIK. 2008 Middle East Development Journal, Demo Issue (2008)1-29 Economic Research Forum. p.29

101. Porter, Michael E. (1998), Competitive Advantage: Creating and Sustaining Superior Performance, The Free Press: New York. pp.166-198

102. The European Union's Neighbourhood Programme. Assessment of the Agriculture and Rural Development Sectors in the Eastern Partnership countries. Georgia 2012. p.57

103. www.unido.org /Entrepreneurship development/უკანასკნელად იქნა გადამოწმებული

104. UN Comtrade, https://comtrade.un.org/data/ უკანაკნელად იქნა გადამოწმे-ბული 11.05.2019

105. www.adjara. gov.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 25.19.2109

106. www.Agronews. ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 10.08.2019

107. www. agora. ge/უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/15.11.2019

108. www. bfm. ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული / 24.08.2019

109.www. commersant.ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /20.08.2019
110.www. droa. ge /უკანასკნელად იქნა გადმოწმებული/ 11.02.2019
111.www.economic .ge /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული / 11.08.2019
112.www. enpard. ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული / 10.08.2019
113.www.epfound. ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 09.08.2019
114.www. eugeorgia.ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 20.09.2019
115.www. eu4business.eu / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 25.09.2019
116.www. matsne. gov. ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /27.09.2019
117.www.nfa.gov.ge / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული /05.09.2019
118.www.president.gov.ge/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 30.09.2019
119.www.saqinform.info / უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 14.08.2019
120.www.sputnik-georgia.com/უკანასკნელად იქნა გადამოწმებული04.12.2019
121.www.wto.org /უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/ 16.10.2019.
122.www.investopedia.com/უკანასკნელად იქნა გადამოწმებული/10.10.2019

დანართები

კვლევა

დანართი 1

სულ გამოიკითხა **100** ადამიანი.

#1 (გრაფიკი)



წინა კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, მიუთითეთ, რომელი კომპანიის ზეითუნის ზეთს ან ზეთისხილს მოიხმართ?

გამოკითხულთა 58%-მა „Coopoliva“ დაასახელა.

დანართი 2

#2 (გრაფიკი)



დანართი 3

#3 (გრაფიკი)



დანართი 4

#4 (გრაფიკი)



დანართი 5

#5 (გრაფიკი)



დანართი 6

(ცხრილი #1) „ქართული ზეთისხილის“ ფასების შედარება, კვლევის შედეგად გამოკვეთილ საბაზრო ლიდერთან საქართველოში

	გუდვილი	კარფური	ზღაპარი	ნიკორა
Coopoliva (gold) -500მლ	19.59ლ	17.95ლ	15.00ლ	-
Coopoliva (premium)-500მლ	16.99ლ	15.45ლ	13.00ლ	16.55ლ
Coopoliva (premium)-250მლ	9.79ლ	8.95ლ	7.5ლ	8.99ლ
„ქართული ზეთისხილი“(gold)-500მლ	14.79ლ	13.95ლ	-	13.95ლ
„ქართული ზეთისხილი“(premium)-500მლ	15.79ლ	14.95ლ	-	-
„ქართული ზეთისხილი“(gold)-250მლ	8.49ლ	7.95ლ	7.55ლ	8.5ლ
„ქართული ზეთისხილი“(premium)-250მლ	9.49ლ	8.95ლ	8.5ლ	9.5ლ